ქალაქ თბილისის 2004 წლის ბიუჯეტის ანალიზი A4

ენერგეტიკა A7-A8

გულახდილად B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

შაბათი, 30 ოქტომბერი, 2004 წელი. №258 (807)

ფასი 50 თეთრი

## სეპარატიზმის და დემოკრატიის შეუთავსებლობა



*სერგეი ბაღაფშს თითქმის მთელი აფხაზეთი უჭერს მხარს, მაგრამ კრემლი მას გამარჯვებას ჰპარავს.*

*აფხაზეთის დედაქალაქში ვითარება უკიდურესად დაძაბულია. სოხუმი სამოქალაქო დაპირისპირების ზღვარზე დგას. კრემლის მიერ ხელდასმულ კანდიდატს - რაულ ხაჯიმბას რუსეთის პრეზიდენტთან შეხვედრამ ვერ უშველა. მოსახლეობის უმრავლესობა ოპოზიციის ლიდერის, სერგეი ბაღაფშის აფხაზეთის პრეზიდენტად აღიარებას ითხოვს. ორივე კანდიდატის მხარდამჭერები პოზიციებს არ თმობენ. თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის ძალოვანი უწყებები მუშაობის საგანგებო რეჟიმზე გადავიდნენ. არსებობს ინფორმაცია, რომ რუსეთიდან უკვე შემოყვანილია სპეციალური დანიშნულების ქვედანაყოფები. "აფხაზეთში რაღაც ხდება..." - წერს რუსული მედია. გაისვრიან თუ არა აფხაზეთში და რა მოხდება ხვალ? - ამ კითხვებზე პასუხს დღეს თბილისშიც და მოსკოვშიც გაურბიან.*

სოფო ბუკია

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ვლადისლავ არძინბამ გუშინ ხელი მოაწერა ბრძანებას აფხაზეთში ხელახალი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების შესახებ. როგორც დოკუმენტშია აღნიშნული, ამ გადაწყვეტილების მიზეზი "მოქალაქეთა საკონსტიტუციო უფლებების დაცვა და აფხაზეთის პოლიტიკურ-სამართლებრივი კრიზისიდან გამოყვანა" გახდა. სავარაუდოდ, არჩევნები მიმდინარე წლის დეკემბერში უნდა შედგეს.

დე-ფაქტო პრეზიდენტის ზემოხსენებულ განცხადებას სოხუმში სიტუაციის სერიოზული დაძაბვა უძღოდა წინ. 28 ოქტომბერს, საღამოს, აფხაზეთის თვითგამოცხადებული

გაგრძელება A3 გვერდზე

## ფინანსური ამნისტია - ინდულგენცია ცოდვების მისატევებლად

*პარლამენტარები ჯერ კიდევ არ გამოსულან ხუთშაბათს გამართული პლენარული სხდომის შთაბეჭდილებებიდან, როდესაც საკანონმდებლო ორგანომ პირველი მოსმენით მიიღო ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტი. "აქტიური მუშაობისა და მთავრობის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის მხარდაჭერისთვის" ბიუროს გუშინდელ სხდომაზე ნინო ბურჯანაძემ მთელ დეპუტაციას გამოუცხადა მადლობა. სპიკერმა საგანგებოდ გაუსვა ხაზი "მემარჯვენე ოპოზიციის" დამსახურებას, რომელმაც "საპროცედურო ომის" შანსი არ გამოიყენა და ამით საგადასახადო კოდექსის პროექტი ჩაგდებისგან იხსნა.*

გიორგი ასანიშვილი

28 ოქტომბერს ტანჯვით ნაშობ დოკუმენტს დეპუტატები მომავალ კვირაშივე დაუბრუნდებიან და კომიტეტებში მეორე მოსმენით მის განხილვას შეუდგებიან. პარალელურად დაიწყება მუშაობა "არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებებისა და ქონების ლეგალიზაციის შესახებ" კანონპროექტზეც, რომელიც ფართო საზოგადოებაში "ფინანსური ამნისტიის" სახელით არის ცნობილი.

ეს დოკუმენტი მთავრობამ პარლამენტში გუშინ წარადგინა, მაგრამ აზრთა სხვადასხვაობა უკვე გამოიწვია.

გაგრძელება A2 გვერდზე

## ლეონსიო რაგბიდან წავიდა




*ლევან ცაბაძე დიდ სპორტს გამოეთხოვა.*

იური ლობოდინის ფოტო

## დიდი ნაბიჯი ნატო-ში ინტეგრაციისკენ

გუშინ კანცელარიაში უშიშროების საბჭოს სხდომა ჩატარდა. სხდომის დაწყებამდე საქართველოს პრეზიდენტმა სპეციალური განცხადება გააკეთა. მან უდიდეს მოვლენად მიიჩნია ბრიუსელში ნატო-ს მიერ საქართველოს ინდივიდუალური პარტნიორობის გეგმის დამტკიცება. **"ეს არის ევროატლანტიკურ სივრცეში გადადგმული ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რომელიც საქართველომ გააკეთა თავის ისტორიაში,"** - პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ ასეთი წარმატება არის თავდაცვის სფეროში განხორციელებული რეფორმების ნაყოფი, ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის შედეგი. **"საქართველო თავის ტერიტორიაზე არავის ჯარების განლაგებას არ აპირებს, მაგრამ კურსი გვაქვს აღებული, რომ გვყავდეს ეფექტური შეიარაღებული ძალები,"** - დასძენს პრეზიდენტი.

მიხეილ სააკაშვილმა კიდევ ერთხელ მადლიერებით მოიხსენია რეზერვისტები და ბრძანა: **"ნოემბრის პირველ კვირაში გავაკეთებთ კიდევ ერთ ძალინ მნიშვნელოვან განცხადებას შეიარაღებულ ძალებთან დაკავშირებით. ვამზადებთ მნიშვნელოვან საკითხს ჩვენი შეიარაღებული ძალების გაძლიერებასთან დაკავშირებით."**

უშიშროების საბჭოს სხდომაზე განსახილველ საკითხთა შორის მნიშვნელოვანი იყო ბურჯანაძის ვიზიტი მოსკოვში და ჟვანია-კოკოითის შეხვედრა. ნინო ბურჯანაძის განცხადებით, რუსეთში იგი დასვამს კონფლიქტების დარეგულირების საკითხს. **"რუსეთთან ურთიერთობა უნდა იყოს კეთილმეზობლური, ოღონდ არა ჩვენი ეროვნული ინტერესების ხარჯზე,"** - ასეთია ბურჯანაძის პოზიცია.

*24 საათი*

## ქიზიყი პარლამენტს ახალ კოდექსს უწუნებს

*უბატონობას მიჩვეული ქიზიყელები ამჯერად დინჯად ყოფნას აღარ აპირებენ და აღმასრულებელი საკანონმდებლო ორგანოს წინააღმდეგ გამოდიან. როგორც დედოფლისწყაროელი ფერმერები ამბობენ, პარლამენტის მიერ დამტკიცებული კოდექსი აგრარული სექტორის განვითარებას უშლის ხელს. იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლებამ მათი პრეტენზიები არ გაითვალისწინა, ქიზიყი სოციალური აფეთქების ზღვარზე აღმოჩნდება.*

დედოფლისწყაროელი ვანო შიოლაშვილი სპეციალობით ვეტ-ექიმია, მაგრამ მას შემდეგ, რაც ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისი დაიწყო, მან თავის პროფესიას თავი დაანება და სოფლის მეურნეობას მიჰყო ხელი. იგი უკვე მეხუთე წელია, რაც მცირე ფერმერული მეურნეობითაა დაკავებული. მას ათი ჰექტარი მიწის ნაკვეთი აქვს და ოჯახს ამით არჩენს. მაგრამ, ამჯერად, შიოლაშვილის ოჯახს, როგორც ყველა ფერმერს, საფიქრალი გაუჩნდა - კოდექსი, რომელიც ერთი მოსმენით უკვე მიიღო უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ. როგორც ბატონი ვანო ამბობს, ამით სახელმწიფო მას ლუკმაში ჩაეზიარა: **"ჯერ სარგებელი არ მინახია მიწით და უკვე ხელისუფლება მეზიარება. ჩემი მოსავალი მარტო სახლისთვის მყოფნის. ჯერ იყო და ამინდებმა გვიმტყუნა, ახლა კი - ხელისუფლებამ. იმის მაგივრად, რომ სოფელს შეღავათები დაუწესონ მიწის გადასახადებში, წელებზე ფეხს გვადგამენ."** ვანო შიოლაშვილი ხელისუფალთ მათ რაიონში ჩასვლას სთხოვს:

გაგრძელება A2 გვერდზე

### უცხოეთი

## ევროკონსტიტუცია - ახალი ერის დასაწყისი



გაერთიანებული ევროპის ისტორიაში კიდევ ერთი სადღესასწაულო თარიღი ჩაიწერა. ამიერიდან, 29 ოქტომბერს ევროკავშირის კონსტიტუციის ხელმოწერის თარიღს აღნიშნავენ.

A5

### საზოგადოება

## ახალი მემარჯვენეები ლომაიას წინააღმდეგ



"ეს არ არის აქტივობის ის ფორმა, რომელსაც საპარლამენტო პარტია უნდა იყენებდეს. საზოგადოებას მემარჯვენეების მხრიდან არანაირი არგუმენტირებული კრიტიკა არ მოუსმენია."

A6

### არჩევნები აშშ-ში

## ბუში და კერი - რომელი მათგანია ფიზკულტურელთა საუკეთესო მეგობარი

მელორ სტურუა ამერიკის შეერთებული შტატებიდან.

B1

იურიდიული ოფისი „გაპი"
და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A7

### ამინდი

| | 30/10 | 31/10 |
|---|---|---|
| თბილისი | 21 | 21 |
| ქუთაისი | 27 | 27 |
| ბათუმი | 28 | 26 |
| სოხუმი | 25 | 24 |
| ფოთი | 28 | 26 |
| თელავი | 21 | 21 |
| ზუგდიდი | 27 | 26 |
| გორი | 19 | 20 |
| ახმეტა | 21 | 21 |
| ჭიათურა | 22 | 23 |
| გაგრა | 24 | 23 |
| სამტრედია | 27 | 27 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8275 |
| ევრო | 2.3310 |
| გირვანქა სტერლ. | 3.3489 |
| რუბლი | 0.0635 |

A2 ამბები | A3 მთავარი თემა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 ენერგეტიკა | A8 ენერგეტიკა

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 ქვირა | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

## ქიზიყი პარლამენტს ახალ კოდექსს უწუნებს

პირველი გვერდიდან

**"შორიდან რომ უყურებენ ყველაფერს ვარდის ფერებში, ჩამოვიდნენ და დაგვინახონ, რა დღეში ვართ. მარტო ლაპარაკი საქმეს არ შველის,"** - იძახის ბატონი ვანო და მის გვერდზე მდგომ ხანდაზმულ მეზობელს მიმართავს: **"გიო, ე რომ მოვიკალით მიწაში თავი, თქვი რამე, თორემ ეგ ნაკვეთები ოხრად დაგრჩება."**

ახალი კოდექსი, რომელიც მიზნად ისახავს ეკონომიკაში ნამდვილ რევოლუციას, აგრარული სექტორისთვის, შესაძლოა, დამანგრეველი აღმოჩნდეს, რადგან ფერმერი იმ გადასახადებს, რომელსაც მას კანონი უწესებს, ვერ გადაიხდის. **"ადრე ვიცოდით, რომ 100 ჰექტარ მიწის ნაკვეთზე მხოლოდ მიწის გადასახადი ეკისრებოდა ფერმერს, ამჯერად კი ყველა მოსაკრებელი დაგვაკისრეს. თუ მე ამდენი თანხა არ მექნება, რატომღა მოვიკლავ თავს მიწაზე ჯაჯგურით?! თუ ვერ გადავიხდი, მაშინ გისოსებში მიკრავენ თავს. ხო და ჯობია, ქალაქში გავიქცე და სამუშაო იქ ვნახო რამე,"** - ამბობს ნოდარ ტოკლიკაშვილი.

ფერმერთა ასოციაციის დირექტორი ვახტანგ კიკილაშვილი ხელს სოფლის მეურნეობის სამინისტროსკენ იშვერს. **"ხორბალი როცა მოიწია, მინისტრმა დედოფლისწყაროში ყოფნის დროს განგვიცხადა, რომ სუფსიდიას გამოყოფდა მოსავლის დასაბინავებლად, მაგრამ დანაპირები დღემდე არ შესრულებულა. საინტერესოა, რა იქნა ის თანხა, რომელსაც მთავრობა გვპირდებოდა?"** - კითხულობს ვახტანგ კიკილაშვილი.

გლეხების პროტესტს კიდევ უფრო ამძაფრებს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების გაძვირება. მიუხედავად იმისა, რომ ამ დროისთვის კახელ გლეხს უკვე ორჯერ უნდა ჰქონოდა ნაკვეთი დამუშავებული, ამჟამად ერთხელაც არ მოუხნავთ მიწები. ამის მიზეზი კი საწვავზე ფასების ზრდაა. ერთი ლიტრი დიზელის საწვავმა რეგიონში ერთ ლარს და ათ თეთრს მიაღწია.

*ზვიად რუაძე, კახეთიდან*

## "მემარჯვენე ოპოზიციის" ლიდერი მოლაშვილ-მირცხულავას პოლიტიკურ პატიმრებად მიიჩნევს

"მემარჯვენე ოპოზიციის" ერთ-ერთმა ლიდერმა, დეპუტატმა დავით გამყრელიძემ ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარე სულხან მოლაშვილი და სათბობ-ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი დავით მირცხულავა მოინახულა.

რამდენიმე საათიანი შეხვედრიდან გამოსულმა გამყრელიძემ განაცხადა, რომ ორივე პატიმარი, როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქოლოგიური თვალსაზრისით უმძიმეს მდგომარეობაში არიან. **"სახეზეა წამების ფაქტებიც, რაზეც თუნდაც ის გარემოება მეტყველებს, რომ მძიმე მდგომარეობაში მყოფი მირცხულავა თვეზე მეტი ხნის განმავლობაში მეშვიდე საპყრობილიდან ციხის საავადმყოფოში არ გადაჰყავდათ.**

**ორივე მათგანი პოლიტიკური პატიმრები არიან, რომლებზეც მიზნობრივი ზეწოლა ხორციელდება,"** - ასეთია "მემარჯვენე ოპოზიციის" ლიდერის დასკვნა, რომელიც მონიტორინგს განახორციელებს ორივე ბრალდებულის საქმის გამოძიების პროცესზე. იგი, ასევე, საჭიროდ მიიჩნევს ორივე საქმეზე საზოგადოებრივი მონიტორინგის დაწესებას.

**"წინააღმდეგ შემთხვევაში, ის განუკითხაობა, რომელიც დღემდე არსებობდა ქვეყანაში, ხელისუფლების ნებით მომავალშიც გაგრძელდება,"** - ამბობს დავით გამყრელიძე.

გუშინვე, დაკავებიდან 6 თვის შემდეგ, სულხან მოლაშვილის ნახვის უფლება მიიღეს მისი ოჯახის წევრებმაც. ციხის საავადმყოფოში განსასჯელთან სამსაათიან პაემანზე მოლაშვილის მამა, ძმა, მეუღლე და შვილები მივიდნენ.

*24 საათი*

## ნარჩემაშვილის პატიმრობის საკითხზე სასამართლო კიდევ იმსჯელებს

"ალბათ შემდგომი პროცესიც მორიგი მასკარადი იქნება და პოლიტიკური ზეწოლის გამო მართლმსაჯულება კობა ნარჩემაშვილს წინასწარი სამთვიანი პატიმრობიდან არ გაათავისუფლებს, მაგრამ ჩვენ მისი უფლებების დაცვას ბოლომდე შევეცდებით. მართალია, პროცესის მოგების იმედი არ გვაქვს, მაგრამ კანონით მონიჭებულ ყველა უფლებას გამოვიყენებთ - საქართველოში ყველა სამართლებრივ პროცედურას ამოვწურავთ და შემდეგ საქმეს საერთაშორისო სასამართლოში გავასაჩივრებთ," - აცხადებენ სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტების, საბაჟო წესების დარღვევისა და ბიუჯეტისთვის მიყენებული ზარალის ბრალდებით რამდენიმე დღის წინ დაკავებულ-დაპატიმრებული ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრის კობა ნარჩემაშვილის ინტერესების დამცველები, რომლებმაც მათი დაცვის ქვეშ მყოფისთვის შეფარდებული წინასწარი სამთვიანი პატიმრობა უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატაში გუშინ უკვე გაასაჩივრეს. უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატა კობა ნარჩემაშვილის წინასწარ სამთვიან პატიმრობაში დატოვება-არდატოვების საკითხზე უახლოეს დღეებში იმსჯელებს.

*24 საათი*

## ბანკიდან 8 ათასი დოლარი გაიტაცეს

გუშინ, შუადღისას, თავდასხმა მოხდა თბილისში, ყაზბეგის გამზირზე მდებარე "თბილბიზნესბანკის" შენობაზე. თავდამსხმელები ბანკში მოულოდნელად შეიჭრნენ, იარაღის მუქარით თანამშრომლები დააშინეს, სალარო "გაასუფთავეს" და გაიქცნენ. დაყაჩაღებული ბანკის თანამშრომლებთან გუშინ სასწრაფოდ ჩატარდა საგამოძიებო მოქმედებები. თვითმხილველთა თქმით, ყაჩაღთა რიცხვი ორს არ აღემატებოდა. მოწმეთა განმარტებებით, თავდამსხმელები შემთხვევის ადგილიდან ავტომანქანით მიიმალნენ. პოლიციისა და პროკურატურის თანამშრომლები მომხდართან დაკავშირებით გუშინ კომენტარს არ აკეთებდნენ. წინასწარი ინფორმაციით, "თბილბიზნესბანკიდან" ყაჩაღებმა 8 ათასი დოლარი გაიტაცეს.

*24 საათი*

## კრიმინალური ავტორიტეტების პრობლემა კვლავ აქტუალურია

სამი დღის წინ სამტრედიის რაიონის სოფელ მიწაბოგირაში საკუთარი სახლის წინ, მისსავე კუთვნილ ავტომანქანაში "კრიმინალური ავტორიტეტი", 38 წლის თემურ ახობაძე ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით დაცხრილეს. მასთან ერთად შემთხვევის ადგილზევე გარდაიცვალნენ მისი მეზობლები თემურ გეგეშიძე და გია ნიკურაძე, რომლებიც თემურ ახობაძეს ჭიშკრის შესაკეთებლად თავის სახლში მანქანით მიჰყავდა.

ამ ფაქტთან დაკავშირებით სამტრედიის, ვანის და ხობის გაერთიანებულ პროკურატურას სისხლის სამართლის საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით აქვს აღძრული. როგორც პროკურორი ზაზა ცხაკაია ირწმუნება, გამოძიება რამდენიმე ვერსიაზე მუშაობს. კონკრეტულად რა მიმართულებით მიდის გამოძიება, პროკურორი გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე არ ასახელებს, თუმცა არ უარყოფს, რომ შესაძლებელია, მკვლელობა ფინანსური ანგარიშსწორების მიზეზით მოხდა. მართალია, ახობაძე, რომელიც ბოლო პერიოდში სამტრედიის რაიონში ცხოვრობდა, ოფიციალურად არსად მუშაობდა, მაგრამ იგი სხვადასხვა ბიზნესიდან წილს იღებდა. გამოძიება ამ ეტაპზე მის პიროვნებას და საქმიანობას სწავლობს.

ზაზა ცხაკაიას ინფორმაციით, არ არის გამორიცხული, რომ მკვლელი თემურ ახობაძის სახლთან იყო ჩასაფრებული და მსხვერპლს უთვალთვალებდა. ახობაძემ სახლი სულ რამდენიმე წუთით დატოვა და მკვლელობა უკან დაბრუნებისას მოხდა.

*24 საათი*

# ფინანსური ამნისტია - ინდულგენცია ცოდვების მისატევებლად



კეთილსინდისიერ და "ჟულიკ" გადამხდელებზე კამათმა პარლამენტის ბიუროში გადაინაცვლა.

იური ლობოდინის ფოტო

პირველი გვერდიდან

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე რომან გოცირიძე აცხადებს, რომ ფინანსური ამნისტია ქვეყნის ეკონომიკურ ინტერესებს მოემსახურება, რადგან ახალი სამუშაო ადგილების შექმნას გამოიწვევს, ადამიანები დამალულ ფულს გამოაჩენენ და მას სხვადასხვა სფეროებში დააბანდებენ. გოცირიძის აზრით, კანონი საჩქაროდ მიღებას საჭიროებს, რადგან **"საბანკო არხებით მეზობელ ქვეყნებში გარკვეული თანხების გადინება უკვე დაწყებულია."**

"არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებებისა და ქონების ლეგალიზაციის შესახებ" კანონპროექტი მემარჯვენე ოპოზიციის ლიდერებს ბევრ კითხვის ნიშანს უჩენს. მაგალითად, ზურაб ტყემალაძისთვის გაუგებარია, რატომ არ უნდა შეეხოს ფინანსური ამნისტია იმ პირებს, ვის წინააღმდეგაც უკვე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

**"მთავრობის მიერ წარმოდგენილი კანონპროექტის მიხედვით, კეთილსინდისიერი გადამხდელები ისჯებიან, "ჟულიკი" არგადამხდელები კი გადასახადისგან თავისუფლდებიან. ამნისტიის იდეა მთლიანობაში კარგია, მაგრამ მას შეიძლება ძალიან ცუდი შედეგები მოჰყვეს,"** - მიაჩნია ტყემალაძეს. მისი თქმით, მემარჯვენე ოპოზიცია კანონპროექტს მხარს არ დაუჭერს, თუმცა, გამოთქვამს იმედს, რომ იგი ჩასწორდება და მისაღები გახდება. დოკუმენტის "გასაკეთილშობილებლად" დეპუტატს აუცილებლად მიაჩნია ინტერფრაქციული ჯგუფის შექმნა.

სხვათა შორის, ფინანსური ამნისტიის მორალური მხარე არც საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერს მაია ნადირაძეს აღაფრთოვანებს, რომლის აზრითაც, ამნისტიის პროცედურა ინდულგენციის ელემენტებს ნამდვილად შეიცავს.

მთავრობას პარლამენტში წარდგენილი აქვს კიდევ ერთი კანონპროექტი, რომელმაც ბიუროს წევრები გუშინ საკმაოდ დააბნია. იგი ფინანსთა და იუსტიციის მინისტრებისთვის საიდუმლო დოკუმენტების გამოცემის უფლების მინიჭებას ითვალისწინებს.

**"ნოღაიდელმა ბარემ ორი ტანკიც შეიძინოს და..."**, - ლამის პინოჩეტად წარმოაჩენს გიორგი ხევიაშვილი ფინანსთა მინისტრს, რომელთანაც აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს წინა დღეს დიდი დავა ჰქონდა საგადასახადო კოდექსის პროექტთან დაკავშირებით.

გაცილებით "მშვიდობიანი" ხასიათისაა გიგა ბოკერიას საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც თბილისისა და ფოთის მერების არჩევითობას (სხვა ქალაქებში მერის თანამდებობა უკვე არჩევითია) ითვალისწინებს. ამჟამინდელი მერებისა და გამგებლების უფლებამოსილების ვადა 2006 წლის გაზაფხულზე იწურება, თუმცა გიგა ბოკერია ვადამდელი არჩევნების ჩატარებასაც არ გამორიცხავს.

# "ენერგომომარაგებაში პრობლემები არ იქნება!" - აცხადებს გილაური

*"24 საათის" გუშინდელ ნომერში გამოქვეყნებულ მასალას სომხეთიდან იმპორტის გართულების თაობაზე, ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური გამოეხმაურა და ყველა ის არგუმენტი დაასახელა, რომელთა გამოც, მოულოდნელი გართულებების მიუხედავად, ქვეყანას ენერგოდეფიციტის გაღრმავება არ ემუქრება.*

მაია ურუშაძე

**"დივერსიის შედეგად წაქცეული 500-კილოვოლტიანი ხაზის** (იგულისხმება "ქართლი-2"-ის აფეთქება) **ანძა დღესვე აღდგება,** - განაცხადა ენერგეტიკის მინისტრმა გუშინ, "24 საათთან" საუბრისას, - **სემეკმა სომხეთიდან დენის გაძვირებული ტარიფით - 2,75 ცენტად შემოტანის ლიცენზია მისცა "თელასსაც", რომელიც დღეს საღამომდე 100 მეგავატის იმპორტს დაიწყებს. ამასთან, დეფიციტი შეივსება, რადგან თუ გაუთვალისწინებელი არაფერი მოხდა (რასაც ამ ეტაპზე არანაირად არ ველით), "თელასი" მომავალი კვირის ბოლომდე რუსეთიდან დამატებით კიდევ 100 მეგავატს შემოიტანს."**

მოსალოდნელი კრიზისის მიზეზი კი ის გახლდათ, რომ სომხურმა მხარემ ქართველ დისტრიბუტორებს საიმპორტო ტარიფი მოულოდნელად გაუძვირა. ამასობაში, "ქართლი-2"-ის აფეთქების გამო, დასავლეთ საქართველოდან 130 მეგავატ სიმძლავრეზე მეტის შემოტანა შეუძლებელი იყო. ამიტომ, აღმოსავლეთ საქართველოს ენერგომომარაგება, მთელი ამ პერიოდის განმავლობაში, დასავლეთიდან შემოსული 130 მეგავატი სიმძლავრის დენით, მეცხრე ბლოკის გამომუშავებითა და "ხრამი-1"-ზე ნაწარმოები დენით ხდებოდა. **"ამას დაემატა გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანიის მიერ სომხეთიდან იმპორტირებული 60 მეგავატი, რომლითაც სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის დიდი ნაწილის მომარაგების პრობლემა მოიხსნა,"** - აცხადებს მინისტრი.

მისი თქმით, დასავლეთ საქართველოში ელექტრომომარაგების პრობლემა არ არის - აქ დენი მისი საფასურის გადახდის მიხედვით ნაწილდება და, შედეგად, მხოლოდ არგადამხდელი რეგიონები იზღუდებიან. **"აქტიურად გვეხმარებიან ადგილობრივი გუბერნატორები. გურიაში დენის საფასურის ამოღება სამმაგად და ოთხმაგად გაიზარდა და ახლა აქ ისეთი ელექტრომომარაგებაა, როგორიც ძალიან დიდი ხანია, არ ყოფილა. ანალოგიური ვითარებაა კარგ გადამხდელ აჭარაშიც. იმერეთში სერიოზული პრობლემა არ არის. ამ ცოტა ხნის წინ წყალტუბოს ელექტრომომარაგება იყო შეფერხებული, ახლა კი ეს პრობლემაც მოიხსნა,"** - დასძინა მინისტრმა.

მისი თქმით, ახლა რეგიონებში დაწესებულია გრაფიკები, რომელთა ფუნქციონირებაც მოსახლეობას სავსებით აკმაყოფილებს.

გილაურის ინფორმაციით, სემეკის გადაწყვეტილება "თელასისთვის" დენის 2,75 ცენტად შემოტანის უფლების მინიჭების თაობაზე, რომელსაც კომისიის გუშინდელ სხდომაზე მრავალი ოპონენტი ჰყავდა, სამართლიანია, რადგან **"როგორც კი გამოჩნდება რომელიმე კომპანია, რომელიც "თელასზე" იაფად შემოიტანს დენს, "თელასის" ლიცენზია მაშინვე გაუქმედება და პრიორიტეტი იაფ იმპორტიორს მიენიჭება."**

ამასთან, მინისტრი მიიჩნევს, რომ მიუხედავად სომხური ექსპორტიორის "მიჯიზგაინენერგეტიკკორპორაციის" მიერ ტარიფის მომატებისა, მომხმარებელი არ დაზარალდება და არც სამომხმარებლო ტარიფის მატების აუცილებლობა იქნება, რადგან **"ლარის კურსის ცვლილების გამო, ახლა ეს 2,75 ცენტი უფრო იაფი გამოდის, ვიდრე შარშან 2,5 ცენტი გამოდიოდა."**

*P.S. ეს წერილი უკვე მზად იყო, როდესაც მინისტრმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ "საქრუსენერგომ" დაზიანებული ანძა ნამდვილად აღადგინა, რითაც აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შორის ელექტროენერგიის გადადინების პრობლემა მოგვარდა.*

# ექვსი ხელმოწერა ბრეგაძის წინააღმდეგ

*უკვე თვეზე მეტია, რაც საკრებულოს სხდომებზე "ლეიბორისტები" ქალაქის პრემიერის იმპიჩმენტის საკითხს აყენებენ. ამ საკითხთან დაკავშირებით მათ ხელმოწერების შეგროვებაც დაიწყეს და დღეისთვის ფრაქციის წევრების ექვსი ხელმოწერაც აქვთ. ქალაქის პრემიერი საკრებულოს სხდომაზე 5 ნოემბერს წარდგება ანგარიშით. "ლეიბორისტების" კრიტიკას ვერც ქალაქის მერი გადაურჩა. გუშინ "შრომის პარტიის" წევრებმა საკრებულოს სხდომაზე ზურაბ ჭიაბერაშვილის პასუხისმგებლობის საკითხიც დააყენეს. ისინი ჭიაბერაშვილს ადანაშაულებენ ცესკო-ს თავმჯდომარეობის დროს თანხების არამიზნობრივ ხარჯვაში.*

თამარ დვალი

სანამ "ლეიბორისტები" გუშინდელ საკრებულოს სხდომაზე ქალაქის მერის პასუხისმგებლობის საკითხს დააყენებდნენ, ორიოდე სიტყვით მერის მიერ დაწუნებული საათის საკითხსაც შეეხნენ. **"რა საათომანია აუტყდა ამ ხელისუფლებას?! ჯერ იყო და სააკაშვილმა დაიწუნა შევარდნაძის დატოვებული საათი, ახლა ჭიაბერაშვილი იწუნებს გამგებლის მიერ ნაჩუქარ საათს. ამ საქციელის წასახალისებლად იგი პრეზიდენტისაგან კვლავ საათს ღებულობს. იქნებ ბატონი ზურა იმ საკითხითაც დაინტერესებულიყო, თუ რა ფასიანი საათი უსახსოვრა სააკაშვილმა,** - ამბობენ "ლეიბორისტები" და "საათომანიას" ხელისუფლებაში ყოფნის დათვლილ საათებს უკავშირებენ.

გუშინდელ სდომაზე მუზეუმ "ქარვასლას" კულტურის სამინისტროსთვის გადაცემის საკითხი განიხილეს. მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული მუზეუმის სამინისტროსთვის დაქვემდებარების მოთხოვნით, მინისტრმა გოკა გაბაშვილმა ქალაქის პრემიერს ბიძინა ბრეგაძეს მიმართა. მაგრამ, მუზეუმის კოლექტივმა საკრებულოს სთხოვა, რომ მუზეუმი კვლავ მუნიციპალიტეტის ბალანსზე დარჩეს. **"მუზეუმი არ განიცდის სხვა სისტემაში გადასვლის საჭიროებას. მით უფრო, მისი შერწყმა და გაერთიანება სხვა პროფილის მქონე მუზეუმებთან გამოიწვევს ძირითადი ფუნქციის დაკნინებას და შინაარსობრივ სახეცვლილებას, რაც იურდიულად არ არის მიზანშეწონილი,"** - ნათქვამია კოლექტივის მიმართვაში.

გუშინდელ სხდომაზე განიხილეს საკითხი, რომლის მიხედვით, შპს "თბილწყალკანალი" მოსახლეობის მიერ თანხების ჩამოწერაზე განცხადებების მიღებას 2005 წლის 31 დეკემბრამდე გააგრძელებს.

თბილისის მუნიციპალიტეტი მომავალი წლის საქალაქო ბიუჯეტიდან ფულად დახმარებას მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფი ისეთი მოსახლეობისთვისაც გაიღებს, რომელიც სოციალურად დაუცველთა არც ერთ კატეგორიას არ განეკუთვნება. საკითხის მოსაგვარებლად საკრებულოში სპეციალური კომისია შეიქმნა, რომელიც 2005 წლის მუნიციპალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების განკარგვის წესს შეიმუშავებს.

## შევარდნაძის მორიგი "მარჯვენა ხელი" დააკავეს

გენერალურ პროკურატურაში რამდენიმე კვირის წინ მოწმის სტატუსით დაბარებული სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ირაკლი ანდრიაძე, დაკითხვის შემდეგ, გულის სტენოკარდიული შეტევით ჩაფიძის კლინიკაში კარგა ხანს იწვა. რამდენიმე დღის წინ საავადმყოფოს პალატიდან გამოწერილი ყოფილი მაღალჩინოსანი გუშინ წინასწარი დაკავების საკანში მოხვდა. გენერალური პროკურატურის მიერ დაკითხვაზე კვლავ გამოძახებული ირაკლი ანდრიაძე გამომძიებელთან არ გამოცხადდა. ამის გამო სამართალდამცველებმა გუშინ სახლში მიაკითხეს და დააკავეს. ედუარდ შევარდნაძის სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაშია ბრალდებული და გენერალური პროკურატურა მას ბიუჯეტისთვის 700 ათასი ლარის ზარალის მიყენებაში ადანაშაულებს. ბრალდების ერთ-ერთი ნაწილით, ირაკლი ანდრიაძე ეჭვმიტანილია წყნეთის მიწების უკანონო გასხვისებაში. კერძოდ, საუბარია სახელმწიფო აგარაკების არამიზნობრივ განკარგვაზე.

*24 საათი*

### მოკლედ

## ქართული მოსახლეობა ცხინვალის რეგიონში მუდმივ სტრესშია

პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი კომისიის თავმჯდომარის ვასილ მაღლაფერიძის განცხადებით, ცხინვალის რეგიონში დაძაბული ვითარებაა, პერმანენტულად ისმის სროლის ხმა, როგორც ავტომატური იარაღიდან, ისე ყუმბარმტყორცნიდანაც. ვასილ მაღლაფერიძის ინფორმაციით, ცხინვალის რეგიონში დიდი ხანია, მოქმედებს მაჟორიტარი დეპუტატის გურამ ვახტანგიშვილის ბიურო, პარლამენტის სხვა დეპუტატებიც აპირებენ ბიუროს გახსნას და რეგიონში მორიგეობით ჩასვლას, მით უმეტეს, რომ ქართული მოსახლეობა მორალურად უმძიმეს მდგომარეობაშია, განსაკუთრებით ბავშვები, და ქართველი პარლამენტარების რეგიონში ყოფნა მათთვის სერიოზული მხარდაჭერა იქნება. "წარმოიდგინეთ ასეთი ვითარება, ახლა ვუყურებ სკოლის წინ მოთამაშე ბავშვებს, ახლოს კი ოსების სამხედრო პოზიციებია. ვინ შეიძლება იყოს დაცული ასეთ მდგომარეობაში?" - აცხადებს მაღლაფერიძე. ამასთან, ქართული მხარე ჰუმანიტარულ აქციებს აგრძელებს. ჰუმანიტარულმა ორგანიზაციამ "კარიტასმა" 300 ტონა ქვანახშირი და 200 ცალი ღუმელი ჩაიტანა რეგიონში. საწვავი განაწილდება სკოლებზე, საბავშვო ბაღებსა და საავადმყოფოებზე.

თავად ვასილ მაღლაფერიძე ცხინვალის რეგიონში 28 ოქტომბერს ჩავიდა და იქ ერთ კვირას დარჩება. იგი თვითგამოცხადებული ხელისუფლების წარმომადგენლებსაც შეხვდება. **მედია-ნიუსი**

### ორი სიტყვით

**თბილისი.** გუშინ თბილისში გაიმართა საქართველოსა და გერმანიის ფედერალური მთავრობის წარმომადგენლებს შორის რეადმისის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებათა პირველი რაუნდი. რეადმისის ხელშეკრულების მიზანია გამარტივდეს სამშობლოში დაბრუნების პროცედურა ორივე ქვეყნის მოქალაქეებისათვის, რომლებიც მეორე მხარის ტერიტორიაზე არალეგალურად იმყოფებიან.ამ ხელშეკრულების გაფორმებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგმება არალეგალური მიგრაციის და ადამიანებით ვაჭრობის შეზღუდვის თვალსაზრისით. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფოთში, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საჰაერო თავდაცვის მე-2 ბაზაზე საზენიტო-სარაკეტო კომპლექსის "სუ-125"-ის აღდგენის ძირითადი სამუშაოები დასრულდა. აღნიშნული კომპლექსი საჰაერო ძალებს 1993 წელს საბჭოთა კავშირის დროინდელი შეიარაღებიდან დარჩა, თუმცა 1997-1998 წლებში ჩატარებული წვრთნების შემდეგ უმოქმედოდ იყო გაჩერებული. ქართველმა სპეციალისტებმა მისი აღდგენა 2004 წლის აპრილიდან დაიწყეს. საზენიტო-სარაკეტო კომპლექსის გამოცდა ჯერ არ იგეგმება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტის წევრები თბილისის მერიაში მიმდინარე პროცესებით დაინტერესდნენ და თბილისის მერის ზურაბ ჭიაბერაშვილის განმარტების მოსმენა სურთ. პარლამენტარ მამუკა გაჩეჩილაძის ინფორმაციით, პარლამენტის წევრებს აინტერესებთ თბილისის მერიაში მიმდინარე პროცესები. კერძოდ, ფინანსების განკარგვის საკითხი და კადრების სისტემური ცვლილებების მიზეზი. ამისათვის თავად მამუკა გაჩეჩილაძემ, რეგლამენტის შესაბამისად, თბილისის მერს ზურაბ ჭიაბერაშვილს დეპუტატის შეკითხვა გაუგზავნა. საქართველოს პარლამენტში ზურაბ ჭიაბერაშვილს საკომიტეტო მოსმენაზე ან პლენარულ სხდომაზე, სავარაუდოდ, მომავალ კვირაში დაიბარებენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ბათუმი.** არასამთავრობო ორგანიზაცია "კმარა" კობა ხაბაზს დაუპირისპირდა. "კმარელები" აჭარის მთავრობის თავმჯდომარეს ლევან ვარშალომიძეს ხაბაზის გადასაყენებლად ერთკვირიან ვადას აძლევენ, წინააღმდეგ შემთხვევაში საპროტესტო აქციებით იმუქრებიან. "კმარელების" განცხადებით, აჭარის მოქმედი ხელისუფლება "უმოქმედოა და ვერ ართმევს თავს იმ დიდ პასუხისმგებლობას, რომელიც რევოლუციის შემდეგ თავის თავზე აიღო". "კობა ხაბაზმა, რომელიც ერთდროულად ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი და აჭარის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეა, ჯანდაცვის მინისტრის სავარძელი უნდა დათმოს, ვინაიდან მისი ხუთთვიანი მოღვაწეობა ამ სფეროში ყოვლად წარუმატებელი აღმოჩნდა" - აცხადებენ "კმარელები". **ინტერ-პრესი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯიქჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# რა ინტერესები ეჯახება ერთმანეთს აფხაზეთში?

## ქართველ პოლიტიკოსთა კომენტარები

**პაატა ზაქარეიშვილი:**



- აფხაზეთში სიტუაცია დღესდღეობით კონტროლს ექვემდებარება, მაგრამ წინასწარ რაიმეს დაბეჯითებით თქმა ძნელია. ჯერ კიდევ ყველაფერია მოსალოდნელი. ბაღაფშს ჰყავს ძალიან ბევრი მომხრე. ბაღაფშის მხარდამჭერთა ინტერესებში არანაირად არ შედის დაპირისპირება და სისხლისღვრა. მათ ხელს აძლევს ცივილიზებური მეთოდებით ვითარების დარეგულირება. აქედან გამომდინარე, ისინი ყველაფერს გააკეთებენ, რათა პროცესები კონტროლს დაექვემდებაროს და სერიოზული დაძაბულობა გამოირიცხოს.

ამგვარ ვითარებას აშკარად უპირისპირდება ხაჯიმბას ხალხი, თანაც მხოლოდ მისი გარკვეული ნაწილი. აფხაზების უმრავლესობა მიხვდა, რომ ხაჯიმბამ საბოლოოდ წააგო. აფხაზეთის მთელი ხელისუფლება - სასამართლო, პროკურატურა, პოლიცია და თვით სპეცსამსახურებიც კი, ბაღაფშის მხარეს არიან, ან ნეიტრალიტეტი უჭირავთ, ხაჯიმბას მხარეს არავინ დგას. მას ისეთი ხალხიც კი არ შემორჩა, ვინც შეიძლება, იარაღი გაისროლოს.

ერთადერთი რუსეთის მხრიდან შეიძლება ჰქონდეს ადგილი პროვოკაციულ გამოხდომებს, გარკვეული ჯგუფების სახით. ღია ფორმით, საჯაროდ, ბაღაფშთან დაპირისპირება გამორიცხულია.

არსებობს სრულიად ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციები. რუსეთის წყაროები და აფხაზეთის პრეზიდენტის სამსახური ავრცელებენ ინფორმაციას, რომ არჩევნები ხელმეორედ დაინიშნება დეკემბრისათვის, ხოლო სასამართლო ამბობს, რომ საბოლოოდ ბაღაფში გაიმარჯვებს. გაურკვეველია, რომელი ინფორმაცია შეესაბამება სიმართლეს.

რუსეთის როლი ამ პროცესებში პირდაპირი და გადამწყვეტია. ამ ქვეყნისგან ჩვენ ყოველთვის ცივილიზებული ნაბიჯების გადადგმას ველით, რაც არასოდეს ამართლებს. არ არის გამორიცხული, რომ რუსეთს უნდა უკრაინის არჩევნების საფარქვეშ პროვოკაცია განახორციელოს აფხაზეთში და არ დაუშვას იქ ნორმალური პროცესების განვითარება. თუ აფხაზებმა პუტინის პოლიტიკის საწინააღმდეგო გადაწყვეტილება მიიღეს, რუსეთს ურჩევნია, რომ აფხაზეთში იყოს არეულობა და დაძაბულობა.

სისხლისღვრის შემთხვევაში საქართველო იძულებული და ვალდებულიც იქნება, სერიოზული ნაბიჯები გადადგას სიტუაციის დასარეგულირებლად - აფხაზეთი ხომ საქართველოს ტერიტორიაა, იქ მცხოვრებნი საქართველოს მოქალაქეები არიან. არჩევნობანას და დემოკრატობანას თამაში კიდევ ასატანია, მაგრამ თუ იქ სისხლი დაიღვრება და ადამიანის უფლებები პირდაპირი გაგებით შეილახება, ეს უკვე სერიოზულ ქმედებას მოითხოვს ოფიციალური თბილისის მხრიდან. ჩემი აზრით, რუსეთი მაქსიმალურად ცდილობს საქართველოს ჩათრევას. აღტაცებული ვარ საქართველოს ხელისუფლების გონივრული ქმედებით. იგი დღემდე არ ერევა პროცესებში, არჩევნები უკანონოდ აღიარა, მაგრამ მასზე არანაირ ზემოქმედებას არ ახდენს. რუსეთს ეს აშკარად აღიზიანებს, ამიტომაც უნდა ჩვენი ჩათრევა.

ასეთ ვითარებაში ერთი მნიშვნელოვანი კითხვა ისმის: პროცესების სავალალო განვითარების შემთხვევაში, შეგვწევს უნარი, გვაქვს რესურსები საიმისოდ, რომ სისხლისღვრა აღმოვფხვრათ? ამ მხრივ ჩვენ ძალიან მძიმე მდგომარეობაში ვართ და არსებობს საშიშროება, რომ რუსებმა გამოგვიჭირონ. ყველაფერი დამოკიდებულია აფხაზი ხალხის გონივრულობაზე. მათ არ უნდა დაუშვან სისხლისღვრა. მე ვფიქრობ, ასეც მოხდება.

პირადად მე პრინციპულად გამოვრიცხავ გრძელვადიან შეიარაღებულ დაპირისპირებებს მხარეებს შორის, ვინაიდან ბაღაფშის მხარესაა უმრავლესობა, მათ შორის - ისინიც კი, ვინც ხმა ხაჯიმბას მისცა. არ უნდა ავყვეთ ამ ორდღიან პროვოკაციას და მოვლენათა შემდგომ განვითარებას დაველოდოთ. თუ ყველაფერი საზღვარს გადასცდა, საქართველოს ხელისუფლების ქმედება გარდაუვალი იქნება. შესაბამისი გეგმა ხელისუფლებაში უკვე უნდა არსებობდეს. აფხაზეთში ალალ-ბედზე შესვლა ჩაგვითრევს შეიარაღებულ სისხლისღვრაში. მსგავსი რამ რუსეთს არ გამოუვიდა ცხინვალში.

უკრაინის არჩევნების საფარქვეშ, როცა მთელი მსოფლიო გადართული იქნება ამ პროცესებზე და ამას ამერიკის არჩევნებიც დაემატება, საერთაშორისო საზოგადოებრიობას საქართველოსთვის, მით უფრო აფხაზეთისთვის, არ ეცლება. ასეთ ვითარებაში რუსეთს არ უნდა მივცეთ სერიოზულ ესკალაციაში ჩათრევის საშუალება. ამ გადამწყვეტ ორ დღეში გამოჩნდება, რამდენად ადეკვატურ რეაგირებას მოვახდენთ არაადეკვატურ სიტუაციაში.

**ნოდარ ნათაძე:**



- მე მესმის, რომ შევარდნაძე იყო რუსეთის აგენტი და ანტიქართულ პოლიტიკას ეწეოდა; მესმის, რომ ჟვანია ადგას ამ პოლიტიკას, იმიტომ რომ ისიც რუსეთის აგენტია; საკაშვილი რატომ უნდა ადგეს ამ პოლიტიკას, ჩემთვის გაუგებარია.

საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკა არჩევნებთან დაკავშირებით უნდა იყოს აბსოლუტურად მდუმარე. უნდა გაკეთდეს ერთადერთი კომენტარი, რომ ვინც არ უნდა იყოს არჩეული, არის უკანონო. გაკეთდა კიდეც, საერთოდ ამაზე პრესაში მსჯელობა და შეფასებები არ არის მიზანშეწონილი.

აფსუა სეპარატისტებს, ჩვენი ერისაგან განსხვავებით, ძალიან დიდი ერთსულოვნება ახასიათებთ. ისინი ნახულობენ საერთო ენას, როცა ამის საჭიროება იქმნება. ასე რომ, იქ სისხლისღვრამდე და ურთიერთდაპირისპირებამდე არ მივა საქმე. ბაღაფში იქნება რუსეთის სრულ მორჩილებაში, ისე როგორც ამას მისი მეტოქე გააკეთებდა. საქართველოს ხელისუფლება ვალდებულია, ყველა ზომა მიიღოს იმისთვის, რომ მისმა მოქალაქეებმა ერთმანეთი არ დახოცონ. რაკი ეს მას პრაქტიკულად არ შეუძლია, ჩვენ გვრჩება ერთადერთი გზა: უნდა ვნატრობდეთ, რომ აფხაზეთში სისხლი არ დაიღვაროს.

სანამ საქართველო რუსეთს ყველაფერს უთმენს, რუსეთის შეფურთხებულს იწმენდს, მანამდე რუსეთი თავის პოლიტიკას არ შეცვლის. გარდა იმისა, რომ საქართველო უნდა ამხილებდეს რუსეთის ხელისუფლებას, მას უნდა ჰქონდეს შემუშავებული იდეალურად სამართლიანი, იდეალურად სიცოცხლისუნარიანი, პერსპექტიული ფორმულირება აფხაზეთის სტატუსის ყველა დეტალის შესახებ. მსოფლიომ უნდა იცოდეს საქართველოს პოზიცია, როგორ აპირებს იგი თბილისსა და სოხუმს შორის უფლებამოსილების გამიჯვნას, როგორ აპირებს აფხაზეთის შინაგან მოწყობას... ყველაფერი ეს უნდა იყოს ზუსტად ფორმულირებული.

გეტყვით ჩვენი ხელისუფლების ერთ ძალიან დიდ შეცდომაზეც; მოიფიქრებენ რაღაც გეგმას, დაწერენ, წინ დაუდებენ აფსუას და ეუბნებიან - აი, მე ეს მოვიაზრე და შენ გაგვაკრიტიკეო. საქართველოს ხელისუფლებამ აფხაზურ მხარეს კატეგორიულად უნდა მოსთხოვოს გეგმის წარდგენა - როგორ აპირებს პრობლემის მოგვარებას, რას უპირებს ლტოლვილებს, იქ დარჩენილ ქართულ მოსახლეობას, რას უპირებს ქართულ ძეგლებს და ა.შ. როცა აფსუები თავიანთ პოზიციას ოფიციალურად დააფიქსირებენ, მათი კაციჭამიური ბუნება ყველასთვის ნათელი გახდება.

**გიორგი ხაინდრავა:**



- სახეზეა ზეწოლა გარე ძალებისა, თუმცა ისიც ცხადია, რომ ეს მცდელობა განწირულია. აფხაზეთის საზოგადოებამ გამოთქვა კონკრეტული აზრი, დღეს ბაღაფში არის დე-ფაქტო პრეზიდენტი. აფხაზეთის უმაღლესი სასამართლოს კოლეგიის მოსამართლე აცხადებს, რომ იგი ხაჯიმბას მომხრეების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა, როცა რიგით მეორე გადაწყვეტილებას იღებდა. თავის მხრივ, აღძრულია სისხლის სამართლის საქმე იმ პირთა მიმართ, რომლებმაც სასამართლოზე იერიში მიიტანეს. ჩემი ვარაუდით, სამხედრო შეტაკება გამორიცხულია. უახლოეს პერიოდში სასამართლო ბათილად ცნობს რიგით მეორე გაწყვეტილებას და ბაღაფშს აღიარებს აფხაზეთის პრეზიდენტად.

რაც შეეხება რუსეთის ფაქტორს, ახლა 21-ე საუკუნეა, რუსეთის პოლიტიკა დღეს თავის შედეგს ვერ იმკის, როგორც ამას წინათ ახერხებდა. პირიქით, რუსეთი ყველას წინაშე თავს უხერხულ მდგომარეობაში იგდებს.

**მამუკა არეშიძე:**



- ჩვენი მასმედიის ზოგიერთი საშუალების თუ ექსპერტის შეფასებით, თითქოსდა რუსეთის პოლიტიკამ აფხაზეთში მარცხი განიცადა, რაც არასწორია. ეს შეიძლება იყოს ტაქტიკური შეცდომა, მაგრამ სტრატეგიული თვალსაზრისით, რუსეთისთვის არაფერი იცვლება, სხვათა შორის - არც საქართველოსთვის. ის ადამიანები, რომლებიც ახლა აფხაზეთის ხელისუფლებაში მოდიან, უფრო ჭკვიანები და სერიოზული ნაციონალისტები არიან, ვიდრე არძინბას ხელისუფლებაში მყოფი ხალხი იყო. აქედან გამომდინარე, ვერ დავეთანხმები მოსაზრებას, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა ბაღაფშთან მოლაპარაკებებით აღდგება.

ბაღაფშსა და მის გარემოცვას, ამ უკიდურესად პროაფხაზური ორიენტაციის ხალხს, აქვს ძალიან სერიოზული კონტაქტები მოსკოვში. ისინი შეეცდებიან, სათავისოდ გამოიყენონ რუსული კაპიტალი, რუსეთის ყოველნაირი დახმარება და ყურადღება. ისინი ჩვენს გამოყენებასაც შეეცდებიან და არა მგონია, ქართულ მხარესთან დათმობაზე წამოვიდნენ. დათმობაში, უპირველესად, ლტოლვილების დაბრუნებას ვგულისხმობ.

არა მგონია, ბაღაფშის გამარჯვება ეჭვქვეშ დადგეს, მაშინ სერიოზული კატაკლიზმები უნდა მოხდეს უკრაინაში. რა შუაშია აფხაზეთი და უკრაინა? რუსეთი ერთდროულად სამ ფრონტზე იბრძვის - ბელორუსი, უკრაინა და აფხაზეთი. სამივეგან საარჩევნო პროცესია. აქ არის ინტერესთა შეჯახება ამერიკა-დასავლეთსა და რუსეთს შორის. ეს შეუიარაღებელი თვალითაც კი ჩანს. უკრაინაში სამოქალაქო ომი რომ შეიძლება დაიწყოს, ამ აზრს ბევრი ექსპერტი ადასტურებს. რუსეთი არ უნდა დამარცხდეს არც ერთ ამ რეგიონში. ყოველ შემთხვევაში, ასე აქვს გადაწყვეტილი. თუ უკრაინაში რუსეთი დამარცხდა, ასეთ შემთხვევაში არ არის გამორიცხული, რომ აფხაზეთში მკაცრი ზომები მიიღოს და თავისი კაცი გაიყვანოს. უზენაესი საასამართლოს სხდომა ამიტომაც არ აჩქარებს გადაწყვეტილების მიღებას. თუ, ვთქვათ, უკრაინაში გაიმარჯვა რუსეთის კანდიდატურამ და ყველაფერი წყნარად დამთავრდა, არ არის გამორიცხული, აფხაზეთში რუსეთმა დემოკრატიულობანას თამაში დაიწყოს და ბაღაფშს გასვლის საშუალება მისცეს.

თავის მხრივ, გამარჯვების შემთხვევაში, ბაღაფში მაქსიმალურად შეეცდება, დასავლეთი თავისი ხელისუფლების დემოკრატიულობაში დაარწმუნოს და საქართველოს საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერა დააკარგვინოს აფხაზეთის პრობლემის მოსაგვარებლად. ერთი სიტყვით, ბაღაფში ბევრად უფრო სერიოზული მეტოქეა, ვიდრე იქნებოდა ხაჯიმბა.

აქვე იმასაც დავძენ, რომ უკრაინის და აფხაზეთის საკითხები პუტინის ადმინისტრაციაში დილის თათბირებზე განხილვის თემაა...

**ვაჟა ლორთქიფანიძე:**



- ხაჯიმბა უშიშროების სამსახურის ყოფილი თანამშრომელია. ბუნებრივია, მას მხარს უჭერს "ფეესბე" და მისი ხელმძღვანელები. სპეცსამსახურებმა დაარწმუნეს პუტინის ადმინისტრაცია, რომ ხაჯიმბა იყო უკეთესი კანდიდატი.

ბაღაფშიც მკაფიოდ პრორუსული ორიენტაციის კაცია, მას შესანიშნავად იცნობენ რუსეთში. არ ვეთანხმები მითს მისი პროქართული ორიენტაციის შესახებ. ის ფაქტი, რომ მას ქართველი ცოლი ჰყავს, საქმეს არ ცვლის. გახსოვთ, ალბათ, რასაც სჩადიოდა ბაღაფში 1989 წელს სოხუმში, 1990-91 წლებშიც იგივე დამოკიდებულება ჰქონდა ქართველების მიმართ. რამდენადაც ვიცი, მას შემდეგ ბაღაფშს ცოლი არ შეუცვლია, ისევ ის ქართველი ცოლი ჰყავს. იმასაც გეტყვით, რომ, როცა ბაღაფში ე.წ. აფხაზეთის წარმომადგენლად დანიშნეს, რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში სოლიდური ფართი გამოუყვეს და სასათბურე პირობებში ჰყავდათ. ბაღაფშს ძალიან კარგად იცნობენ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში, უშიშროების საბჭოში, პუტინის ადმინისტრაციაში. ჩემი აზრით, რუსეთში უწყებრივ დონეზე დაპირისპირება მოხდა.

დღეს აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ აფხაზების მენტალიტეტი. იქ ყველა სასამართლოზე მაღლა დგას უხუცესთა საბჭოს, ხალხის აზრი. ბაღაფშმა ხალხის მხარდაჭერა მოიპოვა. ხელახალი არჩევნები რომ ჩატარდეს, ისევ ის გაიმარჯვებს. საბოლოო ჯამში, რუსეთი არაფერს კარგავს, იგი მიხვდა თავის "უწყებრივ შეცდომას" - ბაღაფში და ხაჯიმბა მისთვის ტყუპისცალებია.

# სეპარატიზმის და დემოკრატიის შეუთავსებლობა

პირველი გვერდიდან

რესპუბლიკის უზენაესმა სასამართლომ, საპრეზიდენტო არჩევნების ხმის დამთვლელი კომისიის მუშაობის შედეგებზე დაყრდნობით, აფხაზეთის პრეზიდენტად სერგეი ბაღაფში გამოაცხადა. ამ გადაწყვეტილების გამოცხადებისთანავე პრეზიდენტობის მეორე კანდიდატის - რაულ ხაჯიმბას ასამდე მომხრე უზენაესი სასამართლოს შენობაში შეიჭრა. ისინი არჩევნების შედეგების გაუქმებას ითხოვდნენ - ემუქრებოდნენ მოსამართლე აკაბას, პროკურორ მიმოზა ციუჟბას; გატეხეს სეიფები და იქ არსებული საარჩევნო დოკუმენტაცია დაწვეს. რამდენიმე საათის შემდეგ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ გიორგი აკაბამ გადაწყვეტილება შეცვალა და 3 ოქტომბრის არჩევნები ჩაშლილად გამოაცხადა.

ხაჯიმბასა და ბაღაფშის მომხრეებს შორის სერიოზული შეტაკება მოხდა. ადგილობრივ მილიციას დაშავებულები საკაცეებითაც კი გაჰყავდა.

მთელი ღამის განმავლობაში სოხუმი ორ ბანაკად იყო გაყოფილი - ქალაქის ცენტრში ბაღაფშის მომხრეთა ორიათასკაციანი მიტინგის პარალელურად სოხუმის ფილარმონიასთან ხაჯიმბას გაცილებით უფრო მცირერიცხოვანი მომხრეების აქცია მიმდინარეობდა.

გუშინ დილით, საგანგებოდ მოწვეულ პრესკონფერენციაზე აფხაზეთის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ გიორგი აკაბამ განაცხადა, რომ საპრეზიდენტო არჩევნების ჩაშლილად გამოცხადება მას ხაჯიმბას მომხრეებმა აიძულეს. **"ექვსი საათის განმავლობაში ხაჯიმბას მომხრეებს მძევლად ვყავდი აყვანილი, მათ არჩევნების ჩაშლილად გამოცხადება მაიძულეს. ზეწოლით მიღებულ გადაწყვეტილებას არანაირი იურიდიული ძალა არ აქვს,"** - აღნიშნა აკაბამ, რომელმაც ჟურნალისტებს პირველი გადაწყვეტილების ორიგინალი წარუდგინა, სადაც აღნიშნული იყო, რომ არჩევნებში სერგეი ბაღაფშმა გაიმარჯვა. აღნიშნულ დოკუმენტს ხელს კომისიის წევრები აწერენ და იგი ბეჭდითაცაა დამოწმებული. რაულ ხაჯიმბას და პრეზიდენტობის კიდევ ერთ კანდიდატს სერგეი შამბას "ამ რაღაც დოკუმენტის" არ სჯერათ. ისინი არჩევნების გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების კანონიერებას ერთი მეტად საინტერესო "არგუმენტით" ამტკიცებენ: **"მე არ ვიცი, რას ნიშნავს უზენაესი სასამართლოს პირველი და მეორე გადაწყვეტილება. ჩვენ ვიცნობთ მხოლოდ ერთ გადაწყვეტილებას, იმას, რომელიც ყველა რუსულმა ტელეარხმა გაავრცელა - უზენაესმა სასამართლომ არჩევნები გააუქმა,"** - აცხადებს ხაჯიმბას საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი ბესლან კობახია.

**"ბაღაფშის გამარჯვების თაობაზე რუს ჟურნალისტებს არაფერი უთქვამთ. რუსულ არხებზე ითქვა, რომ არჩევნები გაუქმდა. სწორედ ეს გადაწყვეტილებაა კანონიერი,"** - ამბობს სერგეი შამბა სააგენტო "აფსნი-პრესისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

საინტერესოა, რა მოხდება, თუ რუსული ტელეარხები საერთოდ არ გააშუქებენ სოხუმის მოვლენებს? ამ ბატონების რკინის ლოგიკის თანახმად, აფხაზეთის რესპუბლიკა, ალბათ, არსებობას შეწყვეტს.

ამასთან, სიტუაცია აფხაზეთში სულ უფრო და უფრო იძაბება. გუშინ დილის რვის ნახევრისთვის აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე ადგილობრივი ტელევიზიისა და რადიოს მაუწყებლობა შეწყდა. ამის მიზეზი ტელეანძიდან რადიოსარელეო ბლოკების გატაცება გახდა. რუსულმა საინფორმაციო საშუალებებმა გაავრცელეს ინფორმაცია ბაღაფშის მომხრეთა მიერ ტელევიზიის შენობის დაკავების თაობაზე, მაგრამ სოხუმში ეს ინფორმაცია უარყვეს. როგორც ტელევიზიის გენერალური დირექტორის მოადგილემ ქრისტიან ბჟანიამ განაცხადა, აპარატურა უშიშროების სამსახურის თანამშრომლებმა მოსკოვის მიერ ახლახან დანიშნული პრემიერ-მინისტრის ნოდარ ხაშბას განკარგულებით გაიტანეს. თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარემ უკვე დააფიქსირა საკუთარი პოზიცია და აღნიშნა, რომ განმეორებითი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების შესახებ პრეზიდენტ არძინბას ბრძანებულების განხილვას არ აპირებს.

**"შექმნილ პოლიტიკურ ვითარებაში პრეზიდენტის ამ ბრძანებულების განხილვას არ ვაპირებთ. უზენაესი სასამართლოს მიერ საეჭვო გარემოებებში მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე განმეორებითი არჩევნების ჩატარების ვადებზე საუბარი პარლამენტის წევრთა უმრავლესობას ნაჩქარევად მიაჩნია,"** - განაცხადა თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარემ ნუგზარ აშუბამ. დაზუსტებული ინფორმაციით, აფხაზური პარლამენტის 35 წევრიდან პრეზიდენტობის დამარცხებულ კანდიდატს, კრემლის ფავორიტ რაულ ხაჯიმბას მხოლოდ 9 უჭერს მხარს.

აფხაზეთში შექმნილ ვითარებას მოქმედი პრეზიდენტი არძინბა გუშინ პრემიერ-მინისტრ ნოდარ ხაშბასთან, პარლამენტის თავმჯდომარე ნუგზარ აშუბასთან და უშიშროების მინისტრ მიხეილ თარბასთან ერთად განიხილავდა.

როგორც სოხუმის სახელისუფლებო წრეებთან დაახლოებულმა წყარომ სააგენტო "ინტერ-პრესს" განუცხადა, ვლადისლავ არძინბასთან მიმდინარე სხდომის ყველა მონაწილემ მოქმედ პრეზიდენტს 3 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში ოპოზიციის ლიდერის სერგეი ბაღაფშის გამარჯვების აღიარება მოსთხოვა. გუშინვე სოხუმში უშიშროების საბჭოს სხდომა გაიმართა. სოხუმის ხელისუფლების ძალოვან უწყებებში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა. თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის უშიშროების საბჭოს დავალებით, გენერალურ პროკურატურას პრეზიდენტობის კანდიდატის რაულ ხაჯიმბას მომხრეების უზენაეს სასამართლოზე ზეწოლის ფაქტის გამოძიება დაევალა. როგორც აფხაზეთის გენერალურ პროკურატურაში აცახდებენ, 28 ოქტომბერს უზენაესი სასამართლოს შენობაში რაულ ხაჯიმბას მომხრეთა შეჭრის ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე უკვე აღძრულია. გუშინვე არძინბამ მოიცალა და ხელი მოაწერა კიდევ ერთ ბრძანებას, რომლის თანახმადაც 1 ნოემბრიდან აფხაზეთის მოსახლეობისთვის რუსული პასპორტების გაცემა განახლდება. აფხაზეთის უხუცესები და ინტელიგენცია თვითგამოცხადებული რესპუბლიკის მოქმედ პრეზიდენტთან ვლადისლავ არძინბასთან შეხვედრას და მის მიერ 3 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში ოპოზიციის ლიდერის სერგეი ბაღაფშის გამარჯვების აღიარებას მოითხოვენ. მათ შორისაა ორმოცდაათზე მეტი მწერალი, პოეტი, მხატვარი, კომპოზიტორი და საზოგადო მოღვაწე. როგორც ვლადისლავ არძინბას პრეს-მდივანმა როინ აგრბამ განაცხადა, პრეზიდენტი არძინბა მათთან შეხვედრის შესაძლებლობას არ გამორიცხავს. პრეზიდენტობის მთავარი კანდიდატის - სერგეი ბაღაფშის მომხრეები საკუთარი დამოკიდებულების გამოსახატად გუშინ სხვადასხვა ქალაქებიდან და რაიონებიდან სოხუმში ჩავიდნენ. ისინი ბაღაფშის აფხაზეთის პრეზიდენტად ცნობას ითხოვენ. **"გაერთიანებული ოპოზიცია სერიოზულად იმსჯელებს მომხდარის შესახებ და თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის სამართალდამცველი ორგანოებისგან ხაჯიმბას მომხრეთა მხრიდან სასამართლოზე ზეწოლის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრას მოითხოვს. დღეს არსებული სამართლებრივი განუკითხაობა და ბანდიტიზმი მოქმედი ხელისუფლების მიერ უკანასკნელი 10 დღის მანძილზე წარმოებული პოლიტიკის შედეგია,"** - აღნიშნა თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტად ორჯერ გამოცხადებულმა ბაღაფშმა და საკუთარ მომხრეებს სიმშვიდისკენ მოუწოდა. ბაღაფშმა განმეორებითი არჩევნების ჩატარების შესახებ არძინბას ბრძანებულებას "უკანონო" უწოდა და განაცხადა, რომ მის შესრულებას არ აპირებს. სიმშვიდისკენ მოწოდება გუშინ მოსკოვიდანაც გაისმა. **"რაც უფრო სწრაფად მოხდება აფხაზეთში წამოჭრილი საკითხების გადაწყვეტა, მით უფრო ნაყოფიერად განახლდება დიალოგი თბილისსა და სოხუმს შორის, ცხადია, რუსეთის ფედერაციისა და გაერო-ს ხელშეწყობით,"** - დაამშვიდა აფხაზები რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა. **"რუსეთს რომ აფხაზეთის მოვლენებში ჩარევა სურდეს, მაშინ ის განუკითხაობა, რაც სოხუმში ხდება, არ იქნებოდა. დამერწმუნეთ, მოსკოვმა იცის არჩევანის გაკეთება,"** - იხტიბარს არ იტეხს რუსეთის დუმის ვიცე-სპიკერი ლუბოვ სლისკა. გუშინვე აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით კომენტარს აკეთებს ჩრდილო-კავკასიის სამხედრო ოლქის მთავარსარდალი ალექსანდრ ბარანოვი: **"სამშვიდობო ძალები, რომლებიც აფხაზეთში არიან განლაგებულნი, რესპუბლიკის შიდა პოლიტიკურ პროცესებში არ ჩაერევიან, მათ მკაცრი გაფრთხილება აქვთ მიღებული,"** - განაცხადა მან. აფხაზეთში ჩატარებული არჩევნებით იმედგაცრუებულია რუსეთის ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრ ვეშნიაკოვი. **"აფხაზეთის საარჩევნო სისტემამ ვერ გაუძლო გამოცდას და არჩევნები სათანადოდ არ ჩატარდა. თუ ბრძნულად, გონივრულად და სამართლებრივად მივუდგებით ამ საკითხს, მაშინ უმჯობესი იქნება აფხაზეთში ხელახალი არჩევნების დანიშვნა. თუ არჩევნებში გამარჯვებულის გამოვლენა გაუჭირდა კომისიასაც და უზენაეს სასამართლოსაც, დაე, ეს კიდევ ერთხელ გააკეთოს ხალხმა. თუმცა, ეს აფხაზეთის შიდა საქმეა,"** - აღნიშნა ვეშნიაკოვმა. აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებს გუშინ აქტიურად ეხმაურებოდა რუსული მედია. **"ხაჯიმბას დამარცხება მისი მომხრეებისთვის დიდი მოულოდნელობა იყო, ამიტომ ისინი ყველანაირად შეეცდებიან, არ დაუშვან ბაღაფშის პრეზიდენტად გამოცხადება. აფხაზეთში რაღაც იწყება..."** - წერს "გაზეტა.რუ". **"მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის პრეზიდენტობის კანდიდატები ირწმუნებოდნენ, სამოქალაქო დაპირისპირებას არ დავუშვებთო, როგორც ჩანს, ეს მაინც გარდაუვალია,"** - აღნიშნავს გაზეთი "კომერსანტი".

# ქალაქ თბილისის 2004 წლის ბიუჯეტის ანალიზი

თბილისის მუნიციპალური ბიუჯეტი საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტის 1/6-ს აღემატება. წლევანდელი ბიუჯეტი უპრეცედენტოდ (50%-ზე მეტად) გაიზარდა, რამაც საყოველთაო დადებითი განწყობა, მაგრამ საზოგადოების გარკვეული შეშფოთებაც გამოიწვია. ეს შეშფოთება გამოწვეულია გაზრდილი ხარჯების მიმართ საზოგადოებრივი კონტროლის სისუსტისა და მის მიმართ ანგარიშვალდებულების ინსტიტუტის არარსებობის გამო. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ ისევე, როგორც ადრე, თბილისის (და არა მარტო) მუნიციპალური ბიუჯეტი წარმოადგენს არა სტრატეგიული გეგმიდან გამომდინარე სამთავრობო პროგრამების ერთობლიობას, არამედ ციფრების კრებულს, რომელიც მხოლოდ ბუნდოვან სურათს იძლევა იმის შესახებ, რას იძლევა ეს ბიუჯეტი, რა შედეგებზეა იგი ორიენტირებული და ა.შ.

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი ევროკომისიის პროექტის ფარგლებში ახორციელებს ქალაქ თბილისის ბიუჯეტის მონიტორინგს. ამ პროექტის ფარგლებში დაგეგმილია 2004 წლის ბიუჯეტის ანალიზი და მოსახლეობისათვის გასაგებ ენაზე თარგმნა, ანუ ჩვენ შევეცდებით, ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები, პრიორიტეტები მივაწოდოთ მოსახლეობას მათთვის გასაგებ ფორმაში, რადგან მიგვაჩნია, რომ უნდა გაიზარდოს მოსახლეობაში ბიუჯეტის (მოსახლეობის მიერ გადახდილი გადასახადების) შესახებ ინფორმირებულობა.

წინა წლების გამოცდილებიდან ჩანს, რომ ბიუჯეტის თუნდაც გავრცელებისა და საჯაროობის შემთხვევაში, არათუ უბრალო მოქალაქესათვის, არამედ საბიუჯეტო სექტორის სპეციალისტისთვის შეუძლებელი იყო რეალური ბიუჯეტის პრიორიტეტების დადგენა.

ქალაქ თბილისის საკრებულოს 2004 წლის 18 მარტის გადაწყვეტილების თანახმად, "ქ. თბილისის ბიუჯეტის შედგენის, განხილვის, მიღებისა და შესრულების დროებითი წესის შესახებ" 2004 წლის ბიუჯეტი წინა წლებთან შედარებით განსხვავებული წესით და ფორმით უნდა შემდგარიყო. მიზეზად დასახელდა, რომ არსებული წესი ვერ აკმაყოფილებდა ქ. თბილისის ბიუჯეტის ხარჯების პროგრამული დაფინანსების პრინციპებზე გადასვლასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს.

ქალაქის საკრებულომ აგრეთვე დაამტკიცა "ქ. თბილისის ბიუჯეტის (საქალაქო, რაიონული და დაბა წყნეთის) მიზნობრივი პროგრამის შედგენის, კვარტალური და წლიური ანგარიშგების წარმოების ინსტრუქცია".

ბიუჯეტის მიზნობრივი პროგრამა არის ბიუჯეტით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების წინასწარ შემუშავებული გეგმა. მიზნობრივი პროგრამა მიზნად ისახავს ქალაქის ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროგრამების ეფექტიანობის გაზრდას.

წინა წლების ბიუჯეტი წარმოადგენდა რიცხვების ცხრილურ ფორმაში გადატანას, სადაც არ იყო განსაზღვრული, თუ კონრეტულად რომელი პრობლემის რა დონეზე გადაწყვეტას ემსახურება ეს თანხა. ანუ არ იყო განსაზღვრული მიზანი და ამოცანები, დროში განაწილება.

ამავე გადაწყვეტილებაში არის მითითებული, რომ 2004 წლის და შემდგომი წლების ბიუჯეტის ყველა ხარჯი წარმოდგენილი უნდა იქნეს მიზნობრივი პროგრამის სახით, გარდა მხარჯავი დაწესებულებების ადმინისტრაციული ხარჯებისა. აქედან გამომდინარე, პროგრამები ბიუჯეტის შემადგენელი ნაწილი გახდა და ბიუჯეტი წარმოდგენილი უნდა იყოს პროგრამებთან ერთად მიღებული ინსტრუქციის შესაბამისად.

უნდა აღვნიშნოთ, რომ მიუხედავად ქ. თბილისის ბიუჯეტის პარამეტრების საგრძნობი ზრდისა, არ მოხდა ამ ინსტრუქციის დაცვა და ბიუჯეტი გამოქვეყნდა პროგრამების გარეშე, ანუ არ არის განსაზღვრული მიზნები და ამოცანები, საქმიანობების დროში განაწილება და ამ ინსტრუქციით განსაზღვრული სხვა მოთხოვნები.

ქ. თბილისის 2004 წლის ბიუჯეტი თითქმის 6 თვის დაგვიანებით იქნა მიღებული. ამის მიზეზია ქვეყანაში ბოლო პერიოდში განვითარებული პოლიტიკური მოვლენები. შესაბამისად წლის პირველ ნახევარში მიმდინარეობდა წინა წლის ბიუჯეტის ერთი მეთორმეტედის ხარჯვა თვიურად. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ამ 2004 წლის ბიუჯეტის დაგეგმვა და შესრულება ეხება ბოლო 6 თვეს.

### ქ. თბილისის ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები და პრიორიტეტები

ქ. თბილისის 2004 წლის ბიუჯეტის შემოსავლები პროგნოზირებულია 313 412 ათასი ლარის ოდენობით. აქედან:

- საგადასახადო შემოსავლები - 299,881 ათასი ლარი;
- არასაგადასახადო შემოსავლები - 7,810.2 ათასი ლარი;
- შემოსავლები კაპიტალის ოპერაციებიდან - 3,650 ათასი ლარი;
- სხვა შემოსავლები - 2,070 ათასი ლარი.




წინა წლის, ანუ 2003 წლის თბილისის ბიუჯეტში შემოსულობები პროგნოზირებული იყო 213,618 ათასი ლარის ოდენობით (ცვლილებების გარეშე):

- საგადასახადო შემოსავლები - 194,416 ათასი ლარი;
- არასაგადასახადო შემოსავლები და მოსაკრებლები - 11,885 ათასი ლარი;
- სხვა შემოსავლები ტრანსფერტის ჩათვლით - 6,982 ათასი ლარი.

2004 წელს წინა წელთან შედარებით საგადასახადო შემოსავლები გაიზარდა 54,25%-ით, არასაგადასახადო შემოსავლებმა იკლო 34.29%-ით. ჯამში პროგნოზირებულმა შემოსულობებმა 2004 წელს წინა წელთან შედარებით იმატა 46,72%-ით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2004 წელს თბილისის ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული ცენტრალური ბიუჯეტიდან ტრანსფერი, თუმცა მოხდა გადასახადების განაწილების ნორმატივების ქალაქის ბიუჯეტის სასარგებლოდ ზრდა.

ქ. თბილისის 2004 წლის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი გასული წლის დამტკიცებულ დონესთან შედარებით 71,178 ათასი ლარით იზრდება და 331,412 ათასი ლარს აღწევს.

ბიუჯეტის ზრდის დიდი ნაწილი ხარჯების ბუნებრივი მატებისათვის იქნა მიმართული, ანუ მოხდება განათლების, კულტურისა და სპორტის სფეროში დასაქმებულთა ხელფასების ზრდა; თბილისში მცხოვრებ პენსიონერთა პენსიაზე დანამატის გაცემა; მარტოხელა არამომუშავე პენსიონერთა და სხვა უმწეოთა საოჯახო დახმარებების გაცემა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბუნებრივ მატებაში ნაგულისხმებია წინა წლის გაუცემელი ხელფასების დარიგება, რაც თავისთავად დადებითი ფაქტია, თუმცა არსებული დავალიანების გასტუმრება რამდენადაა ბუნებრივი მატება, დავის საგანია.

ქალაქის 2004 წლის ბიუჯეტში დედაქალაქის პრიორიტეტებიდან გამომდინარე გასულ წელთან შედარებით ხდება მთელი რიგი დამატებითი ხარჯების გათვალისწინება:

- ავარიული საბინაო ფონდის აღდგენითი სამუშაოები 3,312.3 ათასი ლარი;
- გზების შეკეთება 18,027 ათასი ლარი;
- გარე განათების რეაბილიტაცია 2,040 ათასი ლარი;
- შუქნიშნების მოწესრიგება 1,365 ათასი ლარი;
- წმინდა სამების საკათედრო ტაძრის საინჟინრო უზრუნველყოფა და მოსახლეობის გაყვანა 5,000 ათასი ლარი;
- საპატრულო პოლიციის დაფინანსება 20,000 ათასი ლარი.

ქალაქ თბილისის 2004 წლის ბიუჯეტის ხარჯები სტრუქტურულად შემდეგნაირადაა წარმოდგენილი:

- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 11,280.4 ათასი ლარი;
- სამოქალაქო თავდაცვა - 5,65.3 ათასი ლარი;
- საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და ხანძარსაწინააღმდეგო პროფილაქტიკური ღონისძიებები - 21,861.2 ათასი ლარი;
- განათლება - 54,453.9 ათასი ლარი;
- ჯანმრთელობის დაცვა - 16,154.0 ათასი ლარი;
- სოციალური უზრუნველყოფა - 72,421.2 ათასი ლარი;
- საბინაო-კომუნალური მეურნეობა - 94,476.8 ათასი ლარი;
- საქმიანობა კულტურისა და სპორტის საქმეთა სფეროში - 19,035.2 ათასი ლარი;
- მიწის კადასტრი და ვეტერინარული მომსახურება - 748.5 ათასი ლარი;
- ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა მომსახურება - 8,761.0 ათასი ლარი;
- სხვა - 13,654.4 ათასი ლარი.




### განათლება

2004 წელს ქ. თბილისის ბიუჯეტში განათლების სფეროზე დაგეგმილი ხარჯები შემდეგნაირადაა გათვალისწინებული:

მთლიანი ხარჯი შეადგენს 54,453.9 ათას ლარს და იგი წინა წლის ბიუჯეტში ამ სფეროზე გათვალისწინებულ ხარჯებს 8,455.4 ათასი ლარით აღემატება (ზრდა 18.4%).

- მიმდინარე ხარჯები - 51,663.9 ათასი ლარი;
- კაპიტალური ხარჯები - 2,790.0 ათასი ლარი.

მომუშავეთა რიცხვი 2003 წლიდან 2004 წლისათვის 24,144-დან 24,257-მდე გაიზარდა.



### ჯანმრთელობა და სოციალური დაცვა

2004 წელს ქ. თბილისის ბიუჯეტში ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროზე დაგეგმილი ხარჯები შემდეგნაირადაა გათვალისწინებული:

მთლიანი ხარჯი შეადგენს 88,757.2 ათასი ლარს აქედან:

- ჯამრთელობის დაცვის ხარჯები - 16,154.0 ათასი ლარი;
- სოციალური უზრუნველყოფა - 72,421.2 ათასი ლარი.

იგი წინა წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულ ხარჯებს 8,199.9 ათასი ლარით აღემატება (10.18%-ით მეტი).

### სპორტი და კულტურა

მიმდინარე წლის ქ. თბილისის ბიუჯეტში კულტურისა და სპორტის ღონისძიებების ხარჯები შემდეგნაირადაა გათვალისწინებული:

მთლიანობაში დაგეგმილი ხარჯები 2004 წელს შეადგენს 19,554,6 ათას ლარს. გასული 2003 წლის განმავლობაში დაგეგმილ ხარჯებს ეს ხარჯები აღემატება 2,840.3 ათასი ლარით (17%-ით მეტი).

- მიმდინარე ხარჯები - 18,038.0 ათასი ლარი
- კაპიტალური ხარჯები - 1,516.6 ათასი ლარი

### საბინაო-კომუნალური მეურნეობა

2004 წლის ქ. თბილისის ბიუჯეტით საბინაო-კომუნალური მეურნეობის ხარჯების მუხლით განისაზღვრა 94,476.8 ათასი ლარი. აქედან საბინაო მშენებლობა და კომუნალური განვითარება - 39,494.3 ათასი ლარი, ანუ 25,565.2 ათასი ლარით მეტი ვიდრე 2003 წელს.

კეთილმოწყობის ღონისძიებებზე 2004 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია 54,882.5 ათასი ლარი, ანუ 20,385.5 ათასი ლარით მეტი ვიდრე წინა წელს (ზრდა 59%).

სტრუქტურა შემდეგნაირია:

- მიმდინარე ხარჯები - 33,442.5 ათასი ლარი;
- კაპიტალური ხარჯები - 61,034.3 ათასი ლარი.

წელს ქალაქ თბილისის რაიონული ბიუჯეტების შემოსავლების სახით განისაზღვრა 44,175.7 ათასი ლარი. აქედან 42,671.6 ათასი ლარი (მთელი შემოსავლების 96,6%) საგადასახადო შემოსავლებია.

ქალაქ თბილისის რაიონების მიხედვით განსაზღვრული ხარჯები შემდეგნაირად გამოიყურება:

- გლდანი-ნაძალადევის რაიონი - 9,613,1 ათასი ლარი;
- დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი - 7,815,8 ათასი ლარი;
- მთაწმინდა-კრწანისის რაიონი - 7,451,3 ათასი ლარი;
- ვაკე-საბურთალოს რაიონი - 8,442 ათასი ლარი;
- ისანი-სამგორის რაიონი - 10,178,2 ათასი ლარი;
- დაბა წყნეთი - 675,3 ათასი ლარი.




*გიგა გველესიანი*
*შოთა მურღულია*

*დამატებითი ინფორმაცია ქალაქ თბილისის ბიუჯეტის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ვებ გვერდზე http://www.csrdg.ge*

**ჩვენი ცენტრი შემდეგი პუბლიკაციებით გააგრძელებს საზოგადოების ინფორმირებას ბიუჯეტისა და მისი შესრულების, მასში არსებული ნაკლოვანებების შესახებ.**

**ქალაქ თბილისის რაიონების მიხედვით განსაზღვრული ხარჯების პროცენტული სტრუქტურა შემდეგნაირად გამოიყურება:**

| | საბინაო-კომუნალური მეურნეობა | სოციალური უზრუნველყოფა | საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება | საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და ხანძარსაწინააღ-მდეგო პროფილაქტი-კური ღონისძიებე-ბი | სამოქალაქო თავდაცვა | სხვა მომსახურება |
|---|---|---|---|---|---|---|
| *გლდანი-ნაძალადევის რაიონი* | 60% | 30% | 6% | 2% | 1% | 1% |
| *დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი* | 65% | 24% | 7% | 1% | 1% | 2% |
| *მთაწმინდა-კრწანისის რაიონი* | 70% | 18% | 7% | 2% | 1% | 2% |
| *ვაკე-საბურთალოს რაიონი* | 65% | 25% | 6% | 1% | 1% | 2% |
| *ისანი-სამგორის რაიონი* | 67% | 24% | 6% | 1% | 1% | 1% |

# მომხმარებლები და "თელასის" წარმომადგენლები მოლაპარაკების მაგიდას მიუსხდნენ

სოფო თბილელი

გუშინ პროექტის - "ადგილობრივი პოტენციალისა და საზოგადოებრივი ცნობიერების გაზრდა ენერგეტიკის სექტორის მართვის გაუმჯობესების მიზნით" - ფარგლებში პირველი მრგვალი მაგიდა გაიმართა. შეხვედრის თემა "თელასი და ენერგოსერვისის მომხმარებელი" იყო. პროექტი არასამთავრობო ორგანიზაციების ("კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი" (CENN), "მწვანე ალტერნატივა" და "ეკოხედვა") კოალიციის მიერ და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით თბილისში უკვე ერთი წელია ხორციელდება. პროექტი მიმართულია იქითკენ, რომ ელექტროენერგეტიკის მართვის სფეროში დაინტერესებულ მხარეთა შორის გაიმართოს კონსტრუქციული დიალოგი, გაიზარდოს თითოეული მომხმარებლისა და მთლიანად საზოგადოების ცნობიერება, გამჭვირვალე გახდეს ელექტროენერგეტიკის სექტორი, გაუმჯობესდეს ელექტროენერგეტიკის მართვა და გაიზარდოს მასში საზოგადოების მონაწილეობა.

გუშინდელ შეხვედრაში მონაწილეობდნენ ენერგეტიკის სფეროში მოღვაწე სახელმწიფო და საზოგადოებრივი სტრუქტურების წარმომადგენლები. შეხვედრას არ ესწრებოდნენ სემეკ-ის თანამშრომლები. შეხვედრის თემიდან გამომდინარე, ელექტროსერვისის მომხმარებელთა ასოციაციების (ესმა) წარმომადგენლების შეკითხვებს ძირითადად თელასი პასუხობდა. შეხვდერაზე, უამრავი შეკითხვა დაისვა, თუმცა, აქედან ორი ძირითადი პრობლემა გამოიკვეთა: ელექტროენერგიის დატაცებისა და ძველი დავალიანებების პრობლემა.

პირველი შეხვედრა გაცნობით ხასიათს ატარებდა. მხარეებმა (თელასი და ესმები) არსებული პრობლემების მოგვარების საშუალებების მონახვის მიზნით კონტრუქციული თანამშრომლობისთვის მზადყოფნა გამოთქვეს. ოთხსაათიანი შეხვედრის შემდეგ შეთანხმდნენ, რომ ესმა-ს წარმომადგენლები გამოკვეთილი პრობლემების საფუძველზე ჩამოყალიბდებიან და მოამზადებენ "თელასისათვის" წარსადგენ რეკომენდაციათა პაკეტს. პრობლემების გადაჭრის გზების მოძებნაზე კი მხარეები ერთობლივად იმუშავებენ.

პირველი ნაბიჯები თანამშრომლობისკენ გადაიდგა. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია მრგვალი მაგიდების ციკლის - "ენერგოსექტორი საზოგადოების ზედამხედველობის ქვეშ" - ჩატარება. ჯერჯერობით, უცნობია შემდეგი შეხვედრის თემა, თუმცა უკვე ცნობილია, რომ შემდეგი მრგვალი მაგიდა ნოემბრის ბოლო პარასკევს გაიმართება.


# სერტიფიკაციის ინჟინრის ასისტენტი

კომპანია BP-ს მილსადენების პროექტის ფარგლებში და BP-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირებს **სერტიფიკაციის ინჟინრის ასისტენტის** თანამდებობაზე. **სერტიფიკაციის ინჟინრის ასისტენტი** წარმოადგენს საქართველოში BP-ს მილსადენების პროექტების კონტრაქტორ მესამე მხარეს და იმუშავებს BP-ს ზედამხედველობის ქვეშ.

**სამუშაოს დახასიათება:**

**სერტიფიციკაციის ინჟინრის ასისტენტი** გააკონტროლებს აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთის მილსადენების პროექტის საქართველოს მონაკვეთზე არსებული საქაჩი სადგურებისა და მილსადენის კონტრაქტების მონაცემთა ბაზას, უზრუნველყოფს რა სერტიფიკაციის ზუსტ აღრიცხვას

მოვალეობები:

**სერტიფიკაციის ინჟინრის ასისტენტი** მოვალეა:

- დაეხმაროს სერტიფიკაციის ინჟინერს ბი-პის საქმიანობის საინჟინრო სამუშაოების მონიტორინგში
- დაეხმაროს სერტიფიკაციის ინჟინერს ტექნიკურ ინტეგრაციაში
- ითანამშრომლოს კონტრაქტორთან პროექტის ტექნიკური მახასიათებლების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.
- განიხილოს სერტიფიკაციის მექანიკური დასრულების მონაცემები და გადასცეს საექსპლუატაციო გუნდს განსახილველად
- მოამზადოს და ადგილობრივ ხელმძღვანელობას წარუდგინოს ყოველკვირეული და ყოველთვიური მოხსენებები
- გაეცნოს ტექნიკურ დოკუმენტაციასა და პროცედურებს, რათა განსაზღვროს ინსპექტირებისა და ტესტირების პირობები
- სერტიფიკაციის ინჟინრის არყოფნის პერიოდში იყოს პასუხიმგებელი პროექტის მიზნების სრულყოფასა და მათ შესრულებაზე
- შეასრულოს სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე სხვა მოვალეობები

**განათლება და სამუშაო გამოცდილება:**

კანდიდატს უნდა გააჩნდეს:

- უმაღლესი განათლება (სასურველია ელექტროტექნიკურ, საზომი ხელსაწყოების და ტელეკომუნიკაციების დარგში)
- მინიმუმ 5 წლის სამუშაო გამოცდილება ნავთობისა და გაზის მრეწველობის დარგში
- რუსული და ინგლისური ენების სრულყოფილად ფლობა
- ტექნიკური კომპიუტერული სისტემის ცოდნა
- კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება (MS Access, Microsoft Excel, Word & PowerPoint)
- გუნდური მუშაობის უნარი და კარგი
- მრავალეროვან გარემოში მუშაობა
- სამუშაოს დადგენილ ვადაში შესრულება
- ზედამხედველობის გარეშე მუშაობის უნარი

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების საბოლოო ვადაა **2004 წლის 10 ნოემბერი, ოთხშაბათი.**

**ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.**

**კადრების განყოფილება**
BP საქართველო
საბურთალოს ქუჩა 38
თბილისი, საქართველო

# ევროკონსტიტუცია - ახალი ერის დასაწყისი

გაერთიანებული ევროპის ისტორიაში კიდევ ერთი სადღესასწაულო თარიღი ჩაიწერა. ამიერიდან, 29 ოქტომბერს ევროკავშირის კონსტიტუციის ხელმოწერის თარიღს აღნიშნავენ.

ევროკავშირის 25 წევრ-სახელმწიფოს ლიდერები იტალიის დედაქალაქში, კაპიტოლიუმის ბორცვზე, სწორედ იმ დარბაზში შეიკრიბნენ, სადაც 1957 წელს "რომის ხელშეკრულების" ხელმოწერით თანამედროვე ევროპის მშენებლობას ჩაეყარა საფუძველი.



*ევროპის ქვეყნების ლიდერები რომში.*

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის წევრებთან ერთად ევროკონსტიტუციის ხელმოწერის ცერემონიას კიდევ ოთხი სახელმწიფოს პირველი პირები ესწრებოდნენ. მათგან სამი ქვეყანა - თურქეთი, ბულგარეთი და რუმინეთი - გაწევრიანების წევრ-კანდიდატები არიან, ხოლო ხორვატია დამკვირვებლის სტატუსით იყო მიწვეული. სწორედ ამიტომ დასკვნით აქტზე, ევროკავშირის წევრების გარდა, კანდიდატი სახელმწიფოების წარმომადგენელთა ხელმოწერებიც დაფიქსირდა.

ახალი კონსტიტუციის მიზანია, გააადვილოს ორგანიზაციის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი. ამ დოკუმენტის მიხედვით, ევროკავშირში გადაწყვეტილების მისაღებად წევრ-სახელმწიფოთა უმრავლესობის სურვილიც საკმარისი იქნება. თუმცა, ეს უმრავლესობა, ამავდროულად, ევროკავშირის საერთო მოსახლეობის უმრავლესობასაც უნდა გულისხმობდეს.

აქამდე ჯერ კიდევ რთული გზაა გასავლელი. ვიდრე იგი ამოქმედდება, ხელშეკრულების რატიფიკაცია ყველა წევრი სახელმწიფოს მიერ უნდა მოხდეს. და რაც ყველაზე მთავარია, დოკუმენტის ძალაში შესვლისთვის აუცილებელი პირობა ყველა სახელმწიფოს თანხმობაა.

გუშინდელი ღირსშესანიშნავი დღე ლამის გააფერმკრთალა ევროკომისიის (ორგანიზაციის აღმასრულებელი ორგანო) კრიზისმა. ორი დღით ადრე ევროპარლამენტში ახალი კომისრების კანდიდატურების დამტკიცება გადაიდო. ევროკომისიის ახალმა თავმჯდომარემ, პორტუგალიელმა ხოსე მანუელ დურაო ბაროსომ მოსალოდნელი გართულებების გამო ევროკომისრების დასამტკიცებლად წარდგენა გადაიფიქრა. მისი განცხადებით, იგი ევროპარლამენტს ახალ კანდიდატურებს რამდენიმე კვირაში წარუდგენს. მანამდე კი ევროკომისიის მუშაობას ჰოლანდიის პრემიერ-მინისტრის (ევროკავშირის ამჟამინდელი თავმჯდომარე) თხოვნით ისევ რომანო პროდი უხელმძღვანელებს.

*24 საათი*

# საერთაშორისო ტერორიზმთან ერთობლივი ბრძოლა პუტინის საწინააღმდეგო გამოსვლების ფონზე

რუსუდან ნიკურაძე
*საქ. კორ. მოსკოვში*

აშშ სახელმწიფო მდივნის მოადგილის, რიჩარდ არმეტიჯის მოსკოვში ვიზიტი რუსეთის პრეზიდენტის რეფორმების წინააღმდეგ მიმართულ მასობრივ საპროტესტო აქციებსა და მიტინგებს დაემთხვა. იმ დროს, როცა საერთაშორისო ტერორიზმთან ერთობლივი ბრძოლის საკითხებზე სასაუბროდ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი რიჩარდ არმეტიჯს ხვდებოდა, მოსკოვის ცენტრში, სასტუმრო "ნაციონალის" წინ, რუსეთის სათათბიროს კედლებთან რუსი მემარჯვენეებისა და დემოკრატების საპროტესტო პიკეტი მიმდინარეობდა. "დეპუტატებო, ნუ გადააქცევთ პუტინს ლუკაშენკოდ" - იუწყებოდა ერთი პლაკატი. პარლამენტის კედლებში კი ვლადიმირ ჟირინოვსკი იმ წუთებში ბელორუსის პრეზიდენტის დასაცავ ბრიფინგს ატარებდა. "არჩევნების გაუქმება რუსეთის დაშლის დასაწყისია" - ასეთ წარწერებსაც წაიკითხავდათ საპროტესტოდ გამოსულ დემონსტრანტთა პლაკატებზე. ოფიციალური ვერსიით, პრეზიდენტ პუტინის რეგიონებში გუბერნატორების პირდაპირი დანიშვნების შემოღებით ტერორიზმთან ბრძოლის გააქტიურება სურს, რაც დემოკრატიული არჩევნების გაუქმებით თუ მიიღწევა. "იგივე მეთოდით ჩვენ მალე მეფეს ავირჩევთ," - ამტკიცებდა მიტინგზე ერთ-ერთი გამომსვლელი. პუტინის მიერ რუსეთის ფედერაციის სუბიექტებში გუბერნატორთა დანიშვნების წინააღმდეგ ქუჩაში პირველად გამოსულთა მთავარი მოთხოვნა კონსტიტუციის დაცვა, ტერორიზმთან ბრძოლის შირმით კონსტიტუციური გადატრიალებისადმი პროტესტი და ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტების დაბრუნება იყო. საინტერესოა, რომ რუსეთის ფედერალურმა ტელეარხებმა ეს აქცია არ გააშუქეს. სამაგიეროდ, დიდი ადგილი დაუთმეს პუტინის ანტიკონსტიტუციური რეფორმების მხარდამჭერთა აქციების დემონსტრირებას.

ამასობაში რიჩარდ არმეტიჯის კორტეჟმა შეუმჩნევლად ჩაუარა პარლამენტის წინ მოხმაურე მრავალრიცხოვან პიკეტს. შავი ჯიპებიდან ამერიკელთა დელეგაცია უთუოდ შეამჩნევდა ჰელიუმით გაბერილ პუტინის პორტრეტებიან ლურჯ, თეთრ და წითელ ბუშტებს, რომლებსაც მოპიკეტეები ცაში უშვებდნენ... და ეს ყველაფერი ხდებოდა კრემლისაგან სულ რამდენიმე ათეული მეტრის დაშორებით

მოსკოვის ცენტრში პირველი მასობრივი მღელვარების შემსწრე რიჩარდ არმეტიჯი კრემლში, რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანთან იგორ ივანოვთან შესახვედრად მიეშურებოდა. კრემლის ერთგულ ჟურნალისტებთან ერთად გავიარეთ საგულდაგულო ჩხრეკის პროცედურა და ივანოვ-არმეტიჯის შეხვედრის მოლოდინში ივანოვის კაბინეტის მოსაცდელში, კრემლის ძველებურ სავარძლებში მოვთავსდით. მალე იგორ ივანოვის პრესმდივანმა სამწუხარო ამბავი გამოიტანა: ბრიფინგი დაგეგმილი არ არის, ასე რომ, შეკითხვები ადგილიდან არ დასვათო, თანაც რატომღაც ჩვენ გადმოგვხედა.

შეხვედრის პირველ წუთებში ივანოვმა დადებითად შეაფასა საერთაშორისო ტერორიზმთან მებრძოლი რუსულ-ამერიკული სამუშაო ჯგუფის საქმიანობა, რომელიც ვაშინგტონის ტერაქტის შემდეგ შეიქმნა და "რამაც პრაქტიკული რეალიზაცია უკვე ჰპოვა". (ჟურნალისტებმა ერთმანეთს გადახედეს: ვერავინ მიხვდა, რა კონკრეტულ ღონისძიებებს გულისხმობდა ივანოვი სამუშაო ჯგუფის ჩარჩოებში. ყველამ იცის, რომ არმეტიჯის სამუშაო ჯგუფის პროგრამა გასაიდუმლოებულია. ამის მიუხედავად, ჟურნალისტები ამტკიცებენ, რომ ივანოვმა და არმეტიჯმა ამ შეხვედრაზე დიდი დრო დაუთმეს ირანის საკითხზე მსჯელობას).

**იგორ ივანოვი**: "აშშ-ში პრეზიდენტის არჩევნების წინ თქვენი მოსკოვში ჩამოსვლა უკვე ნიშნავს, რომ ტერორიზმთან ბრძოლაში ჩვენი თანამშრომლობა დაშორებულია პოლიტიკურ კონიუნქტურას და იგი გრძელვადიან პარტნიორობას ითვალისწინებს. გლობალური საერთაშორისო ტერორისტული ქსელის წინააღმდეგ ბრძოლა რუსეთ-აშშ მოქმედებების კოორდინაციით არის შესაძლებელი. ეს კი იმ დემოკრატიული სახელმწიფოების ძალისხმევაზეა დამოკიდებული, ვინც ტერორიზმთან ბრძოლაში ჩვენს გვერდით დადგება, რათა ერთობლივი ღონისძიებები გამოვიმუშავოთ. 11 სექტემბრის შემდეგ ჩვენი ურთიერთობები საჭირო კალაპოტში ჩადგა და საერთაშორისოდან ორმხრივი ურთიერთობების ფორმა მიიღო."

**რიჩარდ არმეტიჯი**: "ბოლო წლებში მსოფლიოში ისე არავინ დაზარალებულა საერთაშორისო ტერორიზმისაგან, როგორც რუსეთი. ისტორია არ გვაპატიებს, თუ ჩვენ არ გამოვიმუშავებთ საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის ერთობლივ ზომებს. ამერიკელი ხალხი რუს ხალხთან ერთად გლოვობს და დახმარებას სთავაზობს. ჩვენი თანამშრომლობა არა პოლიტიკური, არამედ სტრატეგიული ხასიათისაა და სულაც არ არის დამოკიდებული იმაზე, თუ ვინ გახდება აშშ-ს მომავალი პრეზიდენტი."

# პალესტინის "უცვლელი ლიდერის" მემკვიდრის ვინაობა უცნობია

## არაფატის ჯანმრთელობა უკიდურესად გაუარესდა

პალესტინის ლიდერის იასირ არაფატის სიცოცხლე საფრთხეშია. ზოგიერთი მონაცემებით, მან, ცხოვრებაში პირველად, მმართველობა თავის სამ უახლოეს თანამებრძოლს გადასცა. მიუხედავად იმისა, რომ გუშინ პალესტინის ავტონომიის ხელმძღვანელობა ამტკიცებდა, რომ მდგომარეობა არც ისე უიმედოა, ისრაელშიც და პალესტინაშიც არაფატის სიცოცხლის დასასრულში ეჭვი თითქმის არავის ეპარება.

ხუთშაბათს ღამით პალესტინის ადმინისტრაცია საგანგებო სხდომებს მართავდა. ადგილობრივი ლიდერები გამთენიამდე ბჭობდნენ, თუ რა უნდა გაეკეთებინათ, როდესაც პალესტინის ლიდერის ჯანმრთელობა მკვეთრად გაუარესდა. უმთავრესი საკითხი მკურნალობას და მისი სიცოცხლის გადარჩენას ეხებოდა. იორდანელი და ეგვიპტელი ექიმები, რომლებიც სასწრაფოდ მოიწვიეს რამალაში, აცხადებდნენ, რომ არაფატის იორდანიაში გადაყვანა და იქიდან საფრანგეთში სამკურნალოდ გამგზავრება აუცილებელია. თუმცა, არავინ იყო დარწმუნებული, გადაიტანდა თუ არა მგზავრობას პალესტინის 75 წლის ლიდერი და შეძლებდა თუ არა იგი პალესტინაში კვლავ დაბრუნებას.

უახლოესი გარემოცვის ინფორმაციით, იასირ არაფატი თავისი უკანასკნელი დღეების გატარებას პალესტინაში ოცნებობს, რომლის თავისუფლებისთვისაც ის მთელი ცხოვრების მანძილზე იბრძოდა. თუმცა, საეჭვო იყო, მისცემდა თუ არა არაფატს სამშობლოში დაბრუნების უფლებას მისი დაუძინებელი მტერი, ისრაელის პრემიერ-მინისტრი არიელ შარონი. 2002 წლიდან პალესტინის ლიდერი რამალას რეზიდენციაში, ისრაელის მკაცრი ბლოკადის ქვეშ, ფაქტობრივად, შინაპატიმრობაში იმყოფება. ავტონომიის საზღვრების დასატოვებლად მას თელ-ავივის ოფიციალური თანხმობაც კი სჭირდება. როგორც ჩანს, პალესტინისა და ისრაელის პრემიერებს - აჰმედ კურეისა და არიელ შარონს შორის სატელეფონო საუბარში მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ იასირ არაფატს სამკურნალოდ გასამგზავრებლად რამალას რეზიდენციის დატოვების უფლებას მისცემდნენ. ამასთან, მიცემული იქნა მისი პალესტინაში დაბრუნების გარანტიები, თანაც არა მარტო ისრაელის, არამედ ამერიკის მხრიდანაც.

დაისვა მეორე მნიშვნელოვანი კითხვაც: ვინ დაიკავებს "უცვლელი ლიდერის" ადგილს? არაფატს მემკვიდრე არ დაუნიშნავს. როგორც ზოგიერთი ექსპერტი მიიჩნევს, სავსებით მოსალოდნელია, რომ არაფატის სიკვდილის შემდეგ მოვლენები ისეთივე სცენარით განვითარდეს, როგორც საბჭოთა კავშირში სტალინის გარდაცვალების შემდეგ მოხდა - ლიდერის ადგილს თავიდან მისი უახლოესი გარემოცვიდან გამოსული მცირე ჯგუფი დაიკავებს.

ამავე დროს, პალესტინის ავტონომიის ლიდერის სიკვდილმა, შესაძლოა, სერიოზულად გააუარესოს ისრაელის პრემიერის პოლიტიკური მდგომარეობაც. საქმე ის არის, რომ შარონის უმთავრეს მოტივს პალესტინის მხრიდან კონსტრუქციული დიალოგისათვის პარტნიორის არარსებობა წარმოადგენს, რომელიც პრემიერს მის მიერ ღაზას სექტორიდან დასახლებებისა და ჯარების ცალმხრივად გაყვანის გეგმის განსახორციელებლად სჭირდება. იმავდროულად, სამშვიდობო პროცესის მთავარ დამაბრკოლებელ ძალად, როგორც იერუსალიმში, ისე ვაშინგტონში, პირადად პალესტინის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს მიიჩნევენ.

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პალესტინის ავტონომიის ლიდერის წასვლით, შარონის გეგმა თავის აქტუალობას კარგავს. ისრაელის პრემიერი ველარ შეძლებს ღაზას დატოვების გეგმის იმ მოტივით გამართლებას, რომ ის პალესტინაში მოლაპარაკებას ვერავისთან ახერხებს. შარონის მხარდაჭერაზე, სავარაუდოდ, მემარცხენეებიც იტყვიან უარს, რომლებიც მას პალესტინელებთან მოლაპარაკებების განახლებას მოსთხოვენ. ამგვარ ვითარებაში, ისრაელის პრემიერს ან პალესტინის ახალი მთავრობის დაკომპლექტებამდე ღაზადან გამოსვლის გეგმის შეჩერება მოუწევს, ან საერთოდ უარს იტყვის თავის ჩანაფიქრზე და "საგზაო რუკის" გეგმას დაუბრუნდება, როგორც ამას მსოფლიო საზოგადოება მოითხოვს.

ამგვარად, რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, არიელ შარონისათვის მისი დაუძინებელი მტრის სიკვდილი სავსებით უდროო და არამომგებიანია.

ბირტანული გაზეთის Guardian-ის აზრით, იასირ არაფატი უახლოეს მომავალში თავის თანამდებობას დატოვებს. ვიდრე უკიდურესად ავტორიტეტული პალესტინის ლიდერი რამალაში იმყოფებოდა, მისი პოლიტიკური ოპონენტებიდან ვერავინ ცდილობდა ხელისუფლების შეცვლაზე ხმამაღლა საუბარს. თუმცა, ადრე თუ გვიან მემკვიდრეზე საუბარი აუცილებლად დაიწყება, რასაც ხელისუფლებისათვის ბრძოლა მოჰყვება.

პალესტინის ავტონომიის ლიდერის მემკვიდრე შეიძლება სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფებიდან გამოვიდეს. შესაძლოა, ეს ერთ-ერთი იმ ახალგაზრდა პალესტინელთაგანი იყოს, რომლებიც 10 წლის წინ ტუნისის გადასახლებიდან ავტონომიაში არაფატთან ერთად ჩავიდნენ. შეიძლება მემკვიდრე ერთ-ერთი მათგანი იყოს, ვინც 1987 და 2000 წლებში პალესტინაში იმყოფებოდნენ, როდესაც ისრაელის წინააღმდეგ უმსხვილესი ინტიფადები მზადდებოდა.

არაფატის მემკვიდრეობაზე პრეტენზია, შესაძლოა, პალესტინის ხლისუფლების მნიშვნელოვანმა ფიგურებმაც, კერძოდ, პრემიერ-მინისტრმა ან ფინანსთა მინისტრმა განაცხადონ. სავარაუდო კანდიდატებს შორის არიან, ასევე, ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენელი ჯიბრილ რაჯუბი, მუჰამედ დაჰლანი ან ისრაელის ციხეში ამჟამად მყოფი მარვან ბარგუთი.

Guardian-ი ასევე აღნიშნავს, რომ სავარაუდოდ, ექსტრემისტული დაჯგუფებები პოლიტიკური სტაბილურობის არარსებობით ისარგებლებენ და ძალაუფლებისათვის ბრძოლას შეეცდებიან. "ჰამასი" და "ისლამური ჯიჰადი" არაფატის წინააღმდეგ ღიად არასოდეს გამოსულან, მაგრამ არ შეიძლება იმის გამორიცხვა, რომ ისინი მის მემკვიდრეს არ დაუპირისპირდებიან.

დაბოლოს, არაფატი ადრეც არაერთხელ "დაკრძალეს", მაგრამ ის ყოველთვის ამტკიცებდა, რომ მისი ნაადრევად გამოტირება არავის გამოუვა. გუშინაც კი, ის ფოტოგრაფების წინაშე იღიმებოდა, ხოლო მისი ახლობლები მის ამგვარ მდგომარეობას "სტაბილურად" აფასებდნენ. თუმცა, ხუთშაბათს ღამით, მან გონება რამდენჯერმე დაკარგა და საკვების მიღებაც არ შეეძლო. არსებობს მოსაზრება, რომ მას კუჭის კიბო აქვს, თუმცა ვრცელდება ხმები, რომ არაფატი ლეიკემიით (სისხლის გათეთრებით) არის დაავადებული.

კვირის დასაწყისში რამალაში პალესტინის ლიდერის მეუღლე სუჰა თავილი და ქალიშვილი ზაჰვა ჩავიდნენ. არაფატის პარტია "ფათჰ"-ის ხელმძღვანელობის მხრიდან რამალაში ჩასვლის განკარგულება პარტიის ყველა წევრმაც მიიღო, რომლებიც ამჟამად ავტონომიის ფარგლებს გარეთ ცხოვრობენ.

# მშრალი პროდუქტების განაწილების პროგრამა დასრულდა







2004 წლის 9 თებერვალიდან, ხსნის არმია ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ხელშეწყობით ახორციელებდა 5 თვიან მშრალი პროდუქტების განაწილების პროგრამას. აღნიშული პროექტის გახსნას დაესწრო ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ბატონი რიჩარდ მაილსი, განაწილების ცენტრის გახსნა მიმდინარეობდა გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობის შენობაში.

5 თვის განმავლობაში ხსნის არმიის თანამშრომლებმა მოამზადეს 41 000 ცალი მშრალი პროდუქტის კომპლექტი. ამ პროდუქტების შესყიდვა ადგილობრივად მოხდა. თოთოეული კომპლექტი შეიცავდა : ზეთს, ფქვილს, რძის ფხვნილს, შაქარს, ლობიოს, წიწიბურას, ბრინჯს, ჰერკულესს და მანს. ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებით მოამზდდა ბენეფიციართა სიები, გამოიყო განაწილების ცენტრი და დამხმარე მუშახელი. პროექტი განხორციელდა: თბილისში, რუსთავში, დუშეთში, თეთრიწყაროსა და მანგლისში.

მშრალი პროდუქტები ასევე განაწილდა ხსნის არმიის ცენტრებში, თბილისსა და რუსთავში. ბენეფიციარები კი გახლდნენ უმწეო და მრავალშვილიანი ოჯახები, მარტოხელა პენსიონრები, ინვალიდები და სოციალურად დაუცველი ფენა.

დუშეთის რაიონის ადგილობრივმა ხელისუფლებამ დიდი მადლიერება გამოხატა არა მარტო ხსნის არმიისა და USAID -ის მიმართ, არამედ ამ პროქეტში მომუშავე პირების გულისხმიერებისა და ერთგული სამსახურისთვის.

აღნიშნულ პროექტით დასაქმდა 15 ადამიანი.

" ხსნის არმია" მადლიერია, რომ ამ გზით შეძლო დახმარებოდა საქართველოს მოსახლეობას. განსაკუთრებით დიდ მადლობას ვუხდით USAID-ს, ადგილობრივ ხელისუფლებას, პროექტში მომუშავე პირებს, მოხალისეებს რომლებიც თავიანთი სურვილით აწყობდნენ პროდუქტებს ცელოფნის პარკებში და ყველა იმ ადამიანს ვინც მონაწილეობა მიიღო ამ პროექტში.

ორგანიზაცია " ხსნის არმია" გახლავთ საერთაშორისო ქრისტიანული მოძრაობა, რომელიც წარმოადგენს მსოფლიო ევანგელური ეკლესიის ნაწილს. მისი სწავლების საფუძველია ბიბლია, ხოლო მსახურება კი მოტივირებულია უფლის სიყვარულით. მისი მისიაა იესო ქრისტეს სახარების ქადაგება და მისი სახელით გაჭირვებულთა დახმარება ყოველგვარი მიკერძოების გარეშე.

# მძევალთა ამყვანი ტერორისტების მძევალი ნათესავები

*რუსეთის გენერალური პროკურორი ვლადიმირ უსტინოვი საგანგებო ანტიტერორისტული კანონის მიღების ინიციტივით გამოვიდა, რომელიც ისეთ საგანგებო ზომასაც ითვალისწინებს, როგორიცაა "მძევლების კონტრაყვანა".*

რუსეთის ბრძოლა ტერორიზმის წინააღმდეგ, რბილად რომ ვთქვათ, არაადეკვატურ ფორმებს იძენს. ბესლანის ტერაქტის შემდეგ პრეზიდენტ პუტინის ინიცირებულმა "ადმინისტრირების ოპტიმიზაციის" პროექტმა არაერთი კითხვა წარმოშვა იმის შესახებ, რა კავშირი არსებობს რეგიონული მმართველების არჩევნებსა და ტერორიზმთან ბრძოლას შორის. ახლა კი უფრო მკვეთრი წინადადებებიც გაისმა. პარასკევს, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში გამოსვლისას, გენერალური პროკურორი ვლადიმირ უსტინოვი საკანონმდებლო ორგანოს წინაშე ახალი ნოვაციით გამოვიდა. მისი აზრით, ტერორისტთა ნათესავების მძევლად აყვანით შესაძლებელი გახდება ხალხის გადარჩენა (?) და იქნებ თავად ტერორისტებსაც გაუქრეთ ტერაქტების ორგანიზების სურვილი.

გენპროკურორის წინადადებას მხარი აუბა სპიკერმა გრიზლოვმაც. როგორც სააგენტო "რია-ნოვოსტი" იუწყება, გრიზლოვმა განაცხადა, რომ სათათბირო მზადაა, განიხილოს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კანონმდებლობაში შესწორება, რომელიც ე.წ. "მძევლების კონტრაყვანას" ეხება. "თუ აღნიშნულ წინადადებას, რომლის შესახებაც სხვათა შორის პირველად მესმის, შესწორების სახე მიეცემა, იგი აუცილებლად იქნება განხილული," - აღნიშნა სპიკერმა გენპროკურორის ინიციატივის კომენტირებისას.

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლისას საგანგებო ზომების მიღებას გამოეხმაურა უშიშროების ფედერალური სამსახურის უფროსი ნიკოლაი პატრუშევიც. "ტერორიზმისგან დასაცავად განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმების შემოღების მძაფრი საჭიროება მომწიფდა," - ამბობს პატრუშევი. რუსეთის მთავარი ჩეკისტის თქმით, საუბარია "ტერორისტული საფრთხის, ანტიტერორისტული ოპერაციისა და საგანგებო მდგომარეობის რეჟიმებზე".

აღსანიშნავია, რომ რუსეთში უსტინოვის მიერ გუშინ შეთავაზებულ ზომებს აქამდეც მიმართავდნენ. საკმარისია გავიხსენოთ ჩეჩნეთში "კადიროველთა" მიერ ხალხის გატაცება და შემდგომი გაუჩინარება (მეტწილად კრემლის პოლიტიკის მოწინააღმდეგეთა ნათესავებისა და ახლობლების, თუმცა ასეთები ჩეჩნეთში, შესაძლოა, მოსახლეობის უმრავლესობაც იყოს). შეგახსენებთ, მხოლოდ მას მერე ჩაბარდა "ნებაყოფლობით" ხელისუფლებას ასლან მასხადოვის უახლოესი თანამებრძოლი, იჩკერიის თავდაცვის მინისტრი მაგომედ ხამბიევი, რაც მისი ნათესავები მძევლად აიყვანეს. ზოგიერთი ინფორმაციით, ასეთ ოპერაციას ბესლანის ტერაქტის დროსაც მიმართეს. ჩეჩნეთში მძევლად აიყვანეს ბესლანის სკოლაში მყოფთა ახლო ნათესავები და მათი საშუალებით ცდილობდნენ მძევლობაში მყოფი ბავშვების დახსნას.

ასე რომ, გენპროკურორის მიერ გაჟღერებული წინადადება სულაც არ ყოფილა რუსეთის ტერორიზმთან მებრძოლი სამსახურებისთვის უცნობი მეთოდი. მაგრამ, თუ გუშინდელი ინიციატივა კანონის სახეს მიიღებს, რეიდები უდანაშაულო ადამიანების წინააღმდეგ (არანაირი ნორმით, არც სამართლებრივი და არც ზნეობრივი, არ შეიძლება დამნაშავის ახლობელზე რაიმე სახის პასუხისმგებლობის დაკისრება) ლეგალურ საფუძველს შეიძენს.

უსტინოვი მიიჩნევს, რომ ტერორიზმთან ბრძოლის საგანაგებო ვითარებაში, საგანგებო ანტიტერორისტული კანონმდებლობაა საჭირო, რომელიც შესაძლოა, ისეთ ზომებსაც გულისხმობდეს, რაც ნორმალურ პირობებში დაუშვებელია. "ვინც ჩვენზე მახვილით წამოვა, მახვილითვე დაეცემა," - ასეთია გენპროკურორის "პრინციპული" პოზიცია.

*24 საათი*

# მწვანე შუქი "ორჰუსს"

*დასრულდა ევროკავშირის პროექტი "გარემოსდაცვითი ინფორმაცია, განათლება და ცნობიერების ამაღლება", რომელიც მიზნად ისახავდა 6 პოსტსაბჭოურ ქვეყანაში ორჰუსის კონვენციის არსის განმარტებას საჯარო მოხელეებისათვის და სამოქალაქო საზოგადოებისათვის. გამოიცა ეროვნული სახელმძღვანელოები, მომზადდნენ ეროვნული მწვრთნელები, ჩატარდა წვრთნები, განხორციელდა პილოტური ღონისძიებები. როდესაც საქმე გარემოზე ზემოქმედებას ეხება, ჩვენ შეუფერხებლად უნდა ვიღებდეთ მთელ ინფორმაციას, ვმონაწილეობდეთ გადაწყვეტილებათა მიღებაში; უნდა შეგვეძლოს, გავასაჩივროთ ნებისმიერი კანონდარღვევა, - ასეთია ორჰუსის კონვენციის შინაარსი.*

ოთარ ქირია

2002 წლის 17 ივნისიდან 2004 წლის 17 დეკემბრის ჩათვლით აზერბაიჯანში, ბელარუსში, მოლდოვაში, საქართველოში, სომხეთსა და უკრაინაში განხორციელდა ევროკავშირის პროექტი: "გარემოსდაცვითი ინფორმაცია, განათლება და ცნობიერების ამაღლება". პროექტის მიზანს წარმოადგენდა გარემოსდაცვით გადაწყვეტილებათა და, შესაბამისად, გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესება საზოგადოებრივი ინტერესების უკეთ გათვალისწინების ხარჯზე. პროექტის არსი იყო საჯარო მოხელეებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების მხარდაჭერა მათ მიერ ორჰუსის კონვენციის ცხოვრებაში გასატარებლად. პროექტი დააფინანსა ევროკავშირის "ევროეიდის" პროგრამამ. პროექტი განახორციელა "როიალ ჰასკონინგმა" (ნიდერლანდების სამეფოდან), აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის რეგიონულ ეკოლოგიურ ცენტრთან (განთავსებულია უნგრეთში) ერთად.

თითოეულ ქვეყანაში პროექტს ახორციელებდა ეროვნული გუნდი, რომელიც მჭიდროდ თანამშრომლობდა, ერთი მხრივ, პროექტის მაკოორდინირებელ რეგიონულ გუნდთან, და მეორე მხრივ - ორჰუსის კონვენციის ეროვნულ კოორდინატორებთან. ეროვნული გუნდი შედგებოდა გუნდის ხელმძღვანელისგან, ინტერაქტიური სწავლების ეროვნული ექსპერტისაგან და კიდევ რვა წევრისაგან, რომლებიც ქვეყნის როგორც სამთავრობო, ასევე, არასამთავრობო სექტორს წარმოადგენდნენ.

გუშინ გარემოს დაცვის მინისტრმა თამარ ლებანიძემ ევროკავშირის წარმომადგენლებთან ერთად პროექტის შედეგები მოისმინა. როგორც გაირკვა: მომზადდა ორჰუსის კონვენციის განხორციელების მიმოხილვა თითოეული ქვეყნისათვის; შეიქმნა ორჰუსის კონვენციის მხარდაჭერის ეროვნული გუნდები. საგანგებო სწავლების შედეგად ეროვნული გუნდის წევრები ჩამოყალიბდნენ ექსპერტებად, რომელთაც შეუძლიათ ორჰუსის კონვენციის თემაზე ინტერაქტიულ მეცადინეობათა ჩატარება სხვადასხვა აუდიტორიისათვის; გამოიცა (რუსულ და ინგლისურ ენებზე) ორჰუსის კონვენციის განხორციელების ორი რეგიონული სახელმძღვანელო - ერთი საჯარო მოხელეთათვის, ხოლო მეორე - სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთათვის. სახელმძღვანელოები შეიცავს კონვენციის დებულებათა განმარტებებს, მათი განხორციელების პროცედურებისა და გამოყენების კონკრეტულ მაგალითებსა და რეკომენდაციებს; გამოიცა (ეროვნულ და რუსულ ენებზე) ორჰუსის კონვენციის განხორციელების ეროვნული სახელმძღვანელოები - ცალკე-ცალკე საჯარო მოხელეთათვის და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთათვის. მათში დეტალურად განხილულია კონვენციასთან დაკავშირებული ეროვნული კანონმდებლობა და კონკრეტული პროცედურები, მოყვანილია მათი გამოყენების მაგალითები და რეკომენდაციები; თითოეულ ქვეყანაში ჩატარდა ინტერაქტიული სწავლების 6 კურსი, რის შედეგადაც ორჰუსის კონვენციის განხორციელებისათვის საჭირო ცოდნა და ჩვევები გაუუმჯობესდა ცენტრალური მთავრობის - 195, ადილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის - 193 და სამოქალაქო საზოგადოების 210 წარმომადგენელს; გამოიცა ორჰუსის კონვენციის ინტერაქტიული სწავლების რეგიონული და ეროვნული სახელმძღვანელოები. ისინი შეიცავს სწავლების მეთოდების აღწერას, სესიების დეტალურ გეგმებს და სლაიდებს ლექციებისათვის; თითოეულ ქვეყანაში განხორციელდა საპილოტო პროექტები ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე ორჰუსის კონვენციის განხორციელების პრაქტიკული ინსტრუმენტების შესამუშავებლად; გამოიცა ბროშურა საპილოტო პროექტების შედეგების გასაშუქებლად.

# ახალი მემარჯვენეები ლომაიას წინააღმდეგ

## სამინისტრო განათლების სისტემაში არსებული დარღვევების წინააღმდეგ

*ძნელია, კანონპროექტში, რომელიც საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსებისა და მართვის სრულიად ახალ მოდელს გვთავაზობს, საერთოდ ვერანაირი სიახლე ვერ დაინახო. ძნელია, მინისტრზე, რომელსაც აქამდე სრული უფლება ჰქონდა, ქვეყნის მასშტაბით ყველა სკოლის დირექტორი თავად დაენიშნა და თავად მოეხსნა, და რომელმაც ამ უფლებაზე უარი ნებაყოფლობით განაცხადა, თქვა, რომ მას განათლების სისტემაში ტოტალური კონტროლის დაწესება სურს, მაგრამ, როდესაც ამას პარტია გავალებს, ყველაფერი შეიძლება. ცოტას ეროვნული ღირებულებებით ისპეკულანტებ, მეტ-ნაკლებად მხარს ისინიც აგიბამენ, ვინც, განათლების სისტემაში ჩადენილი დანაშაულის გამო, უკვე დაისაჯა, ან ამის შიში მომავალში აქვს და კამპანიაც აგორდება.*

ნინო ბერელიძე

გუშინ ახალმა მემარჯვენეებმა ხელმოწერების შეგროვება დაიწყეს, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის კახა ლომაიას გადადგომის მოთხოვნით. როგორც თავად ამბობენ, სამი დღის განმავლობაში ეს აქცია, თითქმის, ყველა დიდ ქალაქში გაიმართება. დღეს აქციის მონაწილეებმა რუსთაველის პროსპექტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ტექნიკური უნივერსიტეტი მოიარეს. როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაზე მეტი გულშემატკივარი მათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან დახვდათ.

**"ორშაბათიდან პარლამენტი განათლების შესახებ კანონპროექტს განიხილავს. მისი გაცნობის შემდეგ, მინდა გითხრათ, რომ არავითარი ახალი რეფორმა განათლების სისტემაში არ იგეგმება. ეს პროექტი მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურება - შეიქმნას ტოტალური კონტროლის სისტემა საქართველოს ყველა სკოლაში. პირველ ეტაპზე მოიხსნება ყველა სკოლის დირექტორი და მას ორი თვის განმავლობაში შეცვლის განათლების მინისტრის მიერ დანიშნული კაცი, რომელსაც შემდგომ მშობელთა საბჭო აირჩევს. ყოველ შემთხვევაში, დირექტორის თანამდებობაზე მისთვის სასურველი კანდიდატურა დაინიშნება. განათლება მნიშვნელოვანი სფეროა ერის ცხოვრებაში და თუ იგი შენს ნებაზე მართე, ჩათვალე, რომ ყველაფრის მართვას შეძლებ. გულუბრყვილობაა იმაზე ფიქრი, რომ ეს მხოლოდ განათლების სამინისტროს ინიციატივა იყოს - ეს სახელმწიფოს სამომავლო კურსია. სადამდე მიგვიყვანს იგი, დრო გვიჩვენებს, მაგრამ მაშინ უკვე გვიან იქნება,** - აცხადებს ახალი მემარჯვენეების ერთ-ერთი ლიდერი ქალბატონი ფიქრია ჩიხრაძე, - **ეს აქცია ჩვენი ექსკლუზიური უფლება არ არის, ხალხის აზრი და მისი პოზიციის დაფიქსირებაა. ყველა ღონეს ვიხმართ, რომ ეს პროექტი არ დაამტკიცოს პარლამენტმა. ამის იმედი, რა თქმა უნდა, არ გვაქვს, მაგრამ საპარლამენტო უმრავლესობის ნაწილი ჩვენს აზრს იზიარებს. ვნახოთ, რა გამოვა. თუ საზოგადოების აზრს პრეზიდენტი არ გაითვალისწინებს, რეფორმის მოსალოდნელ, სავალალო შედეგებზე პასუხისმგებლობა მას დაეკისრება".**

სტუდენტების ნაწილი არა მარტო შეუერთდა ამ აქციას, არამედ, მათი მოთხოვნის უგულებელყოფის შემთხვევაში, ხელისუფლებას საპროტესტო აქციით დაემუქრა. **"დროული იყო მსგავსი ხელმოწერების შეგროვების დაწყება და, ვისაც უნდა დაეწყო ეს, მხარს დავუჭერდით,** - ამბობს თსუ სტუდენტი დაჩი ცაგურია, - **მხოლოდ ლომაია კი არ უნდა წავიდეს, მას თან უნდა მიჰყვეს მთელი ის კოსმოპოლიტური ჯგუფიც, რომელთა ხელშიც უფაქიზესი რამ - განათლება ჩავარდა, რასაც უმოწყალოდ ანადგურებენ და ლაფში სვრიან. მინისტრის ყოველი ნაბიჯი ქართული ისტორიის, მეცნიერებისა და კულტურის დისკრიმინაციას ემსახურება. პროექტი განათლების შესახებ იმ ფორმით, როგორითაც მოწოდებულია, საფრთხეს უქმნის ჩვენს მომავალს და იგი არ უნდა დააკანონოს პარლამენტმა. სტუდენტები ორგანიზებას გავუკეთებთ საპროტესტო აქციას, რომლის მიზანი ერთადერთი იქნება - ხელი შევუშალოთ განათლების ახალი კანონპროექტის მიღებას. ამის შესახებ ორგანიზებული მზადება მიმდინარეობს. რა სახეს მივცემთ ამ აქციას, ჯერჯერობით არ დავაკონკრეტებთ".**

სტუდენტების ნაწილი მემარჯვენეთა მოთხოვნებს არ ეთანხმება. **"არავითარი სურვილი არ მაქვს, ხელი მოვაწერო მსგავს მოთხოვნას, რადგან მიმაჩნია, რომ რეფორმა აუცილებელი იყო განათლების სფეროში,** - მიიჩნევს ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი ელენე გავაშელი, - **საშუალო და უმაღლესი სასწავლებლისათვის განკუთვნილი პროგრამები ზედმეტად რთულია. ჩემი ფაკულტეტის მაგალითზე ვიტყვი - 28 ბავშვიდან მხოლოდ ოთხი სტუდენტი ვძლევდით მშობლიური ენის პროგრამას, რადგან საკმაოდ რთულია. საჭიროა, მხოლოდ შესაბამისი განათლება მიიღო, ცოდნას ყოველთვის გაიღრმავებ, თუკი ამის სურვილი გაქვს. ბევრი, უბრალოდ, ფეხის ხმასაა აყოლილი".**


ვახო ბასელიას ფოტო

გუშინ საღამოსვე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში მინისტრის მოადგილემ, ქალბატონმა ბელა წიფურიამ პრესკონფერენცია მოაწყო. მან საზოგადოებას იმ სამართლებრივი დარღვევების შესახებ ამცნო, რომელიც ამ ბოლო პერიოდში განათლების სისტემაში გამოვლინდა. განათლების სამინისტროს ინიციატივით, წელს მისაღებ კომისიებში პირველად შემოწმდა აბიტურიენტთა საბუთები ყალბი ატესტატებისა და სხვა დარღვევების აღმოსაჩენად. ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურატურაში, თბილისის პროკურატურასა და გენერალურ პროკურატურაში გადაცემულია მრავალი საქმე, რომლებმაც, მთელი საქართველოს მასშტაბით, უკვე ბევრი სკოლის დირექტორის თანამდებობა შეიწირა. საქმე აღძრულია კიდევ რამდენიმე შემთხვევაზე.

როგორც მინისტრის მოადგილე ვარაუდობს, ამ ბოლო პერიოდში აგორებული კამპანია, სამინისტროს აქტიური ქმედებების გამო, განაწყენებული ან შეშინებული ხალხის და პარტიული ინტერესების ურთიერთსასარგებლო ტანდემია. ქალბატონმა ბელამ გაიხსენა, რომ 22 ოქტომბრის აქციაში, როდესაც უნივერსიტეტის სხდომათა დარბაზში სკოლის მასწავლებლები მოტყუებით მიიყვანეს და თან ათ-ათი ლარიც ააკრებინეს, ახალი მემარჯვენეებიც აქტიურობდნენ. **"ეს არ არის აქტივობების ის ფორმა, რომელსაც საპარლამენტო პარტია უნდა იყენებდეს. საზოგადოებას მემარჯვენეების მხრიდან არანაირი არგუმენტირებული კრიტიკა არ მოუსმენია. არადა, ცნობილია, რომ მათ რიგებში სერიოზული მენეჯერები და სპეციალისტები არიან. ჩვენ ყოველთვის მზად ვიყავით და ახლაც მზად ვართ დიალოგისა და საფუძვლიანი შენიშვნების მიღებისათვის, მაგრამ მათი მხრიდან ასეთი ნაბიჯი არასდროს გადადგმულა. მათ მოთხოვნებს არა აქვს კანონიერი, სამართლებრივი საფუძველი, ეს უბრალო პოპულიზმია",** - განაცხადა მინისტრის მოადგილემ.

# საბავშვო კინოცენტრი "ფიფქია" შედეგებზე საუბრობს

ნონა მაისურაძე

საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში საბავშვო კინოცენტრმა "ფიფქიამ" მთელი წლის მუშაობის შედეგები წარმოადგინა. ყველაზე ნათელი შედეგი კი ის იყო, რომ დასავლეთ საქართველოს ყრუ-მუნჯთა სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელი ირაკლი ჟვანია მეცხრე კლასის დამთავრების შემდეგ თბილისის სერგო ზაქარიაძის სახელობის ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების სახელმწიფო კოლეჯში კულტურისა და ტურიზმის სპეციალობით გააგრძელებს სწავლას. დღეს ირაკლი კინოცენტრის წარმომადგენლებთან ერთად ფონდის სტუმარი იყო.

კინოცენტრი 1999 წლიდან ფუნქციონირებს და მისი მიზანი კინოხელოვნების პოპულარიზაცია, მოზარდთა კულტურულ-ესთეტიკური აღზრდის ხელშეწყობაა. კინოცენტრში კინო და ვიდეო ფირების მრავალფეროვანი არქივია.

"ფიფქიამ", შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოზარდთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის კულტურულ-შემოქმედებითი ღონისძიებებით უზრუნველყოფის პროექტის ფარგლებში მოაწყო ავტო-კინოჩვენება საქართველოს სხვადასხვა რეგიონში (იმერეთი, სამეგრელო, გურია, აჭარა).

2003 წლიდან დღემდე საბავშვო კინოცენტრი საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე მუშაობდა; მოაწყო უამრავი ღონისძიება და კინოჩვენება.

პროექტის კოორდინატორმა ქეთევან ფანცხავამ სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს მადლობა გადაუხადა, რომ საშუალება მიეცათ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები კულტურულ ცხოვრებას ეზიარებინათ.

გააგრძელებს თუ არა პროექტში მონაწილეობას საბავშვო კინოცენტრი, ტენდერის დასრულების შემდეგ გახდება ცნობილი. სურვილი კი დიდია - ხელოვნებას და სულიერებას აზიარონ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოზარდები.

# სასიცოცხლო დახმარება

გაერთიანებული ერების მსოფლიო სასურსათო პროგრამა ზამთრისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი სურსათით უზრუნველყოფს 2004 წლის ივლისში წყალდიდობით დაზარალებული მაღალმთიანი სვანეთის მოსახლეობას.

სამი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც გადაუღებელმა წვიმამ აუნაზღაურებელი ზიანი მიაყენა მესტიის მაღალმთიან სოფლებს - დააზიანა საცხოვრებელი სახლები და წარეცხა სასოფლო სამეურნეო სავარგულები. მულახში, წვირმსა და იფარში მცხოვრები 2000-მდე ადამიანი, შესაძლოა, კიდევ ერთი საშიშროების წინაშე აღმოჩენილიყო - მოსავლის, თითქმის, მთლიანად დაკარგვის გამო მათ არ ჰქონდათ მოახლოებული ზამთრისათვის აუცილებელი სურსათის მარაგი. 25 ოქტომბერს სურსათით დატვირთული პირველი სატვირთო ავტომანქანები დაიძრა WFP-ს ქუთაისის საწყობიდან მესტიის მიმართულებით. მესტიის რაიონის აღნიშნული სამი სოფლის 1,957 მცხოვრებს 115 ტონა პურის ფქვილი, ზეთი და იოდიანი მარილი დაურიგდება. ხსენებული ჰუმანიტარული ტვირთის დარიგება დღეს დაიწყება. ოპერაცია ხორციელდება არასამთავრობო ორგანიზაციასთან Accion Contra el Hambre (ACH) და მესტიის რაიონის გამგეობასთან თანამშრომლობით.

*24 საათი*

ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო"
OPEN SOCIETY - GEORGIA FOUNDATION

**ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო"**
*მასმედიის ეროვნული პროგრამა*
*აცხადებს კონკურსს*
*საგამომძიებლო ჟურნალისტიკის სფეროში საუკეთესო სიუჟეტის ან გადაცემის გამოსავლენად, რომელიც*
*2004 წელს მომზადდა და გადაიცა საქართველოს რომელიმე რეგიონული დამოუკიდებელი ტელეკომპანიის მიერ*
*კონკურსის მიზანია*
საქართველოს რეგიონულ ტელეკომპანიებში მომუშავე ჟურნალისტების მიერ საგამომძიებლო ჟურნალისტიკის სფეროში შესრულებული საუკეთესო ნაშრომების გამოვლენა
საპრიზო ფონდი:
1 ადგილი - $1200
2 ადგილი - $ 900
3 ადგილი - $ 700

**ფონდში მასალების წარმოდგენის ბოლო ვადაა**
**2004 წლის 25 ნოემბერი 17.00**
**მისამართი: ჭოველიძის 10, ტელ:**
**25 05 92; 25 04 63; ფაქსი: 29 10 52**

ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო"
OPEN SOCIETY - GEORGIA FOUNDATION

**ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო"**
*მასმედიის ეროვნული პროგრამა*
*აცხადებს კონკურსს*
*რეგიონულ ბეჭდვით მედიაში საგამომძიებლო ჟურნალისტიკის სფეროში 2004 წელს შესრულებული საუკეთესო ნაშრომების*
*გამოსავლენად*
*კონკურსის მიზანია*
რეგიონულ ბეჭდვით მედიაში საგამომძიებლო ჟურნალისტიკის სფეროში შესრულებული საუკეთესო ნაშრომების გამოვლენა

საპრიზო ფონდი:
1 ადგილი - $1000
2 ადგილი - $ 700
3 ადგილი - $ 500

**ფონდში მასალების წარმოდგენის ბოლო**
**ვადაა 2004 წლის 1 დეკემბერი 17.00**
**მისამართი: ჭოველიძის 10,**
**ტელ: 25 05 92; 25 04 63; ფაქსი: 29 10 52**

United Nations Development Programme
UNDP Georgia
**გაეროს განვითარების პროგრამა**

## აცხადებს ტენდერს

**გაერო-ს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის *(FAO)* კაკლისა და თხილის სანერგეების რეაბილიტაციის *(TCP/GEO/2902(A))* პროექტის ფარგლებში**

**საირიგაციო სისტემების პროექტირებასა და მონტაჟზე**

**დაინტერესებულ კომპანიებს ტექნიკური სპეციფიკაციის ნახვა შეუძლიათ გაეროს განვითარების პროგრამის ვებ გვერდზე: http://www.undp.org.ge**
**წინადადებები მოგვაწოდეთ დალუქული კონვერტით შემდეგ მისამართზე:**
**კოსტავას ქუჩა 41, თბილისი, საქართველო**
**სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ოთახი N637 და 639**
**სატენდერო წინადაების მიღების ბოლო ვადაა**
**2004 წლის 8 ნოემბერის 17:00 საათი**

სსიფ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **სამტრედიის რაიონის სოფელ გომის თემის ცენტრის სარემონტო სამუშაოები.**

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება

**სოფ. გომის სათემო კავშირთან "კაპიტონა"**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სათემო კავშირი **"კაპიტონა"** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:
**საქართველო, სამტრედიის რაიონი,**
**სოფელი გომი, გამგეობის შენობა**
**საკონტაქტო პირი თამაზ ნიკოლეიშვილი, სათემო კავშირი "კაპიტონა"-ს თავმჯდომარე**

**2004 წლის 3 ნოემბრიდან 10-დან 18 საათამდე** (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **1 100** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:
**საქართველო, სამტრედიის რაიონი,**
**სოფელი გომი, გამგეობის შენობა**
**საკონტაქტო პირი თამაზ ნიკოლეიშვილი, სათემო კავშირი "კაპიტონა"-ს თავმჯდომარე**

**2004 წლის 1 დეკემბრის 15 საათამდე.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **15:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:
საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

სსიფ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **ჭიათურის რაიონის სოფ. ხვაშითის თემის ცენტრის შენობის რემონტი.**

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება

**სოფელ ხვაშითის სათემო კავშირთან "ხვაშითი"**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, **სათემო კავშირი "ხვაშითი"** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ჭიათურის რაიონი,**
**სოფელ ხვაშითი, სკოლის შენობა**
**საკონტაქტო პირი ზურაბ ჯაჯანიძე, სათემო კავშირი "ხვაშითი"-ს თავმჯდომარე**

2004 წლის **2 ნოემბრიდან** 10-დან 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20 (ოცი)** ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **1 200** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ჭიათურის რაიონი**
**სოფელ ხვაშითი, სკოლის შენობა**
**საკონტაქტო პირი ზურაბ ჯაჯანიძე, სათემო კავშირი "ხვაშითი" თავმჯდომარე**

**2004 წლის 1 დეკემბერი 15 საათამდე.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **15:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:
საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

# ენერგეტიკა

## გუშინ, დღეს, ხვალ

# ორთაჭალჰესი



ორთაჭალჰესი.



ორთაჭალჰესის გარემონტებული გენერატორი.



ორთაჭალჰესის სატრანსფორმატორო განაკვეთი.

ვისაც თბილისის ძველ უბანში - ორთაჭალაში გაუვლია, უთუოდ თვალს მოსტაცებს მდ. მტკვარზე აგებული შთამბეჭდავი რკინაბეტონის ნაგებობა. ესაა ბურჯოვანი ტიპის ჰიდროელექტროსადგური ანუ "ორთაჭალჰესი", რომელიც 1950-1954 წლებში აშენდა. მისი პროექტი, საკავშირო ენერგეტიკის სამინისტროს დაკვეთით, "თბილჰიდროპროექტმა" შეასრულა. ინჟინრული თვალსაზრისით და თავისი ჩანაფიქრით, ორთაჭალის ჰიდროელექტროსადგური ერთ-ერთი უნიკალური ჰიდროტექნიკური ნაგებობაა ყოფილ საბჭოთა კავშირში. იმ პერიოდისათვის, მტკვარზე ორთაჭალჰესის აშენება, მთავარი ფუნქციის გარდა, ქალაქის ცენტრის კეთილმოწყობასაც ისახავდა მიზნად. კერძოდ, გათვალისწინებული იყო მდ. მტკვრის გასწვრივ სანაპიროების მშენებლობა, მტკვრისპირა უბნების პარკებად და კეთილმოწყობილ სატრანსპორტო მაგისტრალად გადაქცევა, მაგრამ ზაფხულისა და შემოდგომა-ზამთრის თვეებში, წყალმცირობისას, მტკვრის კალაპოტი საგრძნობლად შიშვლდებოდა და სანაპიროს მაღალ კედლებს მკვეთრი დისონანსი შეჰქონდათ თბილისის ღირსშესანიშნაობათა საერთო ანსამბლში. ამიტომ, არსებითი მნიშვნელობა მიეცა მდინარის კალაპოტის წყლით შევსების საკითხს, ანუ წყლის დონის ამაღლებას მდინარის მცირეწყლიანობის პერიოდში. ამის მიღწევა კი შესაძლებელი იყო ქალაქის ფარგლებში კაშხლების აგებით.

ქალაქის ფარგლებში, დიღმის ველიდან ანუ ზაჰესიდან სოფელ სოღანლუღის ბოლომდე, თითქმის 28 კმ-ის მანძილზე, მდ. მტკვრის ვარდნა დაახლოებით 60 მ-ს შეადგენდა და დაისვა საკითხი ამ ვარდნის ენერგეტიკული თვალსაზრისით გამოყენების შესახებ, რაც ქალაქის კეთილმოწყობის გათვალისწინებით, თბილისის ცენტრში ჰიდროელექტროსადგურის აგებას გულისხმობდა. მაგრამ მდინარის კალაპოტის წყლით შევსების საკითხმა, ამოცანების მთელი რიგი დააყენა საქალაქო მეურნეობის წინაშე, უმთავრესი კი ის იყო, რომ ფეკალური წყლები მდ. მტკვარში ქალაქის ფარგლებში ჩადიოდა, რაც სრულიად მიუღებელი იყო. თბილისის კეთილმოწყობის პროექტში გაითვალისწინეს საკანალიზაციო ქსელის რეკონსტრუქცია სანაპიროების გასწვრივ მაგისტრალური კოლექტორების აგების გზით და საკანალიზაციო წყლების გაყვანა სოღანლუღის ხიდის გადაღმა.

გარეგნულად, ორთაჭალჰესი, დაბალზღურბლიან კაშხალს წარმოადგენს, რომელიც სამი ბურჯისა და ოთხი მალისაგან შედგება. ყოველ ბურჯში მოთავსდა ე.წ. "გადენითი" ტიპის ჰიდროტურბოგენერატორები მთელი თავისი ელექტროგამანაწილებელი მეურნეობითა და დამხმარე მოწყობილობით. გარდა ამისა, კაშხალმა ფართო ხიდით დააკავშირა მტკვრის ორივე ნაპირი. კაშხალს ორივე მხრიდან ემიჯნება არქიტექტურულად გაფორმებული მაღალი კედლები, რომლებიც ქალაქის სანაპიროების გაგრძელებას წარმოადგენს.

ასე რომ, ჰიდროელექტროსადგურთან ერთად, თბილისმა შეიძინა კეთილმოწყობილი წყლის მაგისტრალი და არსებითად იერი უცვალა ქალაქის ძველ უბნებს - ორთაჭალას და ისანს. ორთაჭალის ჰიდროელექტროსადგურის კაშხალმა, მდ. მტკვრის დონე ჰიდროსადგურთან 12 მ-ით ასწია და მდინარე, ქალაქის ცენტრალურ ნაწილში, თამარ მეფის (ყოფილი ჩელუსკინელების) ხიდამდე, დაახლოებით 6 კმ მანძილზე, სანაოსნო გახადა.

სადგურის საპროექტო სიმძლავრე 18 მგვტ-ია, საპროექტო გამომუშავება კი წელიწადში 90 მლნ კვტ.სთ-ს შეადგენს.

აღსანიშნავია, რომ დღიდან ორთაჭალჰესის ექსპლუატაციაში შესვლისა, მთელი 40 წლის განმავლობაში, 1954 წლიდან 1994 წლამდე, ანუ აქ იჯარით "ორთაჭალენერჯის" შემოსვლამდე, ჰესზე არანაირი კაპიტალური სარემონტო სამუშაოები არ ჩატარებულა. 90-იანი წლების ცნობილი მოვლენების დროს კი ჰესი, ისევე, როგორც მრავალი მნიშვნელოვანი საწარმო, უმოწყალოდ გაიძარცვა და განადგურდა.

ორთაჭალჰესი, 2019 წლამდე, იჯარით აიღო შპს "ორთაჭალამ", რომელიც 1994 წელს დაფუძნდა. იმ დროისათვის ელ.სადგური შეფერხებით მუშაობდა, მეტიც, იგი საზოგადოებაში "ზარალჰესის" სახელით მოიხსენიებოდა, იჯარაზე გადასვლის მომენტისათვის კი სადგურებში ყოველგვარი რესურსი ბოლომდე იყო ამოწურული.

შპს "ორთაჭალამ" რეკონსტრუქცია - რეაბილიტაციის სამუშაოები 1997 წლიდან დაიწყო. კაპიტალურად შეკეთდა ყველა ძალოვანი აგრეგატი და დანადგარი. მოწესრიგდა საკაბელო მეურნეობა, შეიცვალა დაზიანებული 36 ტონიანი ჩამკეტი ფარების სექციები, აღდგენილი იქნა მუშა ნახაზები და სქემები. შემუშავდა ღია გამანაწილებელი მოწყობილობის რეკონსტრუქციის პროექტი და მის საფუძველზე, მოძველებული აპარატურა შეიცვალა თანამედროვე, ახალი ტიპის მოწყობილობით.

ჰესზე "ორთაჭალენერჯის" მუშაობის შედეგად მოხერხდა მისი საპროექტო სიმძლავრეზე - 18 მგვტ-ზე გასვლა.

მიუხედავად სადგურის განსაკუთრებული სპეციფიკისა, გვალვაშიც კი არ ყოფილა დაბალი მაჩვენებელი, პირიქით, 1999 წელს გამომუშავებამ 69 მლნ. კვტ.სთ-ს მიაღწია, 2000 წელს - 58 მლნ-ს, ხოლო 2001 წელს კი სადგურმა 71 მლნ. კვტ.სთ. ელექტროენერგია გამოიმუშავა.

დღეისათვის ჰესის მართვა მთლიანად კომპიუტერიზებული სისტემის მეშვეობით ხორციელდება, რაც ყოველ ნახევარ წამში 54 სასისტემო პარამეტრის უწყვეტი კონტროლის საშუალებას იძლევა. ობიექტზე მთელი დატვირთვით მუშაობს ტექნიკური მოწყობილობა, მაღალკვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებული ორი საამქრო და ელ.ლაბორატორია. დღეს ორთაჭალჰესი წარმოადგენს განსაკუთრებულ, ახალი ტექნოლოგიებით აღჭურვილ ენერგეტიკულ ობიექტს. ობიექტის განსაკუთრებულობა კი იმაში გამოიხატება, რომ მასშტაბური ავარიის დროს ორთაჭალჰესის მომხმარებელს, რომელშიც შედის თბილისის მეტროპოლიტენი, ქალაქის N1 (ე.წ. "არამიანცის") საავადმყოფო, "შერატონ მეტეხი-პალასი", მთავრობის რეზიდენცია, სამხედრო ჰოსპიტალი, თვალის სნეულებათა რესპუბლიკური ცენტრი, ორთაჭალის პურის ქარხანა, ორთაჭალის ციხე, ტრამვაი-ტროლეიბუსების დეპო, მე-4 სამშობიარო, პროკურატურა, ატს-75, წმ. სამების ტაძარი - დენის მიწოდება არ უწყდება. ერთიანი ენერგოსისტემის გათიშვის პირობებში, ანუ როგორც ენერგეტიკოსები ამბობენ, როცა "სისტემა ნულზე ჯდება", ელექტროსადგური ავტომატურად გამოეყოფა მთლიან ქსელს, 6 მეგავატ სიმძლავრეს გამოიმუშავებს. ავტონომიურ რეჟიმში განაგრძობს მუშაობას და ასევე ავტონომიურ რეჟიმში აწვდის ელექტროენერგიას დედაქალაქის მთელ რიგ სასიცოცხლო დანიშნულების მქონე ობიექტებს. სწორედ ამიტომაა, რომ დიდი ავარიების დროს, თბილისელები გაკვირვებულები კითხულობენ - მთელი საქართველო ჩაბნელებულია და ორთაჭალა რამ გაანათაო.

ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი ზემოთ აღნიშნულ ვითარებაში ის გახლავთ, რომ მთელი ეს საქმიანობა, ყოველგვარი სახელმწიფო საკრედიტო რესურსების გამოყენების გარეშე, მხოლოდ ადგილობრივი, ქართული კაპიტალის მეშვეობით, ქართულ საინჟინრო - ენერგეტიკულ პოტენციალზე დაყრდნობით განხორციელდა და რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, ორთაჭალჰესს, ამ მართლაც სამაგალითო ენერგეტიკულ ობიექტს, არანაირი საბიუჯეტო დავალიანება არ გააჩნია, რაც თავისთავად, უპრეცედენტო ფაქტია ქართულ ენერგოსექტორში.

ორთაჭალჰესის მონახულებამ და მის გენერალურ დირექტორთან, ბატონ ალექსანდრე გურგენიძესთან გულღია საუბარმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა ჭეშმარიტებაში, რომ თუ კაცი პროფესიონალი და საქმის გულშემატკივარია, მისთვის დაუძლეველი არაფერია. ბატონი ალექსანდრე გურგენიძე სწორედ ასეთი შემართული და თავდადებული პიროვნება და სპეციალისტია. როცა იგი ორთაჭალჰესის საქმიანობასა და საერთოდ, ენერგეტიკაზე საუბრობს, თვალებში ცეცხლი უკვესავს და ისეთი გრძნობა გეუფლება, თითქოს ამ საქმეში მას სული აქვს ჩადებული. უნებურად, გურამ რჩეულიშვილის აფორიზმად ქცეული ფრაზა მახსენდება "ალავერდობიდან" - "ვნების სიმძლავრე შენებაშია და არა აშენებულით ტკბობაში". ეს სიტყვები ზედგამოჭრილია ჩემს მასპინძელზე, მას სამომავლოდაც მრავალი იდეა აქვს განსახორციელებელი და ათასი იდეა უტრიალებს თავში. იმედია, იგი განახორციელებს თავის ჩანაფიქრს.

ბატონი ალექსანდრე გურგენიძისა და მისი 40-კაციანი კოლექტივის წარმატებული და ნოვატორული საქმიანობა არ დარჩენილა შეუმჩნეველი. ამ ცოტა ხნის წინ კომპანია "ორთაჭალენერჯი", რომელიც ორთაჭალჰესის მართვას ახორციელებს, ჟენევაში გამართულ ყოველწლიურ ბიზნეს-ფორუმზე, დამოუკიდებელი საერთაშორისო ორგანიზაციის - "ევროპის თაღი სრულყოფისა და ხარისხისათვის" ბიზნეს ინიციატივათა დირექციამ, რომელსაც თავისი წარმომადგენლობა მსოფლიოს 166 ქვეყანაში აქვს, 2004 წელს "საუკეთესო ხარისხისა და წარმატებული ბიზნესისათვის", მსოფლიო საქმიან სამყაროში შეტანილი უდიდესი წვლილისათვის, მაღალი რანგის რეპუტაციისა და პროფესიონალიზმისათვის, რომელიც ნათლად წარმოჩინდა ღირსეულ მუშობაში, სპეციალური აღიარების პრიზით დაჯილდოვდა, რაც მრავლისმეტყველი ფაქტია ჩვენი ქვეყნისათვის, რომელიც მუდმივ ენერგოკრიზისში იმყოფება. ეს ფაქტი კიდევ ერთი მაგალითია იმისა, რომ ქართულ ენერგეტიკას გააჩნია უზარმაზარი პოტენციალი და თუკი ყველა რესურსი მიზანმიმართულად, პატიოსნად და საქმისადმი ერთგულებით იქნება გამოყენებული, საქართველო უთუოდ განათდება.

## ინფორმაცია ელმზომი ლაბორატორიების ფუნქციონირების შესახებ

"ენერგეტიკის შესახებ" საქართველოს კანონის და საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის 2001 წლის 11.04 N21 ბრძანებით დამტკიცებული ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტის დებულების მე-6 მუხლის თანახმად, დეპარტამენტი გასცემს დასკვნას ელექტროენერგეტიკული დანადგარებისა და მოწყობილობების გაშვება-გაწყობის და ლაბორატორიული გაზომვების სამუშაოების წარმოებაზე (საქართველოს ტექ.ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციას დაქვემდებარებული ობიექტების გარდა). ელ.დანაგარებისა და მოწყობილობების ლაბორატორიული გაზომვების უფლება აქვთ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომელთაც გავლილი აქვთ აკრედიტაცია ს.ს.პ.ი. "აკრედიტაციის ეროვნული ორგანოს" შესაბამის სამსახურებში.

აკრედიტაციის მაძიებელი ორგანო ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტში წარმოადგენს განაცხადს ელ.დანადგარებისა და მოწყობილობების გაშვება-გაწყობის, ლაბორატორიულ-გაზომვითი სამუშაოების აკრედიტაციაზე ელ.ტენიკური პერსონალის კვალიფიკაციაზე დასკვნის მისაღებად. განაცხადს თან ერთვის:

1. ელ. ტექნიკური პერსონალის დიპლომის ასლი;
2. შრომის წიგნაკის ამონაწერი;
3. ფირმის წესდება;
4. გამზომი ლაბორატორიების მიერ ჩასატარებელი სამუშაოებისა და გამოსაყენებელი გამზომი საშუალებების ჩამონათვალი.

ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტის მუდმივმოქმედი საგამოცდო საკვალიფიკაციო კომისია, საკვალიფიკაციო ცოდნის შემოწმების შემდეგ, გასცემს დასკვნას ელ.დანადგარებისა და მოწყობილობების გაშვება-გაწყობის, ლაბორატორიულ-გაზომვითი სამუშაოების აკრედიტაციაზე, ელ.ტექნიკური პერსონალის კვალიფიკაციაზე. აკრედიტაციის მაძიებელი ორგანო აღნიშნულ დასკვნას წარუდგენს ს.ს.პ.ი. "აკრედიტაციის ეროვნულ ორგანოს", ის კი თავის მხრივ, გასცემს გამზომი ლაბორატორიის აკრედიტაციის ატესტატს, რომელსაც თან ერთვის აკრედიტაციის სფერო.

ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტის მიერ 2003 წლის იანვრიდან, ელ.დანადგარებისა და მოწყობილობების ლაბორატორიულ - ზომვითი სამუშაოების აკრედიტაციის მიზნით ელ.ტექნიკური პერსონალის კვლიფიკაციაზე გაცემულია 30 დასკვნა.

1. შპს "ელექტროტექნიკა" - ქ. თბილისი;
2. შპს "ქენონ" - ქ. თბილისი;
3. ინდ. საწარმო "კონტაქატი" - ქ. თბილისი;
4. შპს "კოლხეთი-55" - ქ. თბილისი;
5. შპს "მაიმარი" - ქ. ფოთი;
6. შპს "ერ-ჯი ელექტრონიქსი" - ქ. თბილისი;
7. შპს "ვექტორი" - ქ. ქუთაისი;
8. შპს "ენერგია" - ქ. გორი;
9. სს "დელტა-სერვისი" - ქ. ახალციხე;
10. შპს "ენერგია XXI საუკუნე და ავტოგაზი" - ქ. თბილისი;
11. შპს "მაესი" - ქ. ქუთაისი;
12. ინდ. მეწარმე "გ. გოგიაშვილი" - ქ. ზესატაფონი, სოფ. ქვედა საქარა;
13. შპს "ჰიდროაგრეგატი" - ქ. თბილისი;
14. შპს "ანდამატი" - ქ. თბილისი;
15. შპს "ბათუმის ნავთობის ტერმინალი" - ქ. ბათუმი;
16. შპს "ახალი ქსელები" - ქ. თბილისი;
17. ინდ. მეწარმე "დემურ ბოჭორიშვილი" - ქ. თბილისი;
18. შპს "ინტელექტსერვისი" - ქ. თბილისი;
19. შპს "საქართველოს რკინიგზა" - სამტრედიის ელ.მომარაგების დისტანცია - ქ. სამტრედია;
20. შპს "ენერგია - პლიუსი" - ქ. თელავი;
21. საქელექტრომონტაჟგამართვა - ქ. თბილისი;
22. სს "აზოტი" - ქ. რუსთავი;
24. შპს "ენერგეტიკა" - ქ. თბილისი;
25. შპს "ინტელექტ მშენ კომპანი" - ქ. თბილისი;
.26. შპს "ელექტრონი" - ქ. თბილისი;
27. სს "ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა" - ქ. ზესტაფონი;
28. შპს "ენერგია" - ქ. თბილისი;
29. ინდ. მეწარმე "გელა ჭუბაბრია" - ქ. თბილისი;
30. შპს "როტორი" - ქ. ახალციხე;

ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტის 28.07.04 წლის N07-08/01 /372 წერილის საფუძველზე, ს.ს.პ.ი. "აკრედიტაციის ეროვნულმა ორგანომ", ა/წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით დეპარტამენტში წარმოადგინა მათ მიერ აკრედიტებული მოქმედი გამზომი ლაბორატორიების ნუსხა, მათი დასახელების, მისამართების, ხელმძღვანელის ვინაობის, ტელეფონის ნომრის, აკრედიტაციის სფეროსა და აკრედიტაციის მოქმედების ვადის ჩვენებით. სულ 19 გამზომი ლაბორატორია.

მიღებული ნუსხიდან, 21 გამზომ ლაბორატორიაზე ჩვენ მიერ გაცემულია დასკვნა. 21 გამზომი ლაბორატორიიდან, დღევანდელი მდგომარეობით, ჩვენ მიერ გაფრთხილებული იქნა ის გამზომი ლაბორატორიები, რომელთა ელ.ტექნიკურ პერსონალს გაუვიდათ საკვალიფიკაციო ცოდნის შემოწმების ვადა. კერძოდ, ვადა გაუვიდათ:

1. შპს "ენერგია XXI საუკუნე და ავტოგაზის" საგამოცდო (გამზომი) ლაბორატორიას - ა/წლის 5 მაისს;
2. შპს "ენერგის" - ქ. გორი - ა/წლის 10 აპრილს;
3. შპს "კოლხეთი-55-ის" საგამოცდო (გამზომი) ლაბორატორიას - ა/წლის 19 თებერვალს;
4. შპს "ანდამატის" კოროზიისაგან დაცვის და წინაღობის გაზომვების ლაბორატორიას - ა/წლის 14 თებერვალს;
5. შპს "ექსპერტი-98 - ის" გამზომ ლაბორატორიას - ა/წლის 20 ივნისს;
6. სს "აზოტის" საკალიბრო ლაბორატორიას - ა/წლის 25 აგვისტოს;
7. სს "ფეროს" უწყებრივი მეტროლოგიური სამსახურის გამზომ ლაბორატორიას - ა/წლის 26 სექტემბერს;
8. ინდ.საწარმო "გოგიაშვილის" საგამოცდო (გამზომ) ლაბორატორიას - ა/წლის 26 სექტემბერს;

მათ ეთხოვათ, დაუყოვნებლივ წარმოედგინათ ელ.ტექნიკური პერსონალი საკვალიფიკაციო ცოდნის შემოწმებაზე ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტის მუდმივმოქმედ საგამოცდო - საკვალიფიკაციო კომისიაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ პერიოდში მათ მიერ შესრულებული სამუშაოები გაუქმდებოდა (ასლი გაეგზავნა ს.ს.პ.ი. "აკრედიტაციის ეროვნულ ორგანოს").

ასევე, ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტის I, II, III, IV ზონალური ქვედანაყოფის მენეჯერებს, რომელთა ელ.ტექნიკურ პერსონალს გაუვიდათ საკვალიფიკაციო ცოდნის შემოწმების ვადა, გაეგზავნათ ზემოაღნიშნული გამზომი ლაბორატორიების ჩამონათვალი და დაევალათ, მათ მიერ შესრულებული ლაბორატორიულ - გაზომვითი სამუშაოები, ზემოთ მითითებული თარიღებიდან, უკანონოდ ცნონ და გააუქმონ.

### მომხმარებელთა საყურადღებოდ!

ზემოთ აღნიშნულ წერილში იმ მიზნით ვაქვეყნებთ იურიდიულად უფლებამოსილი ელ.მზომი ლაბორატორიების სიას, რომ თითოეულმა მომხმარებელმა თავად შეარჩიოს მისთვის სასურველი აკრედიტაციაგავლილი ლაბორატორია ჩასატარებელი სამუშაოების განსახორციელებლად.

გვერდი მოამზადა ენერგეტიკის სამინისტროს ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა

ე ნ ე რ გ ე ტ ი კ ა

## გუშინ, დღეს, ხვალ

# რა ხდება სს "საქენერგორემონტში"

ერთი კვირის წინ ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების გადამღებმა ჯგუფმა ენერგეტიკის სამინისტროს ელექტროენერგეტიკის დეპარტამენტის დირექტორ ვლადიმერ ჯავახაძესთან, ენერგეტიკული პროექტის საფინანსო დეპარტამენტის დირექტორ აკაკი ლოდიასა და სამინისტროს პრესცენტრის ჟურნალისტ ნინო კიკაჩეიშვილთან ერთად დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, იმერეთსა და რაჭაში იმოგზაურეს და ვიდეოფირზე აღბეჭდეს რიონჰესის, გუმათჰესის, ძევრულჰესის, ვარციხეჰესების კასკადის, ლაჯანურჰესის, შაორჰესისა და სხვა ჰიდროელექტროსადგურებში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ საქართველოს კარგა ხანია, არ უნახავს ასეთი ფართო ფრონტით გაშლილი სამუშაოები ენერგოსისტემაში. ყველგან, სადაც სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს, მუშიდან დაწყებული, საწარმოს ხელმძღვანელებით დამთავრებული, დილიდან საღამომდე, ყოველგვარ ამინდში, მუხლჩაუხრელად შრომობენ, რათა სარეაბილიტაციო სამუშაოები გეგმით გათვალისწინებულ ვადებში შეასრულონ, მაგრამ არის შემთხვევები, როცა მომწოდებლის გამო მუშაობა ფერხდება, თუმცა დანადგარებისა თუ სათადარიგო ნაწილების ადგილზე მოტანისთანავე იწყება თავდაუზოგავი შრომა გაცდენილი დღეების ასანაზღაურებლად, რათა გრაფიკით გათვალისწინებული ვადები არ დაირღვეს.

ამ უზარმაზარი მასშტაბის სამუშაოებში უმნიშვნელოვანესია სააქციო საზოგადოება "საქენერგორემონტის" როლი, რომლის საქმიანობას, რაიონების გარდა, ადგილზეც გავეცანით. შთაბეჭდილება მართლაც წარუშლელია და თუკი ვისმე სურვილი გაუჩნდება იხილოს, როგორ შეიძლება "მკვდრის გაცოცხლება", იგი მცხეთის რაიონის დაბა ზაჰესში უნდა ჩავიდეს, "საქენერგორემონტის" საამქროებში შეიხედოს და ნამდვილად დარწმუნდება ჩვენი სიტყვების ჭეშმარიტებაში. საოცარი გრძნობა გეუფლება ადამიანს, როცა ხედავ ქართველი კაცის შემართებას, მის ნიჭს, ხელმარჯვეობას, გამომგონებლობას. უთუოდ გაიფიქრებ - ასეთ გამრჯე, მუყაით ხალხს ოდნავ მეტი ხელისშეწყობა და დახმარება რომ ჰქონდეს, ქვეყანას წალკოტად აქცევენ. ამ ხალხს არ სჭირდებათ დიდაქტიკოსები და მენტორები, ჩვენი ინჟინრები და ოსტატები, ნებისმიერი ქვეყნიდან ჩამოსულთ, იქით ასწავლიან ხელობას და რჩევა-დარიგებასაც არ მოაკლებენ. მთავარია, დარგისადმი მიდგომა და სახელმწიფო პოლიტიკა განისაზღვროს სწორად და სულ მალე სხვისი დასახმარებელი აღარაფერი გვექნება. ამის ნიშნები კი უკვე შესამჩნევია.



საერთაშორისო სერტიფიკატი.



სააქციო საზოგადოება "საქენერგორემონტის" ტექნიკური დირექტორი არჩილ ნიკოლეიშვილი.

სს "საქენერგორემონტში" მისულებს ტექნიკური დირექტორი არჩილ ნიკოლაიშვილი ეზოში შემოგვეგება. ამ ახალგაზრდა კაცს უკვე ბევრი რამ მოუსწრია. თბოელექტროსადგურების სპეციალისტს, მოსკოვის ენერგეტიკის ინსტიტუტის ასპირანტურაც დაუმთავრებია, 12 სამეცნიერო შრომაც გამოუქვეყნებია, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხიც მოუპოვებია და თეორიული ცოდნით აღჭურვილს, 1993 წლიდან სს "საქენერგორემონტში" დაუწყია მუშაობა.

ბატონმა არჩილმა, ჩვენი თხოვნით, თუმცა საამაყო მრავლად ჰქონდა, მაინც მორიდებულად დაიწყო საუბარი სააქციო საზოგადოების შესახებ, შევატყვეთ სხვა რაღაც სურვილი ჰქონდა, ცოტა ხნის შემდეგ გაგვიმჟღავნა კიდეც - საამქროებში ხომ არ შეიხედავთ, თანამშრომლებს ხომ არ შეხვდებითო. უარს როგორ ვიტყოდით, ჩვენც ხომ ეს გვსურდა და მასპინძელს უკან გავყევით, მანამდე კი აი რა გვიამბო დირექტორმა სს "საქენერგორემონტის" საქმიანობის შესახებ.

სს "საქენერგორემონტი" შეიქმნა 1957 წელს საქართველოს ელექტროსადგურებისა და ქვესადგურების ძირითადი და დამხმარე მოწყობილობათა შეკეთების მიზნით.

საწარმოს ძირითადი დანიშნულება იყო ელექტროსადგურებისათვის სარემონტო სამუშაოების შესრულება. დროთა განმავლობაში დაგროვდა გამოცდილება თბილსრესის, ენგურჰესის, ვარდნილჰესის, ლაჯანურჰესის, გუმათჰესის, შაორჰესის, ვარციხეჰესების კასკადის, ძევრულჰესის, ჟინვალჰესის და სხვა მძლავრი ელექტროსადგურების, აგრეთვე გამანაწილებელი ქსელის 35, 110, 220 და 500 კვ ქვესადგურების ენერგომოწყობილობების მონტაჟის, რემონტისა და გაწყობითი სამუშაოების წარმოებისა.

სს "საქენერგორემონტში" დასაქმებულია 178-ზე მეტი თანამშრომელი: 50 ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, მათ შორის 3 ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი და 100-ზე მეტი კვალიფიციური ხელოსანი.

სს "საქენერგორემონტის" ფუნქციონირებას უზრუნველყოფს საწარმოო-ტექნიკური განყოფილება, მატერიალურ-ტექნიკური და ტრანსპორტით უზრუნველყოფის სამსახური, აგრეთვე საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში განლაგებული სამონტაჟო უბნები, რომლებსაც ხელმძღვანელობენ გამოცდილი და კვალიფიციური ინჟინრები.

საწარმოს თანამშრომლები ეწევიან სამეცნიერო და პრაქტიკულ საქმიანობას, აქვეყნებენ სტატიებს, მონაწილეობენ რესპუბლიკურ და საერთაშორისო კონფერენციებში, ახალი ტექნოლოგიების დანერგვაში.

სს "საქენერგორემონტის" ძირითად საქმიანობას შეადგენს ტურბინების, გენერატორების, ამომრთველების, აკუმულატორების, ტუმბოებისა და ელექტროსადგურის სხვა დამხმარე მოწყობილობების დიაგნოსტიკური, სარემონტო და გაწყობითი სამუშაოების წარმოება როგორც საქარხნო, ასევე ელექტროსადგურის პირობებში; სხვადასხვა წნევის (წყლის, ორთქლის, ზეთისა და მაზუთის) მილსადენებისა და ჩამკეტი არმატურის მონტაჟი და შეკეთება.

სს "საქენერგორემონტს" შესრულებული აქვს დიდი მოცულობის სამუშაოები საქართველოს თითქმის ყველა ელექტროსადგურსა და გამანაწილებელ ქსელში.

ამჟამად, "საქენერგორემონტი" აწარმოებს ენგურჰესისა და ლაჯანურჰესის სარეაბილიტაციო, აგრეთვე ხრამჰესი-1-ისა და ვარდნილჰესის N1 ჰიდროაგრეგატების კაპიტალურ-შეკეთებით სამუშაოებს. შესრულებული გვაქვს გარკვეული ეტაპი ხრამჰესი-2-ის სარეაბილიტაციო სამუშაოებში, რომელიც სამწუხაროდ შეჩერდა.

სს "საქენერგორემონტი" მჭიდროდ თანამშრომლობს ისეთ უცხოურ ფირმებთან, როგორებიცაა: "ანსალდო", "ალსტომი", "სიმენსი", "ჰილფსვერკი", აგრეთვე "თელასთან" და სხვა. საქმიანი თანამშრომლობა აქვს სანკტ-პეტერბურგის ქარხნებთან "ელექტროსილა", "ЛМЗ", "ЭМЛАК", მოსკოვის ქარხანა "ელექტროიზოლიტთან" და "ელინართან", ნოვოსიბირსკის ქარხანა "ელსიბთან", ზაპოროჟიეს ტრანსფორმატორების ქარხანასთან "ЗТЗ", ხარკოვის ქარხნებთან "ელექტროტიაჟმაში", "ტურბოატომი", ბულგარეთის სააკუმულატორო ქარხანასთან და სხვა.

"საქენერგორემონტი" ელექტროსადგურების ენერგომოწყობილობათა დეტალებისა და კვანძების საქარხნო აღდგენას აწარმოებს საკუთარ ქარხანაში, რომელიც შედგება მექანიკური, ელექტრო, სატრანსფორმატორო და ჟანგბადის წარმოების საამქროებისაგან, გარდა ამისა, მჭიდრო ურთიერთობა აქვს რუსთავის მეტალურგიულ ქარხანასთან, თბილისის ჩარხმშენებელ ქარხანასთან, ელმავალმშენებელ და სხვა ქარხნებთან.

სს "საქენერგორემონტის" ტექნიკურ აღჭურვილობაში შედის მონტაჟისა და რემონტისათვის აუცილებელი ხელსაწყო-იარაღები; ენერგეტიკული დანადგარების დიაგნოსტიკისა და ლაბორატორიული გამოცდების მოწყობილობები (სტატორის აქტიური ფოლადის მოკლე შერთვისა და გრაგნილების რჩილვის დიაგნოსტიკის ხელსაწყოები "ინტროსკანი" და "ტეპლოვიზორი"), ელექტრომანქანების დინამიკური ბალანსირებისათვის საჭირო ხელსაწყოები ("БИП" და "ОМЕГА") ავტოამწეები; სატვირთო, სამგზავრო მსუბუქი ავტომობილები და სხვა. საწარმოს გააჩნია ყოველგვარი მასალა სარემონტო სამუშაოების შესრულებისათვის. აუცილებლობის შემთხვევაში შეუძლია ადგილობრივი ან საზღვარგარეთის ბაზრებიდან მოიპოვოს საჭირო მასალები თუ მოწყობილობები.

სს "საქენერგორემონტის" პერსონალს, ხელმძღვანელი და საშუალო რგოლების ჩათვლით, გავლილი აქვთ სათანადო სწავლება უსაფრთხოების ტექნიკაში და ფლობს შესაბამის დოკუმენტებს. სწავლება და ცოდნის კონტროლი პერმანენტულია, ყოველი ახალი სამუშაოს დაწყების წინ პერსონალი გადის სპეციალურ ინსტრუქტაჟებს სამუშაოს უსაფრთხოდ ჩატარების მიზნით.

სააქციო საზოგადოებამ, 2004 წლის 5 აპრილს, მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო ბიზნესის საინიციატივო დირექტორატის (B.I.D) მე-6 საერთაშორისო კონფერენციაში ქ. ჟენევაში, სადაც დაჯილდოვდა ხარისხის ოქროს სერტიფიკატით.

"საქენერგორემონტის" საამქროებში მიმდინარე სამუშაოები, შესაძლოა, ცალკე საუბრის თემაც იყოს, მაგრამ როცა აქ ენგურჰესის, ლაჯანურჰესის, რიონჰესისა და შაორჰესის უზარმაზარი აგრეგატების დამსხვრეული ნაწილები ვნახეთ და გვითხრეს - ცოტა ხნის შემდეგ ეს ყველაფერი ახალივით იქნებაო, არ დავიჯერეთ, მაგრამ ოსტატების საქმიანობას რომ ვუყურეთ, როგორ ჩარხავდნენ და აგვირისტებდნენ მწყობრიდან გამოსულ, დამსხვრეულ ნაწილებს, დაუჯერებელი ჩვენთვის უკვე აღარაფერი იყო. იმედიანი და მომავლისადმი რწმენით აღსავსენი ვტოვებთ "საქენერგორემონტის" ტერიტორიას, რომელსაც გამრჯე და მოჭირნახულე კაცის ხელი ატყვია, ვემშვიდობებით სააქციო საზოგადოების თანამშრომლებსა და ხელმძღვანელობას, რომელთა მიმართ ნამდვილად არ გვეშურება საქებარი სიტყვები, რადგან საქმისადმი პროფესიულ დამოკიდებულებაში მკაფიოდ იკითხება ადამიანის ხასიათი, პატრიოტიზმი და საკუთარი ქვეყნის სიყვარული.

# ზოგი რამ სამინისტროს ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ

ენერგეტიკის სამინისტროს ეკონომიკური სამმართველოს დირექტორის ბატონ არონ სოხაძის მონაცემებით ენერგეტიკა, ტექნიკური თვალსაზრისით, ჯერჯერობით, მეტად მძიმე მდგომარეობაში რჩება. უკანასკნელი 12-15 წლის განმავლობაში ენერგეტიკა, ძირითადად, დადგმული სიმძლავრის დაუნდობელი ექსპლუატაციის ხარჯზე მუშაობდა, რის გამოც დადგმული სიმძლავრეების 50% გამოსულია მწყობრიდან და ეს პროცესი სწრაფად ვითარდებოდა. მართალია, საერთაშორისო დონორებისა და საფინანსო ორგანიზაციების დახმარებით და უცხოური კრედიტებით ხორციელდებოდა სარეაბილიტაციო სამუშაოები (ენგურზე, ლაჯანურზე, ხრამი II-ზე, თბილსრესში), მაგრამ მათი ათვისება მეტად არაეფექტურად მიმდინარეობდა და უსაფუძვლოდ ჭიანურდებოდა.

ამ პროცესის შესაჩერებლად მიმდინარე წლის ივნისიდან (ბიუჯეტი დამტკიცდა მიმდინარე წლის 21 მაისს), ენერგეტიკის სამინისტროს მიერ გარკვეული ზომები იქნა მიღებული. კერძოდ,

- ენგურჰესზე ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის კრედიტით მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში მიღწეულ იქნა მნიშვნელოვანი პროგრესი და იგი ეფექტური გახდა, ვინაიდან საქართველოს მხარემ თავისი ვალდებულებების შესრულება თანადაფინანსებისა და კრედიტის მომსახურების ნაწილში დროულად დაიწყო.

- ხრამი II-ზე და ლაჯანურზე, იაპონურ მხარესთან შეთანხმებით, გამოიძებნა რთული სიტუაციიდან გამოსავალი და მოინახა გზები ამ სადგურებზე რეაბილიტაციის პროექტის გასაგრძელებლად. ეს შესაძლებლობას იძლევა, ენერგოსისტემამ, მიმდინარე წლის 25 დეკემბრიდან, დროებითი სქემით, უმნიშვნელო კაპიტალდაბანდების ხარჯზე, 70-80 მგვტ სიმძლავრე მიიღოს.

- ვარდნილჰესზე ჩატარებული რეაბილიტაციის სამუშაოების შედეგად, ელექტროსისტემაში დამატებით, 60-70 მგვტ სიმძლავრე შემოვიდა.

- გადაუდებელი სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს შაორის, ვარციხის, რიონის, გუმათის ჰიდროელექტროსადგურების საიმედოობის ამაღლებისა და სიმძლავრეების გასაზრდელად.

საბოლოო ანგარიშში, წლის განმავლობაში გამოყოფილი საბიუჯეტო სუბსიდიის ხარჯზე ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად, შესაძლებელი იქნება დამატებით 200 მგვტ სიმძლავრის ამოქმედება.

მიმდინარე წელს, სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი 69 მლნ ლარი ასიგნებებიდან, 34 მლნ ლარი ანუ თითქმის ნახევარი, გამოყენებული იქნა წინა წლების დავალიანების დასაფარავად, ხოლო 3.5 მლნ ლარი მიმართული იქნება აღრიცხვის მოწესრიგებაზე. უახლოესი 2-3 თვის განმავლობაში გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანიის მიერ ყველა საუბნო ტრანსფორმატორზე დაყენებული იქნება საანგარიშო და საკონტროლო მრიცხველები (12000 ცალი), რაც ხელს შეუწყობს აღრიცხვის მოწესრიგებას და შესაბამისად შემცირდება მოხმარებული ელ.ენერგიის დანაკარგები. აქედან გამომდინარე დღის წესრიგში ნაკლებად დადგება ელ.ენერგიის ტარიფის გაზრდის საკითხი. გარდა ამისა, ენგურის ჰიდროელექტროსადგურის თანადაფინანსებაზე მიმართული იქნება დაახლოებით 13 მლნ ლარი ანუ 18%. გადამცემი ხაზების რეაბილიტაციისათვის 4 მლნ ლარამდე, ხოლო 6.5 მლნ ლარამდე ანუ 9.5% გაზის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე. როგორც ჩანს, გამოყოფილი ასიგნებებიდან მხოლოდ 7 პროცენტამდე ანუ 5 მლნ ლარამდე მიიმართება უშუალოდ გენერაციის ობიექტების რეაბილიტაციისათვის. საბიუჯეტო ასიგნებების გამოყენების წარმოდგენილი სტრუქტურა იძულებითია, ვინაიდან კატასტროფული სასტარტო პირობებიდან გამომდინარე, სხვა გამოსავალი არ იყო. თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, მიმდინარე წელს ამ თანხით შესაძლებელი გახდება 200 მგვტ სიმძლავრის ექსპლუატაციაში შეყვანა.

### ენერგეტიკული სექტორის უმთავრესი პირობები

ენერგეტიკის დარგის სრული რეაბილიტაციისათვის საჭიროა ფინანსები, დაახლოებით 400-500 მლნ დოლარის ოდენობით, რომლის რაციონალურ ათვისებას 5-6 წელი მაინც დასჭირდება. თუმცა, ენერგოსექტორში მდგომარეობა წლიდან წლამდე მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება.

ენერგოსექტორში აღრიცხვის მოწესრიგება და გადახდის მაჩვენებელი რადიკალურად გაუმჯობესდება. ამასთან დაკავშირებით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიმდინარე წელს ტარდება გარკვეული ღონისძიებები. ამ მიმართულებით მუშაობა გაგრძელდება მომავალ წლებში, როგორც ქვეყნის შიდა რესურსებით, ისე უცხოური ინვესტიციებით და კრედიტებით.

ზამთარში ელექტროენერგიის დეფიციტის შესავსებად საჭიროა დაახლოებით 1 მლრდ კვტ.სთ ელექტროენერგიის იმპორტი და ამდენივე კვტ.სთ ელ.ენერგიის გამომუშავება თბოელექტროსადგურებში, რომელთა თვითღირებულება თითქმის სამჯერ მაღალია ჰესებიდან მიღებულ ელ.ენერგიაზე. ეს ქმნის დაახლოებით 30-40 მლნ. ლარის ოდენობის დამატებითი ფინანსური რესურსების მობილიზაციის აუცილებლობას. თუ წინა წლებში ამ მიზნით გამოიყოფოდა საბიუჯეტო ასიგნებები, დონორთა დახმარებები, ან ხდებოდა უცხოური საინვესტიციო კრედიტების გამოყენება, მიმდინარე 2004-2005 წწ შემოდგომა-ზამთრის პერიოდში ენერგეტიკის სექტორი მხოლოდ საკუთარი ფინანსური რესურსებით შეეცდება გაართვას თავი გამოზამთრებასთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტას.

### მემკვიდრეობით მიღებული პრობლემები

მემკვიდრეობით მიღებული პრობლემებიდან მთავარია დიდი ოდენობით დავალიანებები და გადაუხდელობა, რომელთა მოცულობა რამდენიმე ასეულ მილიონ ლარს აღწევს. მათ შორის საგარეო ვალები, რომელიც მეზობელი ქვეყნებიდან (ძირითადად, რუსეთი და თურქეთი) ენერგომატარებლების იმპორტითაა გამოწვეული. გადაუხდელობისა და დავალიანების პრობლემის მოსაგვარებლად, გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკის (KFW) ფინანსური მხარდაჭერით, მიმდინარე წლის სექტემბერში შეიქმნა ვალების რესტრუქტურიზაციის სააგენტო, რომელიც შეიმუშავებს სათანადო ფინანსურ მექანიზმებს ამ უმძიმესი პრობლემის გადასაწყვეტად.

თელასის პრივატიზებისას, ს.ს. "თელასის" კრედიტორული დავალიანებები, მათი დებიტორების ინტერესების გაუთვალისწინებლად და მათ მიმართ ადეკვატური ღონისძიებების ჩატარების გარეშე, გადავადებულ იქნა 99 წლით, ამის შედეგად "გაიყინა" გენერაციის ობიექტების მისაღები თანხები 135 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო, საგადასახადო ვალდებულებები ამ 135 მლნ ლართან დაკავშირებით, უმძიმეს ტვირთად დააწვათ და სრული გაკოტრების საშიშროების წინაშე დააყენა ისინი.

წინა პერიოდში ენერგოსექტორში დაგროვილი დავალიანებებიდან ფინანსთა სამინისტრომ თითქმის ყველა საკითხის მოგვარება შეძლო, დარჩა მხოლოდ წყალსადენების პრობლემა. წყალსადენები დიდი ოდენობით ელ.ენერგიის მომხმარებლები არიან და წყლის ტარიფში ელექტროენერგიის ხვედრითი წილი 70-80%-ს შეადგენს. ამის შედეგად განსაკუთრებული პრობლემები აქვთ შექმნილი წყალმომარაგების მეურნეობებს ქ. ქუთაისში, ქ. რუსთავში, ქ. წყალტუბოში, ქ. ჭიათურაში და ა.შ. სადაც მეტად დაბალია თანხის ამოღების მაჩვენებელი. წყლის ტარიფში ელ.ენერგიის წილის სრული გათვალისწინების შემთხვევაში წყალი ძალიან გაძვირდება და ერთ სულზე თვეში მიაღწევს 2.5-3 ლარს, რომლის გადახდა დღევანდელ პირობებში პრაქტიკულად შეუძლებელია. ასეთ ვითარებაში, დღევანდელი მდგომარეობით წყალმომარაგების საწარმოების ელ.ენერგიის დავალიანებამ, მარტო გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანიის მიმართ, 50 მლნ ლარს მიაღწია. შექმნილ მდგომარეობას ხელი შეუწყო საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 23 სექტემბრის N 531 ბრძანებულებამ, რომელიც ფინანსური სიძნელეების გამო არ შესრულებულა და რამდენადაც პარადოქსული არ უნდა იყოს, მოსახლეობის მიერ მოხმარებული წყლის ღირებულების გადაუხდელობისა და დავალიანების დაგროვების ხელშემწყობი ფაქტორი გახდა. ამჟამად აღნიშნული საკითხი საქართველოს მთავრობის წინაშეა დასმული და მიმდინარეობს მისი განხილვა. იმედია, ახლო მომავალში ამ პრობლემის გადასაჭრელად სათანადო გადაწყვეტილებები იქნება მიღებული.

რაც შეეხება საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან ელექტროენერგიის საფასურის ამოღებისა და დავალიანებების დაფარვის მდგომარეობას, კმაყოფილებით შეიძლება აღინიშნოს, რომ საბიუჯეტო პრობლემების მოგვარების პარალელურად, ეს ქრონიკული მოვლენაც მოწესრიგდა.

გვერდი მოამზადა ენერგეტიკის სამინისტროს ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა

ორი გამოფენის შესახებ



B2

განსხვავებული მეთოდის მფლობელი პიანისტი



B3

„ლეონსიო„ - ხალხის მსახური



B5

არჩევნები ამერიკაში

# ბუში და კერი - რომელი მათგანია ფიზკულტურელთა საუკეთესო მეგობარი?




კერი ვინდსერფინგით არის გატაცებული



ბუში კარგი მძღოლია

მელორ სტურუა
საქ. კორ. აშშ

მრავალრიცხოვან ოფიციალურ და არაოფიციალურ ტიტულებს შორის, რომელსაც ყველა დროის და ხალხის უდიდესი მხედართმთავარი ატარებდა, იყო ასეთიც - ფიზკულტურელთა საუკეთესო მეგობარი. მსოფლიო პროლეტარიატის გენიალურ ბელადს კარგად ესმოდა, რომ სპორტი პოლიტიკაა და დიდი სპორტი კი დიდი პოლიტიკა.

არც ბუშს და არც კერის არ აქვთ პრეტენზია ყველა დროის და ხალხის უდიდესი მხედართმთავრის ტიტულზე. სადამი ყველაფრის მიუხედავად, არ არის ადოლფი. და, რაღა თქმა უნდა, თეთრი სახლის არც ერთი პრედენდენტი არ აპირებს, იყოს მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი, არქიგენიალურიც კი. სხვაა ფიზკულტურელთა საუკეთესო მეგობრის ტიტული. ამ ტიტულისთვის ბუში და კერი იბრძვიან, როგორც პრეზიდენტის პოსტისათვის, უფრო სწორედ, როგორც ტრიუმფატორის კვარცხლბეკთან მიმავალ მნიშვნელოვანი საფეხურისთვის.

ამერიკულ პოლიტიკურ სლენგში "ფიზკულტურელთა საუკეთესო მეგობარი" ცოტა სხვანაირად ჟღერს: "უმაღლესი მთავარი გულშემატკივარი". ასე რომ, რომელი მათგანია უფრო უმაღლესი და უფრო მთავარი გულშემატკივარი - კერი თუ ბუში?

ამ დღეებში ნიუ იორკის ყოფილი მერი, თავზე ბეისბოლის გუნდის "იანკების" ქუდით, რომელიც ბუშს უწევდა აგიტაციას, ყოველმხრივ ქილიკობდა სენატორ კერიზე და ყველა ცოდვაში ადანაშაულებდა - ლიბერალიზმში, გაუბედაობაში, ფრანგული ენის ცოდნაში და ა.შ. კერის წინააღმდეგ თავისი ფილიპიკა რუდიმ ასეთი სიტყვებით დაამთავრა: "პრეზიდენტობის ეს დემოკრატი კანდიდატი ყალბი სპორტული გულშემატკივარია!"

ჯულიანი ფრთხილი და ზუსტი იყო, როდესაც ასეთი მძიმე ბრალდება სახეში მიახალა კერის. მან არ თქვა, რომ სენატორი ყალბი სპორტსმენია. ყველამ იცის, რომ კერი კარგი სპორტსმენია - ჰოკეისტი, მოთხილამურე, ციგურებით მორბენალი მონადირე-მსროლელი და ისეთი რისკიანი სპორტის სახეობითაცაა გატაცებული, როგორც ვინდსერფინგია. მაგრამ შეიძლება იყო სპორტსმენი და არ იყო გულშემატკივარი და მით უმეტეს, ტიფოზი? არმიის უმაღლესი მთავარსარდალი - ეს კიდევ უფრო ზრდის ცოდვას, - სპორტსმენია და არ გულშემატკივრობს!

ზოგს ეს შეიძლება, სასაცილოდ მოეჩვენოს, მაგრამ ბუშის საარჩევნო შტაბში არიან ადამიანები, რომლებიც ძალიან ყურადღებით ადევნებენ თვალყურს კერი-გულშემატკივრის შეცდომებს და აუწყებენ მთელ ქვეყანას - ატლანტიკიდან წყნარ ოკეანემდე. ვისკონსინში წინასაარჩევნო რალიზე გამოსვლისას კერიმ გრინ-ბეის საფეხბურთო ტაძარს "ლამბიუ ფილდის" ნაცვლად "ლაბერტ ფილდი" უწოდა. ბუშის ხალხმა სასწრაფოდ მთელ ვისკონსინის შტატში დაჰკრეს ბუკი და ნაღარა, სენატორის ეს შეცდომა წარმოადგინეს, როგორც ვისკონსინის ფეხბურთის გულშემატკივართათვის სილის გაწნა (როდესაც მეტოქეები ერთმანეთს ფეხიფეხ მიჰყვებიან, თითოეული გულშემატკივარი-ამომრჩევლის ხმა დასათვლელია).

კერიმ კიდევ უფრო დიდი შეცდომა დაუშვა ახლახანს. თავის მშობლიურ ბოსტონში, მასაჩუსეტსის დედაქალაქში გამოსვლისას, რომლის უმცროსი სენატორი თვითონაა (უფროსი სენატორი - ედუარდ კენედია), კერიმ განაცხადა, რომ მისი საყვარელი სპორტსმენი ბოსტონის კლუბის ბეისბოლის გუნდის "რედ სოქს"-ის ("წითელი წინდები") მოთამაშე მენი ორტოცია. რესპუბლიკელებმა გაიხარეს და მთელ ქვეყანაში აყვირდნენ: ადამიანს, რომელიც ორ მოთამაშეს - მენი რამირესს და დევიდ ორტოცს შეაჯვარებს, არ აქვს არავითარი მორალური უფლება, იყოს პრეტენდენტი ამერიკის შეერთებული შტატების პერზიდენტის თანამდებობაზე. ერთია, არ იცოდე სხვისი შტატის სტადიონის სახელწოდება, და სულ სხვაა - არ იცოდე შენი მშობლიური შტატის სპორტის კუმირის სახელი და გვარი! და ასეთ სენატორს, რომელსაც არ შეუძლია, მართოს თავისი შტატი, მთელი ქვეყნის მართვა უნდა?! საცოდავ სენატორს მოუხდა ახსნა-განმარტება, რაც ისეთივე დამაჯერებელი იყო, როგორც "ეშმაკის ქველმოქმედება".

რა თქმა უნდა, ბუში მშვენიერ ფიზიკურ ფორმაშია, ბევრ წინასაარჩევნო მიტინგზე მას ცნობილი სპორტსმენტები წარადგენენ, მაგრამ გაწვდება კი ის "სპორტის მთავარი გულშემატკივრის წოდებას?". ტეხასის შტატის გუბერნატორობის დროს ბუშმა ჟურნალისტები მოიწვია მტრედებზე სანადიროდ, მაგრამ სულ სხვა ჩიტს - კილდირს ესროლა, რომელიც შეტანილია "წითელ წიგნში". ამისთვის ბუშს მოუხდა 130 დოლარიანი ჯარიმის გადახდა. სულ ცოტა ხნის წინ კი "ესოშიეიტიდ პრესის" რეპორტიორის წინაშე მთიან ადგილებში ველოსიპედის ტარების თავისი შესაძლებლობების დემონსტრირებისას, ბუში ჩამოვარდა და დაიშავა მუხლი. როგორც დემოკრატებმა აღნიშნეს, პრეზიდენტი 3 100 დოლარიანი საკუთარი მანქანის Trek Fuel 98-ის საჭედან ჩამოვარდა. ეს მოხდა ტეხასში, მის რანჩოში.

ბუშის სპორტულ კომპრომატში შეიძლება ასეთი დეტალიც მოიძებნოს. ერთხელ, ნაციონალური საფეხბურთო ლიგის პლეიოფის ყურებისას პრეზიდენტმა გონება დაკარგა (აბა, ვინ არის "განაზებული", კერი თუ ბუში, ხუმრობდნენ დემოკრატები). "ტექსას რეინჯერსის" გუნდის მფლობელობის დროს ბუშმა ვერ შეამჩნია სემი სოსნის ფენომენალური ნიჭი და სხვა კლუბს მიჰყიდა. "როგორ უნდა დაუჯერო ადამიანს, რომელიც ასეთ კატასტროფულ გადაწყვეტილებებს იღებს" - ქილიკობენ დემოკრატები.

აქვს კი ყველაფერ ამას რაიმე პოლიტიკური მნიშვნელობა? დიახაც, აქვს, ამტკიცებს ისტორიკოსი დევიდ გრინბერგი, ავტორი წიგნისა "ნიქსონის აჩრდილი: იმიჯის ისტორია". იგი წერს: "კამათი ეს ის სფეროა, რომელშიც თავიანთი ძალის, შეჯიბრის სიმტკიცის დემონსტრირება შეუძლიათ პოლიტიკურ ლიდერებს, განსაკუთრებით კი პრეზიდენტობის კანდიდატებს. ყველაფერი ეს, თუ ქვეყანა არ იმყოფება საომარ მდგომარეობაში, არის პრეზიდენტის იმიჯის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი". უმნიშვნელო გაუთვლელმა ნაბიჯმაც კი შეიძლება, სერიოზული ზიანი მიაყენოს ამ იმიჯს. გრინბერგი იხსენებს ჯიმი კარტერს, რომელიც ცდილობდა გული არ წასვლოდა ათკილომეტრიანი გარბენის დროს, რაც მრავალმა ფოტოფირმა დააფიქსირა....

ამერიკელთა უმრავლესობა ვერ ამჩნევს თუ შენ, ვთქვათ, უზბეკეთის პრეზიდენტის გვარი მოიტყუე, მაგრამ თუ შენ მაყურებელს "იანკის" მენეჯერი წარუდგინე, როგორც ჯო ტოროცი, როგორც ნიუ იორკის ახლანდელმა მერმა ბლუმბერგმა გააკეთა, შენი რეპუტაცია ძალიან დაზარალდება".

იმიჯი, მართლაც, უმნიშვნელოვანესი რამაა. მახსენდება ასეთი ისტორია. წითელ მოედანზე ფიზკულტურელის დღის აღსანიშნავ ღონისძიებაზე ერთმანეთს უნდა შერკინებოდნენ ორი უძლეველი გოლიათი არსენ მეკოკიშვილი და იოჰანეს კოტკასი? დღესასწაულამდე ერთი დღით ადრე არსენი გამომიტყდა, რომ ძალიან ნერვიულობდა.

- წარმომიდგენია, რა სირცხვილს ვჭამ, თუ დავმარცხდები ამ უზარმაზარი ადამიანის წინაშე", - მითხრა არსენმა, რომელიც გულისხმობდა საბჭოთა ფიზკულტურელთა საუკეთესო მეგობარს.

მე ყურადღება მივაქციე, რომ არსენმა სტალინი მოიხსენია, როგორ უზარმაზარი, და არა, როგორც დიდი და გადავწყვიტე მემხიარულა.

- შენთვის რა უზარმაზარია, ძლივს გწვდება წელამდე, - ვუთხარი მე.

- რას ლაპარაკობ, ის უბრალოდ გიგანტია, - შემეწინააღმდეგა არსენი.

არა აზრებს, არამედ სხეულებს გულისხმობდა იგი. აი, როგორია იმიჯის ძალა! მეკოკიშვილის და კოტკასის ორთაბრძოლა წითელ მოედაზე კი ყაიმით დასრულდა. ეტყობა, ორივე გოლიათი ხალიჩაზე ფრთხილად მოქმედებდა, რომ არ შერცხვენილიყვნენ გიგანტის თვალწინ.

და რაც შეეხება იმას, თუ ვინ არის ამერიკელ ფიზკულტურელთა საუკეთესო მეგობარი, 2 ნოემბრის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები აჩვენებს. გამარჯვებული გახდება არა მხოლოდ აშშ-ს პრეზიდენტი და უმაღლესი მთავარსარდალი, არამედ "იანკების გულშემატკივართა მთავარსარდალიც".



ბოსტონელი ბეისბოლისტები და მათი გულშემატკივრები კერის უჭერენ მხარს



ნიუ იორკის "იანკის" ფანები ბუშს გულშემატკივრობენ



## აფიშა

### თეატრები

**მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი**
რაფიელ ერისთავი
"ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს"
რეჟისორი: გიორგი მარგველაშვილი
დას: 19:00 სთ.

**სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი**
აკა მორჩილაძე
"ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები"
რეჟისორი: დავით ანდღულაძე
ფასი: 2-3 ლარი
დას: 18:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
პრემიერა
ვაჟა-ფშაველა
"გველისმჭამელი"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
არტურ შნიცლერის "წრის" მიხედვით
"პიესა ათ ინტიმურ აქტად"
რეჟისორი: ოთარ ეგაძე
დას: 20:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
"ივანოვი"
(ჩეხოვის მიხედვით)
რეჟისორი: გ. შალუტაშვილი
ფასი: 5 ლარი
დას: 19:00 სთ.

**სამეფო უბნის თეატრი**
"მიმიკრია"
კახა ბაკურაძის დრამატული ცირკი
ფასი: 5 ლარი.
დას: 19:00 სთ.

**გრიბოედოვის თეატრი**
"ცხოვრება მშვენიერია"
(ვთამაშობთ ჩეხოვს)
სასცენო კომპოზიციის ავტორი და რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი
დას: 18:00 სთ.

**აკაკი ხორავას სახელობის მსახიობის სახლი**
ახალგაზრდების შემოქმედება
ნინო ფილფანი, კოტე თოლორდავა
კობა ცხაკაიას "ცხოვრება საწვავის გარეშე"
რეჟისორი: ლელა ჭინჭარაული
(ჯიბის თეატრი)
დას: 16:00 სთ.

### კონცერტები

**კონსერვატორიის დიდი დარბაზი**
საფორტეპიანო მუსიკის საღამო
ირაკლი ავალიანი (საფრანგეთი)
პროგრამაშია: ბახი, ბეთჰოვენი, ბრამსი, დებიუსი.
დას: 19:00 სთ.

### ცირკი

რუსეთის საცირკო პროგრამა.
ნაჩვენები იქნება ხუთი კონტინენტის 89 სახეობის ცხოველი
ფასი: 3-7 ლარი
ლოჟა: 15 ლარი
დას: 15:00 სთ.

### კინოთეატრები

**ამირანი**
"ქალი კატა"
დას: 13:00; 15:30; 20:00; 22:00 სთ.

"ფარენჰეიტი 911"
დას: 17:00 სთ.

**რუსთაველი**
"იდუმალი ტყე"
დას: 20:00; 22:00 სთ

"ევროტური"
დას: 12:00; 14:00; 16:00; 18:00 სთ.

### გამოფენები

**ძველი გალერეა**
დავით მელიქიშვილის ნამუშევრების გამოფენა

**ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი**
"ძველი თბილისი სახვით ხელოვნებაში"

**თანამედროვე ხელოვნების გალერეა**
თბილისური შემოდგომა
(ფერწერა)

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
"უძველესი საქართველო ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე"
გამოფენა-გაყიდვა

**TMS**
ფოტოგამოფენა "ჩინეთი 55"

**"ქარვასლა"**
"რისკიანი მოგზაურობა - ქართველი მიგრანტები ნიდერლანდებში"
ფოტოგამოფენა

**"ვერნისაჟი"**
ვატი დავითაშვილის ნამუშევრების გამოფენა

**"საჭაშნიკე"**
ნათელა გრიგალაშვილისა (ფოტო) და ალექსანდრე ოროპირიძის (ფერწერა)
ნამუშევრების გამოფენა

**ღამის კლუბები**
**"ნოა ნოა"**
Halloween Party
დი-ჯეი დეგარ სებისი და კოკა აბზიანიძე (პერკუსია)
დას: 22:00 სთ.

**აჭარა მიუზიქ ჰოლი**
Julien de nantes
(პარიზი)
დას: 22:00 სთ.

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

# ის, რაც არ იყო თბილისში

## ბიზნესი, კულტურა და სახალხო ზეიმი კახეთში

ვერა ნეფარიძე

*გუშინ კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრმა კახეთში დაგეგმილი "ღვინის ფესტივალის" დასკვნითი ეტაპის გამო პრესკონფერენცია გამართა. გიორგი გაბაშვილმა ჟურნალისტების საშუალებით ფართო საზოგადოება კვირას კახეთში - სიღნაღსა და თელავში მიიწვია. ის, რაც არ იყო წლევანდელ თბილისობაზე, იქნება კახეთში, - დაახლოებით ასეთია ახალი ხელისუფლების პირველი, ხმაურიანად წარდგენილი პროექტის - "ღვინის ფესტივალის" კონცეფცია.*

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში ჟურნალისტებთან გიორგი გაბაშვილის შეხვედრის მიზეზი კახეთში მოახლოებული დღესასწაული იყო. მას შემდეგ, რაც ამავე სამინისტროში ხმაურიანად წარადგინეს "ღვინის ფესტივალის" პროექტი (ჯერ კიდევ არ იყო ღონისძიების სახელწოდება დაზუსტებული) ბევრი რამ შეიცვალა, მათ შორის თვითონ ამ ღონისძიების ირგვლივ. თეატრალიზებული სანახაობა "ვაზის ისტორიული გზა", "ღვინის რიგი" - დიდი ვაჭრობა; ღვინის დეგუსტაცია, აქცია, ქართული ღვინის მეფის ასარჩევად, ღვინის ერთობლივი წურვა მირზაანში, - ეს იმ ღონისძიებათა მცირე ჩამონათვალია, რომელიც კახეთში დაიგეგმა. ნაწილი ჩამოთვლილთაგან უკვე გაიმართა, ნაწილს კი, დღეს და ხვალ დაესწრება ყველა, ვინც შაბათ-კვირას კახეთს, კერძოდ კი - სიღნაღსა და თელავს ეწვევა.

"ღვინის ფესტივალმა" ოდნავი ცვლილება განიცადა. პროექტის მიხედვით, ის დროში გაწელილი არ უნდა ყოფილიყო. თუმცა, მოგვიანებით პროექტის ავტორებმა ასეთი ცვლილება დაუშვეს. "ძალიან წარმატებული" უწოდა გიორგი გაბაშვილმა გუშინდელ შეხვედრაზე მირზაანში გამართულ ღონისძიებას, რომელიც "ღვინის ფესტივალის" ერთ-ერთი ნაწილი იყო. როგორც ცნობილია, "ღვინის ფესტივალი" საქართველოს მთავრობის ის პროექტია, რომელიც თანაბრად უნდა ემსახურებოდეს ბიზნესის, ტურიზმისა და კულტურის ინტერესებს. "მოვლენა უნდა იყოს საქართველოში ღვინის ფესტივალზე ჩამოსვლა. მთელი საქართველო მოიყრის თავს ამ ღონისძიებაზე. ეს იქნება მთელი საქართველოს დღესასწაული კახეთში და არამხოლოდ კახეთის დღესასწაული", - ეს სიტყვები გიორგი გაბაშვილმა ზემოთ ხსენებული პროექტის პრეზენტაციაზე თქვა. სამინისტროში გამართულ შეხვედრას ერთი თვის წინათ ადგილობრივ მეწარმეებთან ერთად, საქართველოს პრემიერ-მინისტრიც ესწრებოდა. "ჩვენთვის ეს პროექტი მეტად პრიორიტეტულია", - ზურაბ ჟვანიას მაშინდელი ფრაზა არაერთხელ გამართლდა. მას შემდეგ კახეთი საქართველოში ჩამოსული საპატიო სტუმრების საპატიო მასპინძელია. ამ მისიას თელავი და სიღნაღი კიდევ ერთხელ შეასრულებენ ამ დღეებში საქართველოში შეკრებილი საქმოსნებისთვის, რომელთაგან უპირატესობა რუს ბიზნესმენებს ერგოთ. წლევანდელ "ღვინის ფესტივალზე" დაახლოებით ორმოცდაათამდე ბიზნესმენს ელოდებიან რუსეთიდან (ისინი საქართველოში საგანგებო ავიარეისით ჩამოვლენ); საერთო ჯამში, გიორგი გაბაშვილის თქმით, საქმოსნები მსოფლიოს 4-5 ქვეყნიდან ჩამოვლენ კახეთში. სამომავლოდ კი სიტუაცია უნდა შეიცვალოს, ანუ ვარაუდობენ, რომ გაფართოვდება გეოგრაფიული არეალიც და ფესტივალიც მასშტაბებს გაზრდის. და მაინც, რა ფესტივალზეა საუბარი?



*გიორგი გაბაშვილი საუბრობს ღვინის ფესტივალზე*

დღეს კახეთში საქმოსნების დღე იქნება. დღესვე ერთსაათიანი კონფერენცია გაიმართება ბიზნესმენების მონაწილეობით. სამუშაო დღეს კი კახეთის ღირსშესანიშნაობების დათვალიერებით დაასრულებენ. რასაკვირველია, ეს გასეირნება წინანდლის გარეშე არ ჩაივლის. რაც შეეხება ხვალინდელ დღეს - კვირას კახეთში სახალხო ზეიმის დღე უნდა იყოს. ასეთია ფესტივალის ორგანიზატორთა ჩანაფიქრი. ამ დღეს თელავი და სიღნაღი უმასპინძლებს სხვადასხვა სახელოვნებო დასებს, მუსიკალურ კოლექტივებს. მუსიკა ბევრი იქნება, - თქვა გუშინდელ შეხვედრაზე გიორგი გაბაშვილმა. ორდღიან ზეიმს თელავში დაასრულებს გალაკონცერტი ქართული ესტრადის წარმომადგენელთა მონაწილეობით (მინისტრი არ დაკონკრეტებულა და არ დაუსახელებია თელავში მიწვეულ მომღერალთა შემადგენლობა). კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის განსაკუთრებული მადლობის ადრესატი გუშინდელ პრესკონფერენციაზე ეკონომიკის მინისტრი - კახა ბენდუქიძე (ფესტივალში აქტიური მონაწილეობისთვის) და რუსეთში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენი ლევან ვასაძე, ასევე, რუსეთ-საქართველოს ბიზნეს-საბჭოს ხელმძღვანელი სოსო ჩხიკვიშვილი იყვნენ. რამდენად მადლობელი დარჩება მთავრობის ამ პროექტით ჩვენი საზოგადოება - პირველ რიგში, კახეთის რეგიონიდან, საინტერესოა. ამას კვირას, მათივე რეაქციიდან შევიტყობთ.

# ორი გამოფენის შესახებ



*დათო მელიქიშვილი და დათო დარჩია გამოფენის გახსნაზე*



*რატი დავითაშვილის ნატურმორტი*

თეონა ჯაფარიძე

გუშინწინ საღამოს, სულ რაღაც ერთი საათის ინტერვალით, მტკვრის ჯერ მარცხენა, შემდეგ მარჯვენა სანაპიროზე ორი, ერთიმეორისაგან სრულიად განსხვავებული მხატვრის ნამუშევრები გამოიფინა: - გალერეა **"ვერნისაჟმა"** (ვორონცოვის მოედნის ახლოს) პრიმიტივიზმი შემოგვთავაზა, **"ძველმა გალერეამ"** კი **დახვეწილი ექსპრესიონიზმი**. ქართულ სამხატვრო სივრცეში მოზღვავებულ ერთფეროვნების შემდეგ (ვგულისხმობ ერთსა და იმავე ავტორების ერთსა და იმავე ტილოებზე ერთსა და იმავე პუბლიკის ერთმანეთთან იდენტურ და დაუსრულებელ კომპლიმენტებს) ასეთი კონტრასტული და საინტერესო არჩევანი გალერეების მხრიდან დიდიხანია აღარ შემდგარა.

**"ვერნისაჟში"** თვალში მეცა უცნაური პეიზაჟები და ნატიურმორტები გეომეტრიული სიზუსტისა და სიბრტყის დემონსტრირება და ფერი. პრიმიტივიზმი თავისთავად ყოველთვის საინტერესოა, რადგან ის თითქმის ყოველთვის გამორიცხავს სიყალბეს და თავისუფალია რთული ქვეწყობილი კონცეფციებისაგან, რადგან ის თავადაა მარტივი და შეუფარავი გრძნობების კონცეფცია. **ვატი დავითაშვილის** ფერწერა ტექნიკურად რთული შტრიხებით ისეთივე დახვეწილ სიმარტივეზე გვესაუბრება, როგორც ორ-სამ წინადადებაში მოქცეული თავად მხატვრის ბიოგრაფია, სადაც ვკითხულობთ, რომ ის დაიბადა ყვარელში, დაამთავრა სკოლა, შემდეგ ჩააბარა კიევის საავიაციო სკოლაში, შემდეგ დაიწყო ხატვა და ამიტომ მიატოვა ინსტიტუტი, 1967-68 წლებში მუშაობდა და სწავლობდა ცნობილი ქართველი მხატვრის ავთო ვარაზის მეთვალყურეობის ქვეშ. ბოლოს კი ვკითხულობთ, რომ მხატვარი სიცოცხლის ბოლომდე ცხოვრობდა თელავში.

"შეყვარებული იყო ფერში. მოსკოვში უამრავ მხატვართან მეგობრობდა. ისინი ყველანი ნონკომფორმისტები იყვნენ, არაფერწერულ საშუალებებს იყენებდნენ. ვატი მათთან ყოველვის კამათობდა, მაგრამ საბოლოოდ სიბრტყეზე ფერების ასეთი განაწილებით, გეომეტრიული აბსტრაქციებით, პეიზაჟის არდაკარგვით, ცოცხალი ოპტიკური ეფექტის შექმნით ბუნებრივად მივიდა პოპ-არტამდე. უფრო სწორად, ის ფერით მივიდა პოპ-არტამდე." - მიხსნის მხატვრის მეგობარი - მხატვარი **თემო ჯაფარიძე**.

ვიდრე ვორონცოვიდან მტკვრის მეორე ნაპირზე მეორე გამოფენისათვის ხიდზე გადავდიოდი, ვფიქრობდი - უორჰოლს რომ თელავში ეცხოვრა, ალბათ ვატის პეიზაჟების მსგავსად, თავის პოპ-არტებს კოკა-კოლის ქილების ნაცვლად, ისიც დედას პურებით, ჩურჩხელებითა და ღვინით სავსე ხელადებით შეამკობდა. ამასობაში კი **"ძველ გალერეასაც"** მივადექი.

**დავით მელიქიშვილის** ფერწერა და მის მიერ მოგონილი პერსონაჟები გუშინ საღამოს ბევრისათვის მოულოდნელობა და სიურპრიზი აღმოჩნდა. "პროფესიული თვალსაზრისით, ეს ისეთი ფერწერაა, რომელსაც დღეს იშვიათად შეხვდები. ერთი შეხედვით გერმანული და ჩრდილოური ექსპრესიონიზმის განწყობა იგრძნობა, მაგრამ ავტორის ინდივიდუალობა კარგ ხაზსა და კარგ კოლორიტში ჩანს. დღეს იშვიათია, რომ მხატვარი მიმართავდეს პორტრეტის ჟანრს და ის ასე საინტერესო იყოს. ეს არის სამყარო, რომლის ნახვისას შენც მისი თანამონაწილე ხდები" - ამბობს მხატვარი და ხელოვნების თეორეტიკოსი **ილიკო ზაუტაშვილი.**

გალერეის მეპატრონეები **მანანა ვადაჭკორია** და **არჩილ დარჩია** კი თვლიან, რომ მხატვრის უამრავი ნამუშევრიდან გალერეაში გამოსაფენად უფრო ფსიქოლოგიური პორტრეტები შეარჩიეს.

პორტრეტი, ადამიანის ფსიქოლოგია და პიროვნების ხასიათი - ეს დავით მელიქიშვილისათვის პროფესიულად საინტერესო სფეროებია ვიზაჟის ხელოვნებისათვის, რომელსაც ის როგორც "თავის ხელობას", ისე მოიხსენიებს, მხატვრობა კი ეს მისი მოთხოვნილებაა, ხატვა მისთვის იგივეა, რაც "შიმშილის დაკმაყოფილება. "ბავშვობიდან სათამაშოების ნაცვლად ქაღალდს ვეთამაშებოდი. ხატვა ეს ჩემი ინტიმური განწყობაა, ამიტომ სულაც არ ვთვლი აუცილებლად, რომ ჩემი ასეთი მდგომარეობა ვინმეს გავუზიარო. მიმაჩნია, რომ პერსონალური გამოფენები დიდი და პრეტენზიული განაცხადის გაკეთებაა." - აცხადებს მხატვარი. მხატვრისთვის ეს მესამე პერსონალური გამოფენაა. მანამდე ის გამოიფინა მოსკოვსა და პარიზში. მისი ერთ-ერთი საინტერესო პროექტი, რომელიც სოროსის ფონდის მხარდაჭერით განახორციელა, ფოტოკონსტრუქციები იყო, სახელწოდებით **"ადამიანის ეკოლოგია".** "ჩემთვის ძირითადი თემა იყო და არის **ადამიანი**, და აქედან გამომდინარე საკუთარი თავის შემეცნება. ამიტომ მე დღესაც პორტრეტზე ვმუშაობ" - ამბობს მხატვარი. მხატვარი, რომელიც ადამიანის ეკოლოგიაში ერკვევა, ემოციური და ექსპრესიულია ფერწერაში და ეს სასიამოვნო ემოციები თქვენც გადაგედებათ, თუ "ძველ გალერეას" ესტუმრებით.

# პირველი პერსონალური გამოფენა

ნანა ბასილაშვილი

"აქ წარმოდგენილი ნამუშევრები გვაიმედებენ, რომ ძალიან ფართო სპექტრის მხატვარი გვეზრდება, ნატიფი, მრავალფეროვანი და დახვეწილი ტილოები პერსპექტიული და წარმატებული მომავლისთვის სრულიად საკმარისია", - ამ სიტყვებით გაიხსნა გუშინ, დიზაინერთა კავშირში, 12 წლის მარიამ სუპატაშვილის პირველი პერსონალური გამოფენა. პატარა მხატვარმა საკუთარ ნამუშევრებში ყველაზე საუკეთესოები აარჩია (ოცი ზეთში შესრულებული ტილო და ათი გრაფიკული ნახატი) და პირველად წარდგა საზოგადოების წინაშე. "დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობ და ვეცადე, საუკეთესო ნამუშევრები წარმომედგინა", - განაცხადა ახალგაზრდა მხატვარმა. პასუხად კი პროფესიონალი თუ არაპროფესიონალი დამთვალიერებლისგან, მარიამი მხოლოდ საქებარ სიტყვებს ისმენდა. შთაბეჭდილებების წიგნთან საგანგებოდ დამაგრებული საწერი კალამი ხელიდან ხელში გადადიოდა.

მარიამ სუპატაშვილი 6 წლიდან ხატავს. ის, რომ მარიამისთვის ეს მხოლოდ გართობა არ იყო, ოთხი წლის წინათ გაირკვა და იგი პედაგოგს, მხატვარ ირინა ელიაშვილს მიაბარეს. "მარიამს განსაკუთრებული ნიჭი აქვს და ხატვას თუ გაჰყვა, ძალიან პერსპექტიული მომავალი ექნება", - ამბობს მარიამის პედაგოგი.

ფანქრისა და აკვარელის შემდეგ პატარა ხელოვანმა თანდათან ზეთში ხატვაც სცადა. ექსპერიმენტმა გაამართლა და ახლა მარიამს ტილოზე თავის ფანტაზია სწორედ ამ მასალის მეშვეობით გადმოაქვს. ფანტაზიის დეფიციტს კი, თუ დარბაზში გამოფენილი ნამუშევრების მიხედვით ვიმსჯელებთ, იგი ნამდვილად არ განიცდის. ხატავს ყველაფერს, გრაფიკას, პეიზაჟს, პორტრეტს, ნატიურმორტს. უპირატესობას კი, რატომღაც, ამ უკანასკნელს ანიჭებს, - "ყოველთვის ვხატავ რეალიზმს, ძალიან მიყვარს, როდესაც ნატიურმორტზე ვმუშაობ".

საბოლოო პროფესიის არჩევამდე მარიამს კიდევ ბევრი დრო აქვს მოსაფიქრებლად. თუმცა, დღესდღეობით ამ კითხვაზე პასუხი მზად აქვს, - "მინდა უმაღლესი განათლება კომპიუტერულ გრაფიკაში მივიღო. რაც შეეხება მხატვრობას, ეს ჩემი მეორე სპეციალობა იქნება და არავითარ შემთხვევაში ჰობი". თუმცა, პედაგოგიც და გამოფენაზე მისული მხატვრებიც თავიანთ რიგებში მარიამის მისაღებად დაუფიქრებლად მზად არიან.

მარიამ სუპატაშვილის ნამუშევრებს, თითქმის ყველა ასაკის დამთვალიერებელი ჰყავდა. დიდ, ლამაზ თაიგულებს უხვად ჩუქნიდნენ ახალგაზრდა მხატვარს. მარიამმა თავისი პირველი პერსონალური გამოფენა, ცოცხალი თუ გაცოხცლებული ყვავილების ფონზე, ბებია-ბაბუასთან, მშობლებთან, მასწავლებლებთან, თანაკლასელებთან და მეგობრებთან სამახსოვრო ფოტოებზე აღბეჭდა.

# განსხვავებული მეთოდის მფლობელი პიანისტი

ნია ნუცუბიძე



ირაკლი ავალიანი: უკვე 15 წელია, რაც საფრანგეთში ვარ, პარიზის კონსერვატორიაში ვასწავლი და სისტემატურად კონცერტებს ვმართავ უცხოეთში.

კონსერვატორიის დიდი დარბაზი დღეს საფრანგეთიდან ჩამოსულ ქართველ პიანისტს - ირაკლი ავალიანს მასპინძლობს, რომლის საკონცერტო პროგრამაში ბახი, ბეთჰოვენი, ბრამსი და დებიუსი გაიჟღერებს. 28 ოქტომბერს მას უკვე ჰქონდა კონცერტი ოპერაში (დირიჟორი რიტა კაზარიანი), რომლის შთაბეჭდილებებზე საერთოდ თავის შემოქმედებაზე და განსხვავებულ საშემსრულებლო მეთოდზე თავად პიანისტი გვესაუბრება. ჩვენდა საბედნიეროდ, საუბარში ირაკლის პედაგოგი, წარსულში თბილისის კონსერვატორიაში მოღვაწე, პარიზის უმაღლესი მუსიკალური სკოლის და ბრიუსელის სამეფო კონსერვატორიის კურსდამთავრებული, წლების მანძილზე პარიზში მცხოვრები და ევროპის მუსიკალურ წრეებში ძალზედ ცნობილი ქალბატონი ეთერ ჯაყელიც ჩაერთო, რომლისგანაც ასევე ბევრი საინტერესო შევიტყვეთ.

მაშ ასე, თბლისში დაბადებული და მუსიკალურ ათწლედში განათლებამიღებული ირაკლი თბილისის კონსერვატორიიდან, მოსკოვში გადადის პროფესორ ლევ ვლასენკოსთან. იქვე განაგრძობს საკონცერტო მოღვაწეობასაც.

"ერთი პერიოდი მუსიკისთვის თავის დანებებას ვაპირებდი და რეჟისორობაზე ვოცნებობდი. შემდეგ, ჩემდა საბედნიეროდ, ქალბატონ ეთერ ჯაყელთან მოვხვდი. იგი პარიზიდან ახალი ჩამოსული იყო, არავინ იცოდა, რას აკეთებდა, თუმცა, რაღაც საინტერესო რომ ხდებოდა მის კლასში, უდავო გახლდათ. ქალბატონი ეთერი რომ არ ყოფილიყო, ალბათ, პიანისტი არც ვიქნებოდი", - გვიხსნის ირაკლი.

ფრანგული პიანისტური სკოლის განსხვავებული მეთოდი, რომელიც მარი ჟაელის სახელს უკავშირდება, ეთერ ჯაყელის განმარტებით, ამგვარია - "ეგრეთ წოდებული მეთოდი, რომელიც საშემსრულებლო მანერის ფსიქო-ფიზიოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს, უზარმაზარ ინფორმაციას გვაწვდის, რათა ჩვენი არტისტული ნიჭის რეალიზაცია მოვახდინოთ".

"ერთი სიტყვით, სხვანაირად გესმის, სხვაგვარად აზროვნებ", - გვერთვება ირაკლი, - "უკვე 15 წელია, რაც საფრანგეთში ვარ, პარიზის კონსერვატორიაში ვასწავლი და სისტემატურად კონცერტებს ვმართავ. უცხოეთში, ისევე, როგორც საქართველოში, ხელს არავინ არავის უწყობს, ვისაც ძალა და უნარი შესწევს, ის მოღვაწეობს, მოკლედ, ჯუნგლების კანონი მოქმედებს. ივლისში იტალიაში ძალზედ საინტერესო მუსიკალურ ფესტივალში - "რაველიო" - მივიღე მონაწილეობა, უახლოეს მომავალში საფრანგეთის მნიშვნელოვან ფესტივალზე ვარ მიწვეული. კამერული ტრიოც მქონდა, სახელწოდებით - Trio Florilege, რომელიც ორი წელია, აღარ არსებობს".

აღსანიშნავია, რომ ბრამსის ტრიოების და ინტერმეცოების მისი უკანასკნელი ჩანაწერი "რიდერზ დაიჯესტის" პრემიით აღინიშნა.

**- თითქმის ყველა მუსიკოსს თავისი საყვარელი კომპოზიტორი ჰყავს, თქვენ შემთხვევაში რა ვითარებაა?**

- ძნელია, რომელიმეს კონკრეტულად გამოყოფა, ყველაფერი თავისთავად ხდება. წელს ბრამსის ვარიაციები ჩავწერე დისკზე, რომელიც იანვარში გამოვა, ძალაუნებურად მთელი წელი ბრამსს ვუკრავდი; შოპენის დისკი რომ გამოვუშვი, მასზე ვიყავი გადართული. არსებობენ, ასევე, დამკვეთები, რომლებიც ძირითადად კონცერტის ორგანიზატორები არიან. მუსიკოსთა ასოციაციებიც ამ საქმით არიან დაკავებულები, დარბაზს ქირაობენ, მუსიკოსს პატიჟებენ და წელიწადში დაახლოებით 5 ან 6 კონცერტს უკეთებენ ორგანიზებას.

**- ბოლოს როდის გამართეთ კონცერტი სამშობლოში და თქვენი გადმოსახედიდან რა ეტაპზეა დღეს კულტურა საქართველოში?**

- 1988 წელს უნდა გამემართა თბილისში კონცერტი, რომელიც რატომღაც გააუქმეს, შემდეგ გავემგზავრე კიდეც. 2000 წელს პირველად ჩამოვედი საქართველოში და კონსერვატორიაში ძალიან გულისამაჩუყებელი კონცერტი გავმართე. წელს ჩემი პირადი სურვილით ჩამოვედი, ისედაც ვერ გამიძლია, ოჯახის მონახულება მსურდა.

თბილისი ყოველთვის იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კულტურის ცენტრი, ყოფილი საბჭოთა კავშირის ეპოქაშიც. ჩემს ბავშვობაში თბილისში სამი თუ ოთხი საკონცერტო დარბაზი ფუნქციონირებდა, სადაც ძალიან ხშირად ერთდროულად იმართებოდა კონცერტები და დარბაზები მუდამ მაყურებლით იყო გადატენილი. მიხარია, რომ დღესაც ახალგაზრდები დადიან კონცერტებზე. ოპერის ორკესტრმა, რომელიც სულ რაღაც ერთი თვის დაკომპლექტებულია, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. მუსიკოსები მონდომებულები არიან და ორკესტრს დიდი პოტენცია აქვს, მას სათანადო მატერიალური ბაზაც სჭირდება.

საუბარში კვლავ ქალბატონი ეთერი ერთვება - "ირაკლი უდავოდ ნიჭიერი პიროვნებაა, მაგრამ ნიჭს განვითარება და რეალიზაცია სჭირდება. საერთოდ, პიანისტისთვის სამი კომპონენტია მთავარი: თვალი, ხელი და სმენა, ეს ყველაფერი კი გონებაში უნდა გადაიხარშოს. პიანისტმა უნდა შეძლოს, გამოხატოს ის, რა განცდებიც გენიოსმა კომპოზიტორმა თავის ნაწარმოებში ჩადო, სხვაგვარად, შესრულება მშრალი გამოვა. სწორედ ეს არის სხვა ტიპის პედაგოგიკა".

საუბარს კი ირაკლი ავალიანის სიტყვებით დავასრულებთ - "საქართველოში კულტურის წინა პლანზე დაყენება მთავრობის დონეზე უნდა ხდებოდეს. კულტურა ქვეყნის რეკლამირებისთვისაც საუკეთესო საშუალებაა, ყოველივეს კი რეალური მატერიალური ბაზაც სჭირდება".

# დაჭაშნიკებული ხელოვნება

## 25 წლისთავზე განახლებული ტრადიცია

ვერა ნეფარიძე



ვახო ბესელიას ფოტო

გამოფენა-გაყიდვა რესტორანში.

*ალბათ, ბევრი არ არის თბილისში რესტორანი, სადაც გამოფენებითაც უმასპინძლდებიან. აღდგენილი ტრადიციით "საჭაშნიკომ" 25 წლის იუბილე აღნიშნა, ერთგულ კლიენტურას კი, თბილისში ცნობილ რესტორანში ნათელა გრიგალაშვილის ფოტოებითა და ლექსო ოქროპირიძის ფერწერით შეხვდნენ.*

როდესაც შევიტყვე, ბარათაშვილის ქუჩაზე, რესტორანში ნათელა გრიგალაშვილის ფოტონამუშევრების გამოფენა-გაყიდვააო, ეჭვით შევხვდი. ვინ ვინ და, ნათელა გრიგალაშვილის ხელოვნება მაინც არ არის რესტორნებში გამოსაფენი-თქო, ვიფიქრე. მეორეს, მხრივ, ინტერესი გამიმძაფრდა - რადგან, მოთხოვნილება არის ასეთ ფოტოგრაფიაზე, ესე იგი, რესტორანიც საინტერესო უნდა ყოფილიყო. ადგილზე მისულს არანაირი დისკომფორტი არ მიგრძვნია ჩემთვის კარგად ცნობილი ფოტოსერიის - "სოფელი" (სერია ღია ბარათების სახით გამოიცა) დათვალიერებისას. მოგვიანებით გავარკვიე, რომ თავიდან დაახლოებით იგივე საფიქრალი ჰქონია ფოტოგრაფსაც. "აქ ისეთი დადებითი აურაა. ძალიან ქართული დარბაზია, მყუდრო და ძალიან მომეწონა", - გვითხრა ფოტოსერიის ავტორმა. მყუდრო და ქართული, სწორედ ის მახასიათებლებია, რის შენარჩუნებასაც აპირებს "საჭაშნიკო".

ცნობილი არქიტექტორის, შოთა ყავლაშვილის მიერ აგებული ღვინის სადეგუსტაციო დარბაზი "საჭაშნიკო" ყოველთვის იმსახურებდა განსაკუთრებულ ყურადღებას. სხვაგვარად რომ ყოფილიყო, აქ არ მიიწვევდნენ სახელმწიფო დონის საპატიო სტუმრებს, ბიზნესმენებს, ხელოვანებს. დარბაზის მომსახურე პერსონალი დღესაც იხსენებს ალა პუგაჩოვას, ანდრეი მაკარევიჩის, შევარდნაძის თანხმლები მაღალჩინოსნების სტუმრობებს. დარბაზი პირველ "თბილისობას" გაიხსნა და წელს, 25 წლისთავის აღსანიშნავად, გარკვეული საზეიმო ღონისძიებები დაგეგმა ერთგული სტუმრების პატივსაცემად. ერთ-ერთი ასეთი კულტურული ღონისძიება ნათელა გრიგალაშვილის ფოტოებისა და მხატვარ ლექსო ოქროპირიძის ფერწერული ნამუშევრების გუშინდელი გამოფენაა.

"დარბაზი ინარჩუნებს ქართულ სულისკვეთებას, ამიტომაც ისეთი ექსპოზიცია შევარჩიეთ, რომ დარბაზის შესატყვისი ყოფილიყო. ისევე როგორც ნათელას ფოტოები, ლექსოს ნამუშევრებიც ასეთად მივიჩნიეთ", - გვითხრა დარბაზის წარმომადგენელმა და ექსპოზიციის ორგანიზატორმა მაია ქავთარაშვილმა.

ნათელა გრიგალაშვილის ამ სერიაზე თავის დროზე ბევრი დაიწერა და ითქვა. "სოფელი" ფოტოგრაფის შემოქმედების უდავოდ ერთ-ერთი საუკეთესო ნაწილია. რაც შეეხება "საჭაშნიკოში" წარმოდგენილ ფერწერას, მისი ავტორი ლექსო ოქროპირიძე თბილისელებს პერსონალური გამოფენებით არ უნდა ახსოვდეთ. სხვადასხვა ჯგუფურ გამოფენებში მონაწილე მხატვრისთვის ეს პირველი პერსონალურია თბილისში, თუმცა პოლონეთში, გერმანიასა თუ რუსეთში მხატვარს ასეთი გამოფენებით იცნობენ. ეს ექსპოზიციაც, რომელიც "საჭაშნიკოს" სტუმრებს დახვდებათ ერთი კვირის განმავლობაში, მხატვარმა ვარშავაში დაგეგმილი გამოფენისთვის შექმნა. გამოფენა პოლონეთის დედაქალაქში სავარაუდოდ ორ თვეში გაიმართება. რაც შეეხება "საჭაშნიკოს", ქართული ღვინის დარბაზში სამომავლოდ არაერთ კულტურულ ღონისძიებას გვპირდებიან. ამას გარდა, დარბაზის მეპატრონეთა სურვილია, "საჭაშნიკომ" ერთგვარი კლუბის მისიაც იტვირთოს; კლუბში, სადაც სუფთა, ნამდვილი ქართული ღვინითა და სხვადასხვა კულტურული საღამოებით გაუმასპინძლდებიან საქმიან ადამიანებს. რამდენად უყვართ და აფასებენ დარბაზის მუდმივი სტუმრები კარგ ხელოვნებას, ამას ერთი კვირის განმავლობაში გამოფენილი ნამუშევრებისადმი მათი ყურადღება აჩვენებს.

ყველაზე ჭკვიანი

შენ სწავლობ სკოლაში და ხარ 11 ან 12 წლის ?
ხარ ჭკვიანი და გამორჩეული სწრაფი აზროვნებით?
არ გეშინია გამოსცადო შენი ინტელექტუალური შესაძლებლობები?
მაშინ, შენ შეგიძლია გახდე გადაცემა ყველაზე ჭკვიანის მონაწილე !

ამისათვის საჭიროა:

ჩვენ ვეძებთ ყველაზე ჭკვიან ბავშვებს !   მონაწილის ანკეტა (შეავსე ყველა გრაფა)

1 სახელი, გვარი და მამის სახელი
2 მისამართი
3 საკონტაქტო ტელეფონის ნომრები
4 დაბადების თარიღი
5 სკოლა
6 კლასი
7 მშობლის ან მეურვის სახელი, გვარი
8 მშობლის ან მეურვის ხელმოწერა
9 დამატებითი საკონტაქტო ტელეფონის ნომრები

ყურადღება: კონკურსანტი ბავშვის ასაკი არ უნდა იყოს 2005 წლის 1 იანვრისთვის 11 წელზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 12-ს. ანკეტა გამოაგზავნეთ მხოლოდ ერთ ეგზემპლარად.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოგვიტანეთ მისამართზე: სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2, ვაჟა ფშაველას 45, 0177 თბილისი

## ათეულები

### კვირის ბესტსელერები მაღაზია "პარნასის" მონაცემებით

| წიგნი | ავტორი | გამომცემლობა | რეიტინგი |
|---|---|---|---|
| ალექსანდრე რონდელი | "საქართველოს ურთიერთობები" | "ნეკერი" | 9.2 |
| ბექა ქურხული | [illegible] | "დილის გაზეთი" | 7.6 |
| [illegible] | [illegible] | "ქრონოგრაფი" | 7.6 |
| [illegible] | [illegible] | "ლოგოსი" | 6.4 |
| ავთანდილ არაბული | "ქართული მეტყველების კულტურა" | "უნივერსალი" | 3.6 |
| აკაკი ბაქრაძე | "სული" | "უნივერსალი" | 2.8 |
| გაბრიელა მისტრალი | "მოუშვი ..." | "საარი" | 2.4 |
| ყურბან საიდი | "ალი და ნინო" | "დიოგენე" | 2 |
| პაულო კოელიო | "ალქიმიკოსი" | | 2 |
| ჯერომ სელინჯერი | "ფრენი, ძე კაცისა" | "საარი" | 2 |



### თანამედროვე როკის ცხელი ათეული ჟურნალ "ბი ლბორდის" მიხედვით



| შემსრულებელი | სიმღერის სათაური | წინა კვირის მაჩვენებელი | ჩარტებში გატარებული პერიოდი |
|---|---|---|---|
| "გრინ დეი" | American Idiot | 1 | 11 კვირა |
| U2 | Vertigo | 2 | 4 კვირა |
| "ტრი დეის გრეისი" | Pain | 4 | 8 კვირა |
| "ველვეტ რევოლვერი" | Fall To Pieces | 3 | 13 კვირა |
| "ლინკინ პარკი" | Breaking The Habit | 6 | 19 კვირა |
| შეველი | Vitamin R (Leading Us Along) | 7 | 11 კვირა |
| ბრეიკინგ ბენჯამინი | So Cold | 5 | 22 კვირა |
| პაპა როუჩი | Getting Away With Murder | 8 | 14 კვირა |
| "კროსფეიდი" | Cold | 11 | 17 კვირა |
| "3 დეის გრეისი" | Just Like You | 10 | 28 კვირა |



### გასული კვირის ყველაზე შემოსავლიანი ფილმების ათეული ამერიკული კინო-თეატრების მონაცემებით

| ფილმი | რეჟისორი | მსახიობი | უიკენდის შემოსავალი $ | საერთო შემოსავალი $ |
|---|---|---|---|---|
| "შური" | ტაკაში შიმიცუ | სარა მიშელ გელარი, ძეი ფიცალი | 39,128,715 | 39,128,715 |
| "ზვიგენის ზღაპარი" | ბიბო ბერჟერონი, ვიკი ჯენსონი | უილ სმითი, რობერტ დე ნირო, რენე ზელვეგერი, ანჯელინა ჯოლი, ჯეკ ბლეკი, მარტინ სკორსეზე | 14,308,271 | 136,982,460 |
| "ხომ არ ვიცეკვოთ?" | პიტერ ჩელსომი | რიჩარდ გირი, ჯენიფერ ლოპესი, სიუზან სარანდონი | 8,889,988 | 24,418,113 |
| "პარასკევი ღამის სინათლეები" | პიტერ ბერგი | ბილი ბობ თორნტონი, ტიმ მაკგროუ, დერეკ ლუკი | 6,947,460 | 47,267,480 |
| "გუნდი ამერიკა: მსოფლიო პოლიცია" | ტრეი პარკერი, მეტ სტოუნი | ტრეი პარკერი, მეტ სტოუნი | 6,288,442 | 22,115,806 |
| "49-ე კიბე" | ჯეი რასელი | ხოაკინ ფენიქსი, ჯონ ტრავოლტა | 5,324,148 | 61,365,196 |
| "გადარჩენა შობაზე" | მაიკ მიტჩელი | ბენ აფლეკი, ჯეიმს განდოლფინი, კრისტინა აპლგეითი | 4,441,356 | 4,441,356 |
| "ტაქსი" | ტიმ სტორი | ქუინ ლატიფა, ჯიმი ფელონი, ჟიზელი | 4,123,642 | 29,729,699 |
| "დავიწყებული" | ჯოზეფ რუბენი | ჯულიან მური, დომინიკ უესტი | 3,278,600 | 61,988,961 |
| I Heart Huckabees | დევიდ ო. რასელი | დასტინ ჰოფმანი, იზაბელ იუპერი, ჯუდ ლოუ, ნაომი უოტსი | 2,902,468 | 5,807,764 |

მოკლედ

## ფერგიუსონი სიცოცხლისთვის საშიშია



"მანჩესტერ იუნაიტედის" შოტლანდიელი მწვრთნელი სერ ალექს ფერგიუსონი ჟურნალისტებს გამოუტყდა, რომ თავისი ფრანგი კოლეგის, ლონდონის "არსენალის" მწვრთნელის არსენ ვენგერის მოკვლა უნდა. ფერგიუსონმა ისიც თქვა, რომ არც დევიდ ბექჰემის ცოლის ვიქტორია ადამსის მოკვლაზე იტყოდა უარს...

"მხოლოდ ერთი ტყვია რომ გქონდეთ, რომელს მოკლავდით - ვენგერს თუ ადამსს?" - ამ კითხვით მიმართეს ჟურნალისტებმა საკლუბო ფეხბურთის ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ მწვრთნელს ჩეშირში გამართულ საქველმოქმედო ვახშამზე. "ბიჭებო, არ შეიძლება, რომ ორი ტყვია მქონდეს?", - ხუმრობითვე უპასუხა ფერგიუსონმა. თუმცა, ჟურნალისტები დარწმუნებული არიან, რომ ფერგიუსონის ამ ხუმრობაში სიმართლის დიდი ნაწილია.

შეგახსენებთ, რომ სერ ალექს ფერგიუსონს საკმარისად აქვს იმის მიზეზები, რომ არსენ ვენგერი და ვიქტორია ადამსი არ უყვარდეს. "არსენალის" მწვრთნელთან ბოლოს მან სულ ცოტა ხნის წინათ იჩხუბა, მათი კლუბების უკანასკნელი შეხვედრის შემდეგ.

ჯგუფ "სპაის გერლზის" ყოფილი წევრი ვიქტორია ადამსი კი ფერგიუსონმა ჯერ კიდევ მაშინ აითვალწუნა, როდესაც დევიდ ბექჰემი "მანჩესტერ იუნაიტედში" თამაშობდა. შოტლანდიელი მწვრთნელის აზრით, სწორედ ვიქტორია უშლიდა ხელს დევიდს იმაში, რომ ამ უკანასკნელს ფეხბურთზე მოეხდინა კონცენტრირება. ეს ყველაფერი იმით დასრულდა, რომ ფერგიუსონმა ბექჰემს სახეში ბუცი ესროლა. თუმცა, ვინ იცის? "მანჩესტერის" ყოფილი ფეხბურთელი კანჩელსკისი ამტკიცებს, რომ სერ ალექსმა ბექჰემს ბუცი კი არ ესროლა, მუშტი დაარტყა სახეში. ასე რომ, ჯობს, ფერგიუსონს იარაღი არ ჩაუვარდეს ხელში...

## სერბი ფეხბურთელები შიმშილით კვდებიან

სერბეთის ერთ დროს ძლიერი საფეხბურთო ჩემპიონატი ამჟამად უმძიმეს მდგომარეობაშია. საფეხბურთო კლუბების ერთი ნაწილი საკუთარ ფეხბურთელთა არათუ ხელფასით უზრუნველყოფას, არამედ გამოკვებასაც ვერ ახერხებს.

ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ კლუბ "ვოევოდინას" მოთამაშეებიც. უკვე რამდენიმე თვეა, რაც მათ ხელფასი არ მიუღიათ. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ გასვლით მატჩებზე ავტომანქანებით მიდიან და თითო მანქანაში ექვს-ექვსი ფეხბურთელი ჯდება. ხოლო იმისთვის, რომ საკვების ფული იშოვონ, მობილური ტელეფონებით ვაჭრობენ.

"ვოევოდინას" ფეხბურთელების მძიმე ყოფის შესახებ იუგოსლავიური ფეხბურთის ყოფილმა ვარსკვლავმა დეიან გოვედარიცამ შეიტყო და გადაწყვიტა, კლუბს დახმარებოდა. გოვედარიცამ "ვოევოდინას" ღორი აჩუქა. ამას გარდა, ფეხბურთელებს შეთავაზა, მის კუთვნილ ნოვი-სადში მდებარე საცხობში იარონ, სადაც მათ ნისიად ჭამის საშუალებას მისცემენ.

ასეთი სიდუხჭირის მიუხედავად, "ვოევოდინას" ხელმძღვანელობას იმედი აქვს, რომ მოთამაშეებს ხელფასის ერთ ნაწილს მაინც გადაუხდის.

## მუჰამედ ალის ხელთათმანი - რუნის

"მანჩესტერ იუნაიტედის" ახალგაზრდა ფორვარდის უეინ რუნის მეგობარი გოგონა კოლინ მაკლაფლინი თავის შეყვარებულს კვლავაც საჩუქრებით ანებივრებს. ძვირფასი საათის *(რომლის საფასურის გადახდაც, სხვათა შორის, თავად რუნის მოუხდა)* შემდეგ კოლინმა რუნის მუჰამედ ალის ნაქონი ხელთათმანი აჩუქა. ეს ხელთათმანი ალის იმ მატჩში ეცვა, როცა ის 1971 წელს ჯო ფრეზერთან დამარცხდა.

საფეხბურთო კარიერის დაწყებამდე რუნი კრივით იყო გატაცებული. ბევრი სპეციალისტის აზრით, საკმაოდ კარგი პერსპექტივაც ჰქონდა. ამიტომ კოლინის საჩუქარი რუნისთვის მეტად ძვირფასია. "უეინს ძალიან უყვარს კრივი და საკმაოდ კარგადაც ჩხუბობს რინგზე", - ამბობს რუნის ოჯახის მეგობარი. უეინის მამა მოკრივე იყო და შვილებს სპორტის ეს სახეობა კარგად შეასწავლა.

ასეთი ორიგინალური ნივთი კოლინმა ნიუ იორკში უკანასკნელი მოგზაურობისას შეიძინა. ინგლისური პრესის ცნობით, ალის ხელთათმანი რამდენიმე ათასი გირვანქა სტერლინგი ღირს.

ჯერჯერობით უცნობია, მოუხდება თუ არა რუნის საჩუქრის საფასურის თავადვე გადახდა ისე, როგორც 15 ათასი ფუნტის ღირებულების საათის შემთხვევაში...

## ოლიმპიური ჩემპიონობიდან ლოთობამდე

კაცს, რომელსაც ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე ტრამპლინიდან ხტომაში ოთხი ოქროს მედალი აქვს მოპოვებული, დამამძიმებელ ვითარებაში თავდასხმის ბრალდებით ტამპერეს სასამართლოში ორი წლითა და ორი თვით სატუსაღოს საგზური გამოუწერეს. ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონი ფინელი მატი ნიუკაინენია. თუმცა, ამბობენ, ტრამპლინიდან მხტომელს ტამპერეს სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების საშუალება აქვს და მერე რა მოხდება, კაცმა არ იცისო.

ამჟამად უკვე პენსიაზე გასული სახელოვანი სპორტსმენი აგვისტოში დააკავეს. ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფი, ის თავს დაესხა 59 წლის მეგობარს და ზურგში დანა ჩაარტყა. დაშავებულს რამდენიმე დღით საავადმყოფოში მოუხდა ყოფნა.

უფრო ადრე, მარტში, ნიუკანენი თანამეცხედრეს აუჯანყდა - მაშინაც დანით შეიარაღებული, მეუღლეს სიკვდილით დაემუქრა. ფინელმა სამართალდამცავებმა ოლიმპიურ ჩემპიონს ოთხთვიანი პირობითი პატიმრობა მიუსაჯეს.

41 წლის ნიუკაინენი კოლეგებს შორის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებსა და მსოფლიო ჩემპიონატებზე მოპოვებული მედლების რაოდენობით დღესაც რეკორდსმენია. მის ყულაბაში 19 მედალია, მათ შორის კალგარის (1988წ.) ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე მოპოვებული სამი ოქროს მედალი.

ალკოჰოლის სიყვარულმა ნიუკაინენი იქამდეც მიიყვანა, რომ ერთხელ კინაღამ საკუთარი თავიც სიცოცხლეს გამოასალმა. როგორც შარშან, აპრილში აღიარა, ლოთობა კარიერის დასრულებისთანავე დაუწყია.

"ეს იყო ჯოჯოხეთი. თავში ტყვიის დახლაც კი მინდოდა იმისთვის, რომ საკუთარი უბადრუკი ცხოვრება დამესრულებინა. მაგრამ მერე მივხვდი, რომ სიცოცხლის ფასი არაფერია! მიმოვიხედე და მივხვდი, თუ რამდენად დავცემულვარ. ამ უფსკრულიდან ამოსასვლელად ორი გზა მქონდა - საკუთარი თავის განადგურება ან ბრძოლა, - ასეთი იყო ოლიმპიური ჩემპიონის მაშინდელი აღიარება. - დაძაბულობის მოსახსნელად გადაკვრა ჯერ კიდევ დიდ სპორტში ყოფნისას დავიწყე. თუმცა, ჩემთვის ალკოჰოლი არავის დაუძალებია - ამას თავად ვაკეთებდი, საკუთარი სურვილით".

ფეხბურთი

# რას ფიქრობენ ქართულ "სუპერკლასიკოზე" გეგუჩაძე და გაბელია



გოგიტა ბუხაიძის ფოტო



ვახო ბესელიას ფოტო

*გეგუჩაძე და გაბელია დღეს გამარჯვებისთვის იბრძოლებენ.*

მიხეილ აბაიშვილი

დღეს თბილისის "ლოკომკოტივის" სტადიონზე ქართულ "სუპერკლასიკოდ" შერაცხული მატჩია. შესაძლოა, ამ მყვირალა ეპითეტზე ქართული საკლუბო ფეხბურთის მიმართ კრიტიკულად განწყობილებმა ირონიულად ჩაიღიმონ, მაგრამ, მერწმუნეთ, დღევანდელი მატჩის მიმართ ირონია უადგილო იქნება. საქართველოს ჩემპიონატში მთელი სეზონის განმავლობაში სულ რამდენიმე ისეთი თამაში იმართება, რომლებიც გულშემატკივრისა და ქართული საფეხბურთო წრეების დიდ ინტერესს იწვევს. დღევანდელი მატჩი კი იმ რამდენიმეშიც გამორჩეულია. ამ შეხვედრას დამატებით ინტერესს ბადებს სუბიექტური გარემოებები, რაზეც ქვემოთ მოგახსენებთ.

გუშინ ამ მატჩის მონაწილე გუნდების მთავარმა მწვრთნელებმა გია გეგუჩაძემ და ოთარ გაბელიამ პრესკონფერენციები გამართეს.

**გია გეგუჩაძე:** "მორიგი მძიმე მატჩი გველის"

"დინამოს" შტაბმა დიღმის ბაზაზე გამართა პრესკონფერენცია. მასში მთავარი მწვრთნელის, გია გეგუჩაძის გარდა, მონაწილეობა მიიღო კლუბის მმართველმა დირექტორმა დავით პეტრიაშვილმა. პეტრიაშვილი შეეხო საორგანიზაციო საკითხებს, რაც ეროვნულ სტადიონსა და იქ ინდივიდუალური სკამების დამონტაჟებას შეეხება.

"ხვალინდელი მატჩი ერთგვარად საქველმოქმედოა. ბილეთების რეალიზაციიდან შემოსული თანხა ეროვნულ სტადიონზე ინდივიდუალური სკამების დამონტაჟებას მოხმარდება. აქცია საქართველოს ქომაგთა ეროვნული ლიგის მოფიქრებული და ორგანიზებულია. "დინამო" მიესალმება ამ წამოწყებას და მასში საკუთარ წვლილსაც შეიტანს. იმედია, გულშემატკივრებს არ შეაშინებს ბილეთის ფასი (3 ლარი) და ბევრი მოინდომებს, მონაწილეობა მიიღოს ამ კარგ საქმეში. თუმცა, უნდა ვთქვა, რომ მხოლოდ 10 ათასი სკამის დამონტაჟება ყველა პრობლემას ვერ მოაგვარებს. არსებობს საკითხთა მთელი წყება, რომლის გადაუჭრელად "დინამო"-სპორტინგის" მატჩის ეროვნულ არენაზე გამართვა შეუძლებელი იქნება", - განაცხადა დავით პეტრიაშვილმა.

გეგუჩაძემ, ძირითადად, დღევანდელ შეხვედრაზე გაამახვილა ყურადღება და მეტოქის მიმართ კომპლიმენტები არ დაიშურა.

"რთული თამაში გველის. "ტორპედომ" პირველი წრე ლიდერის რანგში ჩაამთავრა და ეს სულაც არ ყოფილა შემთხვევითი. ეს გუნდი ძალიან ცოტა გოლს უშვებს და ბრწყინვალე დაცვის ხაზით გამოირჩევა. მისი მეკარე სტურუა ეროვნულ ნაკრებშიც იყო გამოძახებული. "ტორპედოს" არც შუა ხაზი და თავდასხმა დაეწუნება. ჩვენი მატჩები ყოველთვის დაძაბული და საინტერესო იყო. დარწმუნებული ვარ, ტრადიცია არც ახლა დაირღვევა", - განაცხადა "დინამოს" მთავარმა მწვრთნელმა.

**ოთარ გაბელია:** "ქუთაისიდან მოსაგებად ჩამოვედით"

გაბელიამ "ლოკომოტივის" სტადიონზე გამართა პრესკონფერენცია და ჟურნალისტებთან საუბარი იმ სამწუხარო ამბით დაიწყო, რომელიც გუშინ ბრაზილიაში მოხდა.

"მსოფლიო საფეხბურთო ოჯახი ერთიანია და მინდა, ჩემი გულისტკივილი გამოვთქვა იმ უბედური შემთხვევის გამო, რომელიც ბრაზილიაში მოხდა. ვუსამძიმრებ დაღუპული ფეხბურთელის ოჯახს, განსაკუთრებით კი მისი 4 წლის შვილს.

რაც შეეხება ხვალინდელ თამაშს, ზედმეტია იმაზე საუბარი, თუ რამდენად რთული და დაძაბული მატჩი გველის. ზოგმა შეიძლება თქვას, რომ "სოშოსთან" დამარცხება და შემდეგ "თბილისთან" დიდი ანგარიშით წაგება "დინამოში" არსებული კრიზისის მაჩვენებელია. ამ აზრს კატეგორიულად არ ვეთანხმები. "დინამო" ქართული საკლუბო ფეხბურთის გამოკვეთილი ფლაგმანია და ყველა ასპექტში უსწრებს საქართველოს ჩემპიონატის სხვა გუნდებს. მან მიმდინარე სეზონში უეფას თასის ტურნირში ბრწყინვალე გამოსვლით მდიდარი გამოცდილება დააგროვა, რაც ერთიორად ართულებს ჩვენს ამოცანას. ის წაგებები კი "დინამოსთვის" უფრო გამაღიზიანებელი ფაქტორია. გუნდს საკუთარი გულშემატკივრის თვალში რეაბილიტაცია სჭირდება. "დინამო" ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ეს სწორედ ისეთ პრინციპულ მეტოქესთან დაპირისპირებაში შეძლოს, როგორიცაა ქუთაისის "ტორპედო". ჩვენს მერე, რამდენიმე დღეში, "დინამოს" რთული თამაში ელის ინგლისში, "ნიუკასლ იუნაიტედთან". რა თქმა უნდა, ასეთი თამაშის წინ გუნდი კარგი ფსიქოლოგიური განწყობის შექმნას შეეცდება", - აღნიშნა გაბელიამ.

ასეთი შეფასების მიუხედავად, ქუთაისელთა მწვრთნელი მაინც მოგებას აპირებს.

"თბილისში მოსაგებად ჩამოვედით. მეტოქის ძალაზე უკვე ვისაუბრე, მაგრამ, რაც არ უნდა ძლიერი გუნდი გიპირისპირდებოდეს, თუ მოსაგებად არ გადიხარ მოედანზე, მაშინ ფეხბურთს საერთოდ თავი უნდა დაანებო. "ტორპედოს" რამდენიმემატჩიანი მოუგებელი სერია ჰქონდა და ვეცდებით, ხვალ ნავსი გავტეხოთ. სხვა საქმეა, რამდენად მოგვცემს ამის საშუალებას "დინამო". თუ არ გამოგვივიდა, მეტოქეს მივულოცავთ და წარმატებას ვუსურვებთ "ნიუკასლთან" მატჩში.

ტრავმის გამო მხოლოდ ჩხეტიანი არ გვეყოლება. წინა ორი თამაში გამოტოვა ჩვენმა საუკეთესო თავდამსხმელმა გია მეგრელაძემ, რომელიც ხვალ მოედანზე გამოვა. დანარჩენს თამაში გვიჩვენებს", - იმედიანადაა გაბელია.

# ისევ "მანჩესტერი" - "არსენალი"



*ედუმ მანჩესტერი - არსენალის მატჩის დეტალები გაამხილა.*

"მანჩესტერ იუნაიტედსა" და ლონდონის "არსენალს" შორის არსებული დაძაბული მდგომარეობა ადვილად შეიძლებოდა გადაზრდილიყო დიდ შეხლა-შემოხლაში მას შემდეგ, რაც გასულ უქმეებზე ამ გუნდების მატჩი მანჩესტერში გაიმართა. ამ მატჩს უწოდეს "მეორე ბრძოლა "ოლდ ტრაფორდზეც" და, რაც უფრო საინტერესოა, მეორე მეტსახელად "ბუფეტში" ბრძოლაც" კი შეარქვეს.

საეჭვო პენალტით, რომელიც ზუსტად გამოიყენა რუუდ ვან ნისტელროიმ და ახალგაზრდა უეინ რუნის შედეგიანი დარტყმით "მანჩესტერ იუნაიტედმა" საკუთარ მინდორზე - 2:0 დაამარცხა ლონდონის "არსენალი" და ამით შეწყვიტა ლონდონელთა 49-მატჩიანი წაუგებელი სერია ინგლისის პრემიერლიგაში. თუმცა, ისევე როგორც ერთი წლის წინათ, მდგომარეობა მსაჯის საფინალო სასტვენის შემდეგ დაიძაბა, როცა "კანონირები" მატჩის არბიტრს მაიკ რაილის ეცნენ. ლონდონელები პროტესტს გამოთქვამდნენ მეტოქის მხრიდან მთელი 90 წუთის განმავლობაში უხეში თამაშის გამო.

ბრაზილიელი ნახევარმცველი ედუ მიიჩნევს, რომ ლონდონელები "ოლდ ტრაფორდზე" ასეთ მარცხს არ იმსახურებდნენ. "იმ დღეს, თამაშის ხარისხით თუ ვიმსჯელებთ, ჩვენ "მანჩესტერზე" უკეთესი ვიყავით, - მიიჩნევს "არსენალის" ბრაზილიელი ჰავბეკი, - ბურთის ფლობის მხრივაც უპირატესობას ვფლობდით, თუმცა, შეიძლება უფრო ნაკლები საგოლე მომენტი შევქმენით, ვიდრე ჩვეულებრივ ვქმნით ხოლმე. ამის მიუხედავად, მატჩის შედეგი არბიტრის გადაწყვეტილებებმა განაპირობა".

არსენ ვენგერის კრიტიკამ "თავგასული და უხეში" მანჩესტერელების მიმართ ფრანგ სპეციალისტს ინგლისის ფეხბურთის ასოციაციასთან პრობლემები შეუქმნა. არადა, ფეხბურთის ასოციაციამ სამმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა ჰოლანდიელი ფორვარდი რუუდ ვან ნისტელროოი, რომელმაც მატჩის მსვლელობისას განზრახ უხეშად ჩაარტყა ფეხი ინგლისის ნაკრების მცველ ეშლი კოულს. მსაჯებს ეს ეპიზოდი მაშინ მხედველობიდან გამოეპარათ.

ამის შესახებ ედუ ამბობს: "ჩვენ ბევრად უფრო სუფთად ვუვარდებოდით ფეხებში, ვიდრე მანკუნიანელები. ხოსე ანტონიო რეიესზე მინდვრის ყოველ მონაკვეთზე ნადირობდნენ. ეს ფაქტობრივი ცემა იყო. გარი ნევილმა არაერთხელ დაიმსახურა წითელი ბარათი. პირველ ტაიმში ფრედი იუნგბერგის მიმართ ბოლო იმედის ჯარიმის გამო მინდვრიდან რიო ფერდინანდიც უნდა გაეძევებინათ, - ამბობს ედუ, - რა თქმა უნდა, არც ერთი გუნდი გამარჯვებულს არ დანებდებოდა და ჩვენს შეხვედრებში მუდამ ასე იქნება. ჩვენს შორის დაძაბული ბრძოლა მიმდინარეობს და ეს ინგლისის პრემიერლიგისთვის სასარგებლო მოვლენაა. ჩვენი გუნდების თამაშებზე ყოველთვის სერიოზული ვნებათაღელვაა, მაგრამ კვირას "მანჩესტერ იუნაიტედი" აშკარად განზრახ უხეშად თამაშობდა".

დადის ხმები, რომ როცა სერ ალექს ფერგიუსონი გასახდელისკენ მიმავალ გვირაბში მიდიოდა, მას "არსენალის" ერთ-ერთმა ფეხბურთელმა პიცის ნაჭერი და წვნიანი შეასხა. თუმცა, ედუ ამტკიცებს, რომ მსგავსი არაფერი მომხდარა.

"მატჩის შემდეგ, როცა გვირაბში მივდიოდით, მე ნერვებაშლილი და მყვირალა ადამიანები შევნიშნე, რომლებიც ერთმანეთს ხელს ჰკრავდნენ, - იხსენებს ბრაზილიელი, - "მანჩესტერის" ფეხბურთელები გაჰყვიროდნენ, მატჩის ანგარიშს ხმამაღლა ამბობდნენ და ცდილობდნენ, ამით მოთმინებიდან გამოვეყვანეთ. თუმცა, მე არ დამინახავს, რომ ვინმესთვის წვნიანით სავსე თეფში ესროლათ. სიმართლე გითხრათ, ბრაზილიური დერბის შემდეგ მე აღარაფერი მიკვირს. იქ ყველაფერი გაცილებით უარესადაა. მე მომწონს ისეთ მატჩებში მონაწილეობა, სადაც შეურიგებელი მეტოქეების პაექრობაა".

ამ ეპოპეის მომდევნო სერია თებერვალში, ლონდონის "ჰაიბერიზე" გაიმართება. მაშინ კი ედუ და მისი თანაგუნდელები ყველაფერს იღონებენ იმისთვის, რომ ოლდტრაფორდელებს სამაგიერო გადაუხადონ.

რაგბი

# „ლეონსიო" - ხალხის მსახური

პაატა თოთაძე

დიდი ხანია, რაგბის მოყვარულთ საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში ლევან ცაბაძე არ უხილავთ. რას აკეთებს? ითამაშებს კიდევ? თუ არ ითამაშებს, რას აპირებს? არაერთხელ უკითხავთ ქართული რაგბის გულშემატკივრებს. ბუნებრივიცაა: საქმე ხომ ქვეყნის საუკეთესო მორაგბეს ეხებოდა. ამ გაურკვევლობას გუშინ დაესვა წერტილი.

ლევან ცაბაძე რაგბის ეთხოვება და პარასკევს, 4 საათზე, აწყობს მედიასთან შეხვედრასო - სამი დღით ადრე ითქვა. ის კი არავის დაუკონკრეტებია, როგორი იქნებოდა ეს შეხვედრა, გამოსამშვიდობებლის მაგვარი თუ სხვა რამ. სიურპრიზი იყოსო, თავად უთქვამს. დიახ, ლეონსიო რაგბის გამოეთხოვა, ოღონდ, როგორც გაირკვა, მხოლოდ საკლუბოს. თუ ნაკრებს დავჭირდები, მზად ვარ, ვითამაშოო, გუშინ თქვა იმ შეხვედრაზე. სიურპრიზი კი იმაში მდგომარეობს, რომ საკლუბო რაგბიდან წასულმა ლევან ცაბაძემ ბიზნესმენობა დაიწყო - ამიერიდან ფირმა "ლეონსიო" მოქალაქეთა ქონებას დაიცავს. "სიგნალიზაციებს, დაცვის სისტემებს დავაყენებთ. ხალხის ქონებას დავიცავთ. ერთი სიტყვით, მის სამსახურში ვიქნებით", - განაცხადა ფირმის დამფუძნებელმა. იქვე რამდენიმე ფრანგი ტრიალებდა - ეჭვი არ იყო, ამ საქმესთან დაკავშირებით იყვნენ ჩამოსულნი. "ესენი ჩემი პარტნიორები არიან - დანიელ პლუმეჟი, ჟან-ლუი როგელი და მიშელ სეგენი", - გაგვაცნო მასპინძელმა. კიდევ ერთი სტუმარი ოვერნიეს პროვინციის რაგბის კავშირის პრეზიდენტი ალენ ნერონი იყო, იმ პროვინციისა, რომლის კლუბშიც ("მონფერანი") თამაშობდა ქართველი მორაგბე. "ლევანი დიდი მორაგბეა. ის თამაშობდა ტონი მარშის, ჟერალ მერსერონის, ორელიენ რუჟერის, ოლივიე მანის გვერდით. ამასთან, ის დიდებული პიროვნებაა. მან თავის ქვეყანაში ჩამოუსვლელად შემაყვარა საქართველო და ახლა ამიტომ ვარ აქ", - თქვა ნერონმა.



იური ლობოდინის ფოტო

*ლევან ცაბაძემ საკლუბო კარიერა დაასრულა.*

პრეზიდენტმა თან რამდენიმე საჩუქარი წამოიღო. ცაბაძეს, სარაგბო ტრადიციისამებრ, ჰალსტუხი უბოძა, დამსწრეთა შორის კი "მონფერანის" მოთამაშეთა კარიკატურიანი წიგნაკები გაათამაშა.

ისე როგორ იქნება, "ლეონსიო" ქართული რაგბის სამსახურში არ ჩადგეს. ცოტა ხანში კლუბს დავაარსებთ ან რომელიმე აქაურ კლუბს მივხედავთ. შეძლებისდაგვარად საქართველოს რაგბის კავშირსაც დავეხმარებითო, აღნიშნა ცაბაძემ.

ლეონსიოს პარტნიორები თავიანთ სფეროში ავტორიტეტული პიროვნებები და ფირმები არიან. დანიელ პლუმეჟი "ინტერვოქსის" პრეზიდენტი ყოფილა, ფირმისა, რომელიც დაცვის სისტემებისთვის აპარატურას აწარმოებს და ამ სფეროში მსოფლიო ლიდერია. "ჩვენი ფირმა ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაშია. როცა ლევანს ვესაუბრე, ვიფიქრე, რომ საინტერესო იქნებოდა საქართველოში ჩამოსვლა და აქ საქმის დაწყება. შანსიც მშვენიერი მომეცა და გამოვიყენე. როგორც ლევანმა ამიხსნა, საქართველოს დიდი პოტენციალი აქვს და ამას თავადაც ვხედავ", - განაცხადა პლუმეჟმა. მიშელ სეგენი მისი პარტნიორია, "ინტერვოქსის" საქმეებს განაგებს, ოღონდ ევროპის გარეთ. რაც შეეხება ჟან-ლუი როგელს, ის საზოგადოება "არტისის" დირექტორია, რომელიც, "ლეონსიოს" მსგავსად, დაცვის სისტემების მონტაჟით და მომსახურებითაა დაკავებული.

ფეხბურთი

# "სოშო" პირველია საფრანგეთის ფეხბურთის ისტორიაში

უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე თბილისის "დინამოს" მეტოქე საფრანგეთის "სოშო" უეფას თასის მეორე ტურში დაისვენებს. გუნდი საფრანგეთის ფეხბურთის ისტორიაში პირველი კლუბი გახდება, რომელიც თავის აქტივში უმაღლეს დივიზიონში გამართულ 2000 მატჩს მიითვლის.

"სოშომ" უეფას თასის ჯგუფური ეტაპი წარმატებით დაიწყო და თბილისში "დინამო" დაამარცხა - 2:0. შაბათს კი ეროვნული ჩემპიონატის მატჩში "ტულუზასთან" გუნდი თავისი დაარსების 76-ე წლისთავს იზეიმებს.

"რა თქმა უნდა, ეს არ არის საფრანგეთის რევოლუციის მე-200 წლისთავი, - ამბობს კლუბის თავმჯდომარე ჟან-კლოდ პლესი, - მე მაინც საამაყოდ მაქვს საქმე. შეიძლება "სოშო" არ არის საფრანგეთის უმდიდრესი ან ყველაზე ტიტულოვანი კლუბი, მაგრამ ის ფრანგული ფეხბურთის ისტორიის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია".

გუნდი 1928 წელს ფრანგული მანქანათმშენებლობის გიგანტის "პეჟოს" დამფუძნებელმა ჟან-პიერ პეჟომ დააარსა. სხვა მსხვილი კორპორაციების მაგალითზე პეჟომაც საფეხბურთო კლუბ "სოშოს" ჩაუყარა საფუძველი, იმისთვის, რომ გაერთო და უფრო შეეკავშირებინა თანამშრომლები.

ამას გარდა, პეჟო ერთ-ერთი პირველი იყო საფრანგეთში, რომელმაც აღიარა, რომ მის ფეხბურთელებს ხელფასი აქვთ. მაგნატმა გუნდს ინგლისელი სპეციალისტი ჩაუყენა სათავეში და გუნდი ძლიერი ფეხბურთელებით დააკომპლექტა, ისეთით, როგორიც ლუსიენ ლორანია, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში პირველი გოლი გაიტანა. პეჟო თანმიმდევრობით დგამდა ნაბიჯებს პროფესიული ფეხბურთისკენ. მან თავისი სახელობის თასის გათამაშება შექმნა. ეს იყო საკლუბო ტურნირი, რომელიც წინ უძღოდა საფრანგეთის ჩემპიონატს. 1932 წელს სწორედ ამ ტურნირის ბაზაზე დაიწყო საფრანგეთის ჩემპიონატი ფეხბურთში.

"სოშო" კი, რომელიც 1930 წელს "მონბელიართან" გაერთიანდა, ნაციონალური ლიგის ერთ-ერთი დამაარსებელია. კლუბმა საერთო ჯამში 57 წელი გაატარა ფრანგული ფეხბურთის უმაღლეს ლიგაში. მართალია, კლუბმა უკანასკნელად შორეულ 1935 და 1938 წლებში მოიგო ქვეყნის ჩემპიონატი, ხოლო საფრანგეთის თასს 1938 წელს დაეუფლა, მაგრამ ის დღემდე საფრანგეთის უმნიშვნელოვანესი კლუბების ნუსხაშია.

1949 წელს გუნდმა ქვეყანაში პირველი საფეხბურთო აკადემია დააარსა. პეჟო ახალგაზრდა ტალანტებს საშუალებას აძლევდა, თავის საავტომობილო ქარხანაში ემუშავათ და ვარჯიშშიც ხელს უწყობდა. ახალგაზრდა ფეხბურთელებს "Les Lionceaux" (ბოკვრები) შეარქვეს. ეს სახელწოდება გუნდში დღემდეა შემონახული.

1974 წლიდან აკადემიაში სხვანაირი მიდგომა შეიმუშავეს. ფეხბურთელებს აღარ სჭირდებოდათ ქარხანაში მუშაობა. "სენტ-ეტიენთან" და "ნანტთან" ერთად სკოლამ საფრანგეთის საუკეთესო საფეხბურთო აკადემიებს შორის დაიმკვიდრა ადგილი.

იმ აკადემიის ერთ-ერთი პირველი გამოშვება იყო "სოშოს" ამჟამინდელი სპორტული დირექტორი ბერნარ ჟენგინი. 7 წლის შემდეგ კი კლუბში ლეგენდარული ფეხბურთელები - ფილიპ ანზიანი, ალბერტ რიუსტი, თავად ჟენგინი და პეტრიკ რევეი ათამაშდნენ. კლუბი 1981-1982 წლების სეზონში უეფას თასის ნახევარფინალამდე მივიდა.

სამწუხაროდ, გუნდს არ გაუმართლა. პირველ მატჩში შინ ფრედ - 1:1 ითამაშა ჰოლანდიის "ალკმაართან", ხოლო სტუმრად - 2:3 დამარცხდა და ფინალში ჰოლანდიელები გავიდნენ. თუმცა, იმედი მაინც არსებობს. შარშანდელ სეზონში გუნდმა საფრანგეთის ლიგის თასი მოიგო (პირველი ტიტული 1938 წლის შემდეგ) და უეფას თასის მესამე წრეში გააღწია.

გუნდის ბირთვი მწყობრშია და ფრანგებს იმედი აქვთ, რომ უეფას თასის წლევანდელ გათამაშებაში "სოშო" საფეხბურთო სამყაროს სიურპრიზს შესთავაზებს.

# ადრიან მუტუ „ჩელსის" დაემშვიდობა

ნინო ტიკარაძე

ლონდონის "ჩელსის" ხელმძღვანელობამ კლუბის რუმინელი თავდასხმელი ადრიან მუტუ 15,8 მილიონ გირვანქა სტერლინგად (28,5 მილიონ დოლარად) ერთი წლის წინ შეიძინა. ფეხბურთელმა კლუბის შემადგენლობაში წარმატებით დაიწყო თამაში. სეზონის პირველ ხუთ მატჩში ექვსი გოლი გაიტანა, შემდეგ კი ფორმა დაკარგა და კლუბში მოპოვებული რეპუტაციაც ქარს გაატანა. ახალი მთავარი მწვრთნელის ჟოზე მოურინიოს გუნდში მოსვლის შემდეგ ფეხბურთელს ერთი მატჩიც აღარ ჩაუტარებია.

ლონდონის "ჩელსის" 25 წლის რუმინელი თავდასხმელის რეჟიმიდან ამოვარდნისა და მისი არაადეკვატური საქციელის მიზეზად ნარკოტიკების ხმარება მიიჩნიეს, მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდი იყო, რომელსაც დამტკიცება სჭირდებოდა. და, აი, სექტემბერში ფეხბურთელს ჩაუტარეს დოპინგ-ტესტი, რომლის პასუხიც დადებითი იყო. თავიდან მუტუ ბრალდებას კატეგორიულად უარყოფდა და მას "ბინძურ ჭორს" უწოდებდა, მაგრამ სიმართლე დიდხანს ვეღარ დამალა. ბოლოს საჯაროდ აღაირა, რომ ნარკოტიკების მიღება 2004 წლის იანვრიდან დაიწყო, რის მიზეზადაც მოუღლესთან განქორწინებით გამოწვეული დეპრესია დაასახელა. ფეხბურთელის აღიარებამ საბოლოოდ გაფანტა ამ საქმესთან დაკავშირებული ყველა ეჭვი.



*რომან აბრამოვიჩმა ნარკომანი მუტუ გუნდიდან დაითხოვა.*

ამ სკანდალის შემდეგ ლონდონის კლუბმა დამნაშავე ფეხბურთელთან კონტრაქტის გაწყვეტისგან დროებით თავი შეიკავა, რამაც ფეხბურთელი დაარწმუნა, რომ "ჩელსის" ხელმძღვანელობა მას დროზე ადრე არ გაუშვებდა გუნდიდან. "შეიძლება დისკვალიფიკაციის პერიოდში არ გადამიხადონ, მაგრამ ჩემთან კონტრაქტს მაინც არ გაწყვეტენ," - განაცხადა ფეხბურთელმა, მაგრამ, როგორც ხედავთ, ფეხბურთელის მოლოდინი არ გამართლდა და ლონდონის კლუბმა მასთან კონტრაქტი მაინც გაწყვიტა. "ჩვენ გვინდა, ყველას გავაგებინოთ, რომ "ჩელსი" საკუთარ სახლში ნარკოტიკებს ვერ აიტანს. ეს ეხება არა მხოლოდ დოპინგს, არამედ ყველა სხვა ნარკოტიკულ ნივთიერებასაც. ნებისმიერი ფეხბურთელი, რომელიც ნარკოტიკებს იღებს, კლუბთან გაფორმებულ პირობებსა და ფეხბურთის ასოციაციის წესებს არღვევს. ჩვენ FA-ის სრულ მხარდაჭერას ვუცხადებთ ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლაში," - ეწერა მუტუს დათხოვნასთან დაკავშირებით გაკეთებულ ლონდონის კლუბის განცხადებაში.

ბრიტანეთის დოპინგსაწინააღმდეგო სააგენტოს ყოფილმა უფროსმა მიშელ ვეროკენმა მოიწონა "ჩელსის" გადაწყვეტილება. მისი აზრით, "კლუბი სწორად მოიქცა, რადგან მუტუს გაძევებით საკუთარი რეპუტაცია გადაარჩინა. "ჩელსიმ" ფეხბურთელები და გულშემატკივრები მიახვედრა, რომ მსგავს სიტუაციას ვერც ახლა და ვერ შემდეგ ვერ შეეგუება."

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის წესების თანახმად, აკრძალული პრეპარატების მიღებაში ბრალდებულ ფეხბურთელს ექვსი თვიდან ორ წლამდე დიკვალიფიკაცია მოელის. დიდი ბრიტანეთის სპორტის მინისტრი რიჩარდ კარბონი კი სასჯელის მაქსიმუმს ითხოვს დამნაშავე რუმინელი ფეხბურთელისთვის. FA-ს კი მუტუსთან დაკავშირებით კონკრეტული გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია.

შეიძლება ითქვა, რომ სკანდალმა მთლიანად დაანგრია ადრიან მუტუს რეპუტაცია. "ჩელსი" არ იყო ერთადერთი, ვინც ფეხბურთელთან თანამშრომლობა აღარ ისურვა. კომპანია "პეპსიმ", მოგვიანებით კი კომპანია "ადიდასმა" მასთან კონტრაქტი შეწყვიტა.

ვინ იცის, რა მოხდება მომავალში. შეძლებს კი რეპუტაციაშელახული, "ჩელსის" აწ უკვე ყოფილი ფორვარდი ფეხბურთის სამყაროში დაბრუნებას და საკუთარი ადგილის პოვნას?!

ჩოგბურთი

# კაპრიზებმა ATP გააუფერულა



*პარიზის მასტერსზე სებასტიან გროსჟანი არ ითამაშებს*

დიდი საჩოგბურთო ტურნირების ორგანიზატორები, კერძოდ, პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციაში (ATP) წუწუნებენ: ვარსკვლავები ზოგიერთ შეჯიბრებაში მონაწილეობაზე უარს გვიცხადებენ. მათი კაპრიზების ატანა აღარ შეიძლებაო. "როიტერის" ცნობით, ბოლო განაწყენებულები მასტერსის სერიათა პარიზული ტურნირის ორგანიზატორები ყოფილან, რომელთა ასპარეზობა ზეგ იღებს სტარტს. სხვადასხვა მიზეზის გამო მასში მონაწილეობაზე უკვე უარი განუცხადებიათ მსოფლიოს პირველ ჩოგანს, შვეიცარიელ როჟე ფედერერს და ადგილობრივ გულშემატკივართა ნებიერას სებასტიან გროსჟანს. პარიზული მასტერსის მესვეურები ფიქრობენ, რომ მათ გარდა კიდევ იქნებიან სხვები, ვინც უარს შეუთვლის ორგანიზატორებს.

"ტენდენცია, რომელიც ბოლო დროს ყალიბდება, ძალზე გვაღელვებს, - აღშფოთებულია პარიზის ტურნირის დირექტორი ალან რიუ. - ასეთ შეჯიბრებებში უნდა მონაწილეობდნენ როგორც ჩვენები, ისე მსოფლიოს მოწინავე ჩოგბურთელები. სამწუხაროდ, ასე არ ხდება და, მათი გადამკიდე, იძულებულები ვართ, გამოსავალი მოვძებნოთ".

ანალოგიურ ვითარებაში იყვნენ მადრიდის მასტერსის ორგანიზატორებიც. დიდი მცდელობის მიუხედავად, ესპანურ კორტზე ვერა და ვერ შეიტყუეს როჟე ფედერერი, ესპანელი კარლოს მოია, ავსტრალიელი ლეიტონ ჰიუიტი და ბრაზილიელი გუსტავო კუერტენი. მოწინავეთა არყოფნის გამო იყო, რომ ერთ-ერთი ყველაზე წარმომადგენლობითი ტურნირის ძირითადი ბადე მოსალოდნელზე სუსტი აღმოჩნდა.

"უარისთვის გათვალისწინებული სანქციები არასაკმარისად მკაცრია, - განაგრძობს ალან რიუ. - შეჯიბრებაზე მონაწილეობისთვის განკუთვნილი პრემიალურების გაქრობა კარგი მაგალითი ვერ გამოდგა. ახლა იმედი გვაქვს, რომ ATP-ს ხელმძღვანელობა ბევრად ეფექტურ წინადადებას მოიფიქრებს იმისთვის, რომ ჩოგბურთელები მნიშვნელოვან ტურნირებს შემორჩნენ".

TV-სპორტი

## შაბათი. 30 ოქტომბერი

**НТВ+ФУТБОЛ**

07:00 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 2000. ფინალი. "LOS ANGELES LAKERS" - "INDIANA PACERS". მე-6 მატჩი
09:00 09:00-დან 12:00-მდე შესვენება
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 საფრანგეთის ჩემპიონატი. "მარსელი" - "მონაკო"
14:00 "ფუტბოლისტიკა"
14:30 ბრაზილიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
15:00 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
16:00 თავისუფალი დარტყმა
16:15 უეფას თასი. ჯგუფური ტურნირის პირველი ტურის მატჩების მიმოხილვა
16:55 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
17:25 "ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი"
17:55 ინგლისის ჩემპიონატი. "პორტსმუტი" - "მანჩესტერ იუნაიტედი". პირდაპირი ტრანსლაცია. შესვენებისას (18:45) - თავისუფალი დარტყმა
19:50 სახვალიო ტელეპროგრამა
19:55 იტალიის ჩემპიონატი. "სამპდორია" - "მილანი". პირდაპირი ტრანსლაცია
21:55 ესპანეთის ჩემპიონატი. "ატლეტიკი" - "ბარსელონა". პირდაპირი ტრანსლაცია
23:55 გერმანიის ჩემპიონატი. "შალკე" - "შტუტგარტი". შესვენებისას (00:45) - თავისუფალი დარტყმა
01:50 01:50-დან 02:00-მდე შესვენება
02:00 NBA TV - დღიური
02:30 NBA TV - NBA შიგნიდან
03:00 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 2001. პირველი წრე. "PHILADELPHIA 76ERS" - "INDIANA PACERS"

**НТВ+СПОРТ**

10:00, 13:25, 16:10, 19:30 პრესცენტრი
10:25 ფიგურული სრიალი. დიდი პრიზი - "SKATE CANADA". ქალები. მოკლე პროგრამა. წყვილები. საჩვენებელი პროგრამა
13:40 კალათბურთი. NBA-ს საწინასასეზონო მატჩი. "MINNESOTA TIMBERWOLVES" - "DETROIT PISTONS"
16:25 სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიო თასი შოტლანდიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
19:45 სახვალიო ტელეპროგრამა
19:50 ჩოგბურთი. WTA ტურნირი ლუქსემბურგში. ნახევარფინალები
22:50 ჭადრაკი. მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადა ესპანეთში
23:25 ჰოკეი ბურთით. მსოფლიო თასი შვედეთში. მეოთხედფინალები. პირდაპირი ტრანსლაცია. შესვენებისას (00:30) - ახალი ამბები

**EUROSPORT**

10:30 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
11:00 ექსტრემალური სპორტი. ექსტრემალური თამაშები - 2004
12:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატის ეტაპი კატალონიაში
12:30 მულტისპორტი
13:00 ჩოგბურთი. ATP ტურნირი შვეიცარიაში. მეოთხედფინალები
14:15 ფეხბურთი. ევროპის საუკეთესო 24 კლუბი
14:45 მოტორბოლები. ვალენსიის დიდი პრიზი. პირდაპირი ტრანსლაცია
17:15 ჩოგბურთი. WTA ტურნირი ავსტრიაში. ნახევარფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
19:00 ჩოგბურთი. ATP ტურნირი შვეიცარიაში. ნახევარფინალი
20:00 ჩოგბურთი. ATP ტურნირი შვეიცარიაში. ნახევარფინალი
21:15 ჩოგბურთი. ATP ტურნირი შვეიცარიაში. ნახევარფინალი
22:30 კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება
00:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატის ეტაპი კატალონიაში
01:00 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
01:30 ახალი ამბები
01:45 მხედრული ორთაბრძოლები. მებრძოლთა კლუბი
02:00 მხედრული ორთაბრძოლები. მებრძოლთა კლუბი
03:45 ახალი ამბები.



ქეთევან იგნატოვა წარმოგიდგენთ

გულახდილად

# 21 ოქტომბრის პრესა

## ბატონო რეზო, ნუთუ მართლა?..

გაზეთების კითხვის დიდი სიყვარულით ნამდვილად არ გამოვირჩევი. რამდენიმე ტიპის გაზეთს კი პრინციპულად არ ვეკარები, არ ვკითხულობ და, შესაბამისად, ნერვებსაც არ ვიშლი. ამ თვის 21 ოქტომბერს რა სისულელე დამემართა და ჩემი პრინციპი რატომ დავარღვიე, ვერაფრით ავხსნი. შედეგიც სახეზეა. ჩემ მიერ კატეგორიულად მიუღებელ ერთ-ერთ გაზეთში დაბეჭდილმა, საქართველოს კულტურის მინისტრ გოკა გაბაშვილისადმი მიძღვნილმა მწერალთა კავშირის მდივნის რეზო მიშველაძის ღია წერილმა არა მარტო გამაოგნა, არამედ სინანულიც კი გამოიწვია ჩემში. ამიტომაც, თავს უფლება მივეცი, რეზო მიშველაძეს წერილობითვე გავესაუბრო და ერთი-ორი შეკითხვა დავუსვა, რომელიც მისმა, ჩემთვის აუხსნელი ტონის მქონე წერილმა გამიჩინა.

ბატონო რეზო! ასაკობრივი სხვაობის მიუხედავად, მაინც გირჩევდით, რომ საუბედუროდ დღეს ასეთი გაუფასურებული მწერალთა კავშირის კაბინეტების რომელიმე ფანჯარა ახლა მაინც გამოაღოთ (სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს). "დაინახეთ, რა ხდება თქვენი გულგრილობით განადგურებულ ქართულ ხელოვნებაში, ქართულ მწერლობაში" და, თუ გნებავთ, თვით მწერალთა კავშირში. თუმცა, ამისთვის ფანჯრის კი არა, კარების გამოღება დაგჭირდებათ. "გაიყიდა თეატრები. აღარ იღებენ ფილმებს. ფუნჯის და ტილო-საღებავის ფული არა აქვთ მხატვრებს. ახალი ნაწარმოებები ორკესტრებამდე ვერ მიუტანიათ კომპოზიტორებს. ანტისიმღერა, ანტიესტრადა, გულისამრევი მანჭვა-გრეხვა დღითი დღე ავიწროებს ჭეშმარიტ ქართულ ჰანგებს. სავალალო დღეშია მუზეუმები. წვიმა ანადგურებს ჩვენს წმინდა ადგილებს". კი ბატონო, თქვენი ღია წერილის ამ ნაწილს სრულებით ვეთანხმები, მაგრამ მაპატიეთ, რომ ასე პირდაპირ გეკითხებით, შემთხვევით დროის შეგრძნება ხომ არ დაგიკარგავთ? ამიხსენით, ყველა ამ უბედურებასთან გოკა გაბაშვილი რა შუაშია? ყველაფერი ეს ხომ მანამდე, ბევრად ადრეც იყო? ამავე სამართლიანი პრეტენზიებით წინამორბედ კულტურის მინისტრს რატომ არ მიმართავდით? ნუთუ მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენთვის ასეთი საძულველი "ვარდების რევოლუცია" მაშინ მომხდარი არ იყო, წინამორბედი მინისტრი კი შევარდნაძის ფავორიტი გახლდათ და მის მოღვაწეობაში მართლაც რაიმე სასიკეთოს ხედავდით, თუ ქართველი მხატვრების, მწერლების, კომპოზიტორების, ძეგლების ბედი მაშინ არ გაწუხებდათ? რატომ დუმდით, მეტიც, აპოლოგირებდით გუშინ და მხოლოდ დღეს ალაპარაკდით? ქართული კინო თვალში მხოლოდ ახლა დაგაკლდათ? წლების განმავლობაში თეატრები რომ იყინებოდა და, სხვათა შორის, აღარ იყინება, მხოლოდ ახლა შეიტყვეთ? ქართველი მხატვრების, კომპოზიტორების, მწერლების უმეტესი მშიერმწყურვალი ნაწილის ბედით მხოლოდ ახლა დაინტერესდით? ანტიესტრადა, გულისამრევი მანჭვა-გრეხვა გოკა გაბაშვილის ბრალი როგორ არის?

ძალიან გთხოვთ, ბატონო რეზო, თქვენი კაბინეტის ფანჯარა გამოაღეთ!

კულტურის მინისტრის დამცველი, მეგობარი ან, მით უმეტეს, მეხოტბე ნამდვილად არ ვარ. ქართული კულტურისადმი, ხელოვნებისადმი გაბაშვილმა მეტი ინტერესი და ზრუნვა რომ უნდა გამოიჩინოს, ამაში არავინ გედავებათ. კულტურის მინისტრი, თუნდაც მისი ელემენტარული დახმარების გარეშე მოწყობილ იუბილეებს, კონცერტებს უფრო ხშირად რომ უნდა ესწრებოდეს, ამაზეც არ ვკამათობ. სახელოვანი მწერლის გარდაცვალების შემთხვევაშიც კულტურის მინისტრმა ოჯახს სამძიმარი რომ უნდა გამოუცხადოს, ამაშიც მართალი ბრძანდებით. მაგრამ მისი დაკრძალვაზე არდასწრება ზოგადად მწერლობისადმი ზიზღის მაჩვენებელი რატომ არის, ამას კი ვერა და ვერ ვხვდები.

რიგითი მკითხველისთვის გულსატკენი და აუხსნელი ზიზღი კი, ბატონო რეზო, თქვენს წერილში უფრო იგრძნობა. ახალგაზრდა თაობისადმი, მათი უნებლიე შეცდომებისადმი, გამოუცდელობისადმი, სიახლეებისადმი, ახალი ხელისუფლებისადმი, რევოლუციისადმი და ვარდისადმი ზიზღი. აბა, სხვაგვარად როგორ ავხსნა, რომ თქვენნაირი განათლების მქონე პიროვნება ასეთ უგემოვნო, უტაქტო, არაეთიკურ, მდაბიო გამონათქვამებს მოიშველიებს. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს გემოვნებიანი ქართული სწორედ ზიზღმა დაგავიწყათ. "ზეცი მინისტრი", "გასქელებული ყურის აპკი", "შიშისაგან აწრიალებული თვალები", "კულტურის ინჩი-ბინჩის არმცოდნე" - ნუთუ ეს კულტურაზე პრეტენზიის მქონე ქართველი მწერლის გამონათქვამებია. მე კი სულ მეგონა, რომ ასე მხოლოდ ბაზარში ლაპარაკობენ. როგორ დავიჯერო, რომ თქვენ, ბატონო რეზო, მართლა ქუჩაში გამოსული კულტურის მინისტრი "ქუჩაში გამოუსვლელს" გირჩევნიათ! როგორ წარმოვიდგინო, რომ მწერალთა კავშირის მდივანი ქუჩით, იქ მიღებული განათლებითა და ცოდნით იამაყებს! გულწრფელად დამაინტერესა, რომელ ქუჩაზე გამოსულხართ და რა ფორმით? ან რას ნიშნავს "შუშაბანდში გაზრდილი სნობი"? ან მე არაფერი გამეგება, ან თქვენს მსჯელობაში ლოგიკურ-შინაარსობრივი უთანხმოებები შეინიშნება. ამგვარი ლექსიკონის, ქუჩური გაგების მქონე "ინჩი-ბინჩის მცოდნე" მწერლისადმი გოკა გაბაშვილმა სნობიზმი თუ გამოიჩინა, ამაში კი გოკას ვეთანხმები.

ბატონო რეზო, ნუთუ თქვენ არ უნდა იცოდეთ, რომ სამშობლოს სიყვარული, მისადმი ერთგულებისა და მსახურების ფორმა პიროვნების ინდივიდუალური არჩევანია. გმირობა სხვადასხვა ფრონტზე შეიძლება. ზოგიერთი ომში იბრძვის, ზოგიერთი კი სწავლობს, რომ ომის შემდეგ სამშობლოს ფეხზე დადგომაში გამოადგეს. არც თქვენი, არც ჭაბუა ამირეჯიბის და არც ბევრი სხვისი შვილები ომში იმიტომ არ წასულან, რომ "უჩინო ხალხის" უპატრონო ბავშვები იყვნენ. ისინი ომში იმიტომ წავიდნენ, რომ სამშობლოს სიყვარული ასე ესმოდათ, სჯეროდათ, უნდოდათ და თქვენი, საკმაოდ სპეკულატური პარალელი, ჩემი აზრით, არაფერია, გარდა მათი გმირული ხსოვნის შეურაცხყოფისა. ირაკლი ამირეჯიბი, ლევან აბაშიძე, სანდრო ვაჩეიშვილი, კოკა კლდიაშვილი და, დარწმუნებული ვარ, აჩიკო მიშველაძეც თქვენი მეგობარი პოლიტიკოსების ავანტიურის გულწრფელი, უმანკო მსხვერპლი აღმოჩნდნენ. ის კი, ვინც ამ პროპაგანდისტულ მახეში არ გაება და ასაკის შესაფერისად სწავლა გააგრძელა, გასაკიცხი ნამდვილად არ არის.

ბატონო რეზო! თქვენგან ისიც გასაკვირია, რომ "ბათუმის "ინტურისტი" და თბილისის "ივერია" არქიტექტურულ-კულტურული ძეგლები" გგონიათ. როგორ დავიჯერო, რომ "ივერია" სვეტიცხოველში ან ქარვასლაში გერევათ. ამ "კულტურული ძეგლების" "უკანონო" გაყიდვისას გაბაშვილმა რომ ხმა ამოიღო, ჩემთვის სრულიად გასაგებია. აი, "ივერიის" ან "ანდროპოვის ყურების", რესპუბლიკის მოედნის მშენებლობისას თქვენ რატომ არ ამოიღეთ ხმა, ეს კი მაკვირვებს. ვერაფრით ვხსნი.

ისიც შესანიშნავად მესმის, რომ კოტე გაბაშვილის მერობისას თავი შეურაცხყოფილად იგრძენით. ისიც გასაგებია, რომ კულტურის მინისტრის სანახავად სამი საათი არ უნდა დაგჭირვებოდათ, მაგრამ ნუთუ ეს საკმარისია იმისათვის, რომ ახალგაზრდა, თქვენი შვილის ტოლ ადამიანზე, რომელსაც ცხოვრება წინ აქვს, ასეთი აზრი იქონიოთ. ეს აზრი საჯაროდ ისეთი ფორმით გამოხატოთ, რომ ამით თქვენს თავს, თქვენს ავტორიტეტს, პროფესიას, სამართლიანობას ბევრად მეტი შეურაცხყოფა მიაყენოთ, ვიდრე თქვენი ღია წერილის ადრესატს.

ყველაფერი, რისი თქმაც ამ წერილით გინდოდათ, სრულიად სხვა ფორმით, ტონით, ყოველგვარი ზიზღის, ბოღმის, მდაბიო შეურაცხყოფის გარეშეც შეგეძლოთ, შესანიშნავად გამოგეხატათ. მაშინ კი, მერწმუნეთ, ამგვარი წერილის დაწერის, კითხვების დასმის სურვილი არც მე მექნებოდა და თქვენი შენიშვნების სამართლიანობას ვაღიარებდი. საქართველოს კულტურის მინისტრი კი, დარწმუნებული ვარ, ობიექტურ კრიტიკად, უფროსის უმცროსისადმი რჩევად აღიქვამდა და უფრო გაითვალისწინებდა, მიაყურადებდა. თქვენ კი ემოციებმა გძლიათ და შედეგად თქვენივე ნათქვამი გააუფასურეთ. ნებისმიერი სნობი თუ არასნობი, შუშაბანდში თუ ქუჩაში გაზრდილი, ნაომარი თუ გერმანიაში ნასწავლი მკითხველისთვის მიუღებელი, გაუგებარი და ფასდაკარგული გახადეთ.

დაბოლოს,

ნუთუ მართლა ასე ფიქრობთ, ასე ხედავთ?

ნუთუ მართლა ასე უმახსოვრებთ?

ნუთუ მართლა ასეთი მიკერძოებული ბრძანდებით?

ნუთუ თქვენი თავის და სხვისი შეურაცხყოფა მართლა გსიამოვნებთ?

ნუთუ თქვენი ღია წერილი მართლა იმ ფასად გიღირდათ, რომ მე, ერთი რიგითი, შემთხვევითი მკითხველიც კი თქვენ მაგივრად ასე შევწუხდე და უხერხულად ვიგრძნო თავი?

# 23 ოქტომბრის ფეიერვერკი

ოდნავ უფრო მოვლილი, შუშებგაწმენდილი, გამოხვეტილი, მაგრამ ჯერ მაინც გაურემონტებელი ფილარმონია.

სრული ანშლაგი. არც ერთი თავისუფალი ადგილი.

ბილეთები სალაროებში არ იყიდება. ყველა მოსაწვევი მერიამ წაიღოო!

"სუხიშვილების" კონცერტი. ძველი და ახალი პროგრამა.

ნინო რამიშვილის, ილიკო სუხიშვილისა და სოლიკო ვირსალაძის უკვდავი შედევრები.

ხორუმის ხაზი!

ილიკო სუხიშვილი უმცროსის ნოვატორული სიახლეები.

ჩემი სუბიექტური დამოკიდებულება. მუდმივი აღფრთოვანება. ქართული ცეკვის სილამაზით ამაყი.

აზრთა სხვადასხვაობა.

მქუხარე, ხანგრძლივი ტაში.

ფილარმონიის გამოსასვლელთან ხალხის ჭყლეტა.

ჩოხებში და ქართულ კაბებში ქუჩაში გამოსული და ხალხს შერეული სუხიშვილების მოცეკვავეები.

"სუხიშვილების" ვარსკვლავი, რომელიც ანსამბლის ყველა დროის მოცეკვავეებს საქართველომ დაუგო.

გულითადი მილოცვა.

სამახსოვრო ფოტოები.

ბედნიერი ღიმილი.

ფეიერვერკი. "სუხიშვილების" საპატივცემოდ მოწყობილი.

და კვლავ ტაში! ტაში!

50 წელი ეს ტაში ესმით.



# ტრადიციული 24 ოქტომბერი მცირე ცვლილებებით





მთელი ჩემი ბავშვობა, ყრმობა, ახალგაზრდობა და ახლა კი... ათწლეულების მანძილზე 24 ოქტომბერი პირადად ჩემთვის მხოლოდ ერთ თარიღს - ნიკუშა შენგელაიას დაბადების დღეს ნიშნავდა.

წელს იუბილარმა სახლში დაბადების დღის გადახდის მრავალწლიანი ტრადიცია დაარღვია და ყველანი რესტორან "დაკარგულ სამოთხეში" დაგვპატიჟა. ეკლექტიკური კიტჩის სტილში გადაწყვეტილი გაუგებარი რესტორანი არც სამოთხეს წააგავს და ვერც ნიკუშას სახლს შეედრება. ამ საკითხში მე კონსერვატორობას ვიჩენ და წლევანდელი სიახლე არ მომწონს.

წლიდან წლამდე შემადგენლობის უცვლელობა ნიკუშა შენგელაიას დაბადების დღის მთავარი ხიბლია. წელს ამ თვალსაზრისითაც სიახლე იყო. ნიკუშას და ყველა ჩვენგანის ერთ-ერთი უსაყვარლესი ამხანაგი ყარამან ქუთათელაძე რატომღაც ვერ მოვიდა. არადა, ნიკუშას დაბადების დღე უყარამანოდ! დანარჩენი კი ყველაფერი უცვლელი იყო. თითქოს წლები არც კი გასულა. უბრალოდ, რატომღაც ნაოჭები მოგვემატა. ყველა ყველას იცნობს, ყველა ყველას ბავშვობის მეგობარია, ყველას ყველა გულწრფელად უყვარს. ერთმანეთის იუმორი სწორად ესმის, ნებისმიერი ხალხის სიმღერა მოსწონს. ყველას ყველა გვენატრება. ნიკუშას დაბადების დღეზე ყოველ წელს თითო ახალი პერსონაჟიც ჩნდება და სამუდამოდ ნიკუშას, ანუ ჩვენი მეგობრების რიცხვს ემატება. წლევანდელი "სიახლე-სტუმარი" დავით უსუფაშვილი იყო, რომელიც მანამდე მხოლოდ ტელევიზორიდან და ბევრად უფრო სერიოზული მხრიდან ვიცოდი.

იცვლებიან ცოლები, ქმრები, პროფესიები, მთავრობები, შეხედულებები, საცხოვრებელი ადგილები, მატერიალური მდგომარეობა, პრობლემები და, რაც მთავარია, ასაკი. შვილების რაოდენობა მატულობს. გარდაცვლილი მშობლებისა და მეგობრების მოსახსენებელი სადღეგრძელოების რაოდენობაც იზრდება.

მაგრამ ნიკუშას ყველა დაბადების დღეზე ლევან აბაშიძის ხსოვნის სადღეგრძელო, ძალიან კარგი ღვინო, ტრადიციული ზურნა-დუდუკი და დოლ-გარმონი, ცეკვა, სიმღერა, სითბო, სიყალბეს მოკლებული სიტყვა (ყველანი ზედმეტად კარგად ვიცნობთ ერთმანეთს), გულიანი სიცილი, ერთმანეთზე ხუმრობა, არასდროს არდაშლის სურვილი და ერთმანეთთან ურთიერთობის ბედნიერება კი წლიდან წლამდე უცვლელია.

ასეთია ჩემი ცხოვრების ტრადიციული 24 ოქტომბერი.

# 24 ოქტომბრის "ევროპულ-ქართული" შუალედი

დაახლოებით 9 საათზე ნიკუშა შენგელაიას დაბადების დღის მიტოვება და სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად კინოს სახლიდან "ივერიაში" გადასვლა მომიწია. "ივერიაში" იმ საღამოს თბილისობის დამაგვირგვინებელი კონცერტი იმართებოდა. "თბილისობისადმი" და ამგვარი ოფიციალური გალა-კონცერტებისადმი სკეპტიკური დამოკიდებულებიდან გამომდინარე, რაღა დაგიმალოთ და ძალიან მეზარებოდა. თანაც იმ საღამოს საკმაოდ გრილოდა და დარწმუნებული ვიყავი, რომ "ივერიის" ტერასაზე გაციება და ოფიციალური მოწყენილობა მელოდა. მაგრამ, როგორც პასუხისმგებლობით აღსავსე, მსხვერპლზე წავედი. ნიკუშას სუფრა დავტოვე, ნახევარ საათში დაბრუნებას შევპირდი და ბუზღუნ-ბუზღუნით "ივერიისკენ" გავემართე. დაბნელების შემდეგ ზემელის მიწისქვეშა გადასასვლელში ჩასვლა, მით უმეტეს, ქალისთვის, უბრალოდ, წარმოუდგენელი რისკია. ან ფეხს მოიტეხავ, ან კისერს, ან გაგძარცვავენ. ამიტომ ჩემი კანონმორჩილი ბუნების საწინააღმდეგოდ მოვიქეცი და ქუჩა, სიცოცხლისათვის ასევე საშიში მეთოდით, პირდაპირ გადავჭერი. "ივერიის" წინ, აღმაშენებლის ძეგლის გარშემო უამრავი ხალხი იყო შეკრებილი და კედელზე დამონტაჟებული უზარმაზარი ეკრანის მეშვეობით, დაწყებულ კონცერტს უყურებდნენ. ვირაჟებით სიარულის შემდეგ, როგორც იქნა, "ივერიის" შესასვლელს მივაღწიე, სადაც პრეზიდენტის სტუმრობის გამო ენით აღუწერელი სიმკაცრის კონტროლი გავიარე და ტერასაზე ავედი. ჩვეულებრივ დღეებში გაშლილი მაგიდები ალაგებული და ტერასის ერთ ბოლოში გრძელი, "ალაფურშეტის" მაგიდად ლამაზად იყო გაშლილი. ტერასის კუთხეში თვალის მომჭრელად განათებული სცენა იყო აშენებული, რომელზედაც პომპეზური, საზეიმო სანახავი ორკესტრი იყო განლაგებული და გიო ხუციშვილი მღეროდა. კონცერტი ცოტა ხნის წინ დაწყებულა. განათებულ "ივერიის" სასტუმროზე დამაგრებული საქართველოს უზარმაზარი დროშა ოდნავ ფრიალებდა და ისეთი გრძნობა იყო, რომ ორკესტრის ტაქტს იყო აყოლილი.







კიდევ კარგი, წავედი და არ დავიზარე! სერიოზული ორგანიზაციის მიერ სერიოზულად, გულით მოწყობილი ღონისძიება აუცილებლად გამოდის. ეტყობა, მონდომებაა საჭირო. ასეთი გემოვნებით, ზომიერებით, ხარისხით შედგენილი, მოწყობილი კონცერტი დიდი ხანია, არ მინახავს! დათო საყვარელიძის რეჟისორული პროფესიონალიზმი, მუსიკალური გემოვნება. "სილქროუდ ჯგუფის" ორგანიზატორობა, მერიის დახმარება, თითოეული გამომსვლელის ხალისი და მაყურებლის კმაყოფილება კონცერტს აშკარად ეტყობოდა. სიცივეც კი აღარავის ახსოვდა და ყველა გაღიმებული, მუსიკას უსმენდა, გულწრფელად უკრავდა ტაშს, გემრიელ სასმელებს და ლამაზ, დეკორირებულ პატარა ბუტერბროდებს მიირთმევდა, ერთმანეთს სასიამოვნოს ეუბნებოდა და აზრების გამოსახატავად სპეციალურად გაკრულ დაფაზე საღამოსგან მიღებულ შთაბეჭდილებას გამოხატავდა.

ერთადერთი დისკომფორტი, რომელზედაც სტუმრების ერთი ნაწილი ჩიოდა და დღესაც არჩევს, პრეზიდენტის დაცვის სამსახურის მუშაობის მეთოდია. "ივერიის" კაფეს მეორე სართულიდან პირველზე ჩასასვლელი კიბე დაცვამ შემაწუხებლად დიდი დროით ჩაკეტა და არც ზემოთ, არც ქვემოთ არავის უშვებდა. ქვედა კაფეში მჯდომი პრეზიდენტი ხალხის ზემოთ-ქვემოთ სიარულისგან რომ არ შეწუხებულიყო. ერთი-ორ სტუმარს სახლში ბავშვებთან ეჩქარებოდა, ბევრს პრეზიდენტივით კაფეში ჩამოჯდომა სურდა, ზოგიერთს მანქანაში ტელეფონი დარჩა, ზოგიერთს ვიღაცა ქუჩაში ელოდებოდა. ერთი ქალბატონი კი ცუდად გახდა და შენობიდან გასვლა უნდოდა, მაგრამ ამაოდ. ერთი საათის განმავლობაში ყველა ეს ადამიანი კიბესთან იყო შეგროვებული და აღშფოთებული ქოთქოთებდა. თუმცა, ქართველებს დიდი ხნის განმავლობაში, მით უმეტეს კი, ასეთი სასიამოვნო საღამოს, გუნების გაფუჭება არ უყვართ და გამოსავალის სახით ისევ და ისევ იუმორს მიმართეს. ჩაკეტილი სტუმრების ერთმა ნაწილმა ცნობილი სიმღერა "ის აქ არის" ექსპრომტად შეასრულა. სიმღერა კი, მოგეხსენებათ, ქართველებს ეხერხებათ!

ბოლოს და ბოლოს, გასასვლელიც გახსნეს, კონცერტიც დამთავრდა, მაგრამ დაშლა არავის უნდოდა. შთაბეჭდილებების დაფა ნელ-ნელა ივსებოდა. ტერასაზე ხალხი ჯგუფებად იკრიბებოდა და მიღებულ სასიამოვნო განწყობას ერთმანეთს უზიარებდა.

მთელი "თბილისობა" არ ვიცი, მაგრამ "ივერიაში" მოწყობილი კონცერტი, ჩემი საწინააღმდეგო მოლოდინის მიუხედავად, ნამდვილად "ევროპულ-ქართული" გამოვიდა.

"ივერიაში" გატარებული საღამოთი კმაყოფილი ნიკუშა შენგელაიას დაბადების დღეს დავუბრუნდი, სადაც ყოველგვარ ევროპულობას მოკლებული ზურნა-დუდუკი, სადღეგრძელოები და ცეკვა იყო გაჩაღებული.

თბილისი მაინც ძალიან კონტრასტული ქალაქია!

# „პრავადნიკის" ჩანაწერები

გიგა გურასაშვილი

საყვირმა შემზარავად დაიჭყივლა. გოგორ-წყვილები დატრიალდა. რელსები აჭრიალდა. მატარებელი დაიძრა - ჯერ სრიალით, მერე და მერე სიჩქარეს უმატა და ჩვეულებისამებრ რწევა-რწევით გაქანდა.

ჩვენი მატარებელი განსაკუთრებული იყო - განსაკუთრებული რეისით და განსაკუთრებული მგზავრებით. ფანჯრებიდან მომზირალნი ვამჩნევდით, რომ მატარებელი ყურადღებას იქცევდა. წარმოიდგინეთ ერთი ელმავალი და ორი სამგზავრო ვაგონი. სულ ეს იყო ჩვენი ავლადიდება და ეშელონი. მაგრამ მგზავრები ჰყავდა ისეთი...

სპეციალური რეისი თბილისის რკინიგზის ცენტრალური სადგურის პირველი ბაქნიდან დასავლეთისკენ - იმერეთისკენ და შემდეგ სამეგრელოსკენ მიექანებოდა. ლიანდაგები ერთმანეთში ქვეწარმავლებივით იხლართებოდა. უკუნეთ სიბნელეს მალე თვალიც შეეჩვია და რელიეფიც გამოიკვეთა. უფრო გვიან, როდესაც მთვარე ჩვენს თავს ზემოთ მოექცა, არემარე გადანაცრისფრდა, გამელნისფრდა.

ჩვენს მატარებელს განსაკუთრებული მისიაც ეკისრა. ადგილზე უნდა გვენახა და შეგვემოწმებინა დასავლეთის სარკინიგზო კვანძები თუ გზაჯვარედინები.

...ის იყო, ლაპარაკში გართულები დროს ვკლავდით, ჩვენს კუპეში დავით ონოფრიშვილმა - საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის მთავარმა მემანქანემ რომ შემოიჭყიტა: აბა, ჟურნალისტები როგორ არიან? მოულოდნელი სტუმრის დანახვაზე ყველა გავჩუმდით და მრავლისმეტყველი ღიმილით ვანიშნეთ, რომ კარგად ვიყავით. მატარებელი კი რწევა-რწევით მიექანებოდა.

მოგვიანებით ჩაი, ყავა, ნამცხვრები მოგვართვეს. წარმოუდგენელია, ხომ? მაგრამ აკი გითხარით, ჩვენი მატარებელი განსაკუთრებული იყო-თქო. პირველ ვაგონში რკინიგზის შეფი და მისი თანაშემწეები გამაგრებულიყვნენ, მეორეში კი ჩვენ - "24 საათი" და რკინიგზის დეპარტამენტის პრესცენტრი. მთლიანობაში თითო კაცზე სამი კუპე მოდიოდა!

ვაგონი სუფთა და გაწკრიალებული იყო. პირსახოცებიც კი დაგვხვდა კუპეში. სამწუხაროდ, ეს გამონაკლისია. სხვა დანარჩენ სამგზავრო ვაგონებში, როგორც გადმოცემით ვიცი, თუ არ ჩავთვლით დღის მატარებლებს, არ შეისვლება. დროთა განმავლობაში ამასაც მოევლებაო, მაგრამ ვაი, რომ მგზავრთა უმეტესობას არად ანაღვლებს სისუფთავის დაცვაო.

დაახლოებით ხუთი საათისთვის სამტრედიაში შევჩუქჩუქდით. გათენებისთანავე დაკისრებული მოვალეობის შესრულებასაც შევუდექით - დავათვალიერეთ სამტრედიის რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორია, მშენებარე სპორტული მოედანიც კი გვანახეს. როდესაც საქმე მოვილიეთ მანქანებში გადაგვსხეს და ქუთაისისკენ მოვკურცხლეთ - იქაურობაც დავათვალიერეთ, რა თქმა უნდა, რკინიგზის განხრით. ქუთაისში ჩასულებს აბა, ვის უნდა გაეწია მასპინძლობა თუ არა იმერეთში პრეზიდენტის რწმუნებულს გია გეწაძეს, რომელიც ფეხდაფეხ დაგვყვებოდა და თუ ჩვენ დავყვებოდით. დაგვათვალიერებინეს ის, რაც კეთდება და რაც უნდა გაკეთდეს. ბუნებრივია დელეგაციის გათვალისწინებით აქაც უმთავრესი თემა რკინიგზა გახლდათ. მერე წასვლის დროც დადგა და ისევ მატარებელი...



"სად მიგვყავართ მატარებლის ლიანდაგს..."

ამჯერად ხობისკენ გავსრიალდით - ახალი სადგური იხსნება და უნდა ვნახოთო. ხობისკენ მიმავალმა მატარებელმა სენაკში დაამუხრუჭა. როგორც შემდეგ გაირკვა, საპატიო მიზეზის გამო. ჩვენს განსაკუთრებულ მატარებელს განსაკუთრებული მგზავრი ჰყოლია გზად ასაყვანი. მგზავრი საქართველოს პირველი ლედი აღმოჩნდა. ქალბატონი სანდრას დანახვაზე როგორც შეგვეძლო, ისე დავფაციფუცდით.

პირველი ლედის დამგზავრებამ ჩვენს მატარებელს ფასი უფრო აუწია. ჩანაფიქრი კი ასეთი ყოფილა: ქალბატონ სანდრას და სამეგრელო-ზემო სვანეთის პრეზიდენტის რწმუნებულ გიგი უგულავას ხობის ახლად გარემონტებული სადგური ოფიციალურად უნდა გაეხსნათ. რამდენიმე წუთში დანიშნულების ადგილზეც აღმოვჩნდით. ნაუცბათევი სალამ-ქალამის მერე ზონარიც გადაიჭრა და სადგურში შევაბიჯეთ. ამასობაში ხანში შესული კაცი გამომეცნაურა: იცი, სანდრა ჩვენი ახლობელია. უცნობის ნათქვამზე თვალები გამიფართოვდა და როდესაც ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება ვცადე, ძია კაცმა განაგრძო: სანდრა ჩვენს ოჯახში, კემულარიებთანაა ნამყოფიო.

ის იყო, ხობის სადგურს მწვანე შუქი ავუნთეთ, რომ გარეთ გამოსულებს აცრემლებული პატარა გოგო დაგვხვდა. თურმე პატარას სახელდახელოდ ლექსი უსწავლია და უნდოდა პირველ ლედის ლექსით შეგებებოდა, მაგრამ მოხდა ისე, რომ ბავშვს ლექსის თქმა არავინ დააცადა...

ერთმა, ასევე შუახნის ქალბატონმა ქალბატონი სანდრას დანახვაზე თავისივე კბილა ქალბატონს მეგრულად გადაულაპარაკა: "უჯინ, მუ ჯგირ ძღაბი ოფერე ჩქინ სანდრა". ანუ, შეხედე, რა კარგი გოგო ყოფილა ჩვენი სანდრაო.

და კიდევ, მატარებლიდან გადმოსულებს ისე გვიყურებდნენ, როგორც უცხო პლანეტელებს. სხვანაირად ნუ გაგვიგებთ და მათთვის სადგურის გახსნა, ერთბაშად ამდენი საპატიო სტუმრის ნახვა, რაღაც უჩვეულო იყო. ყოველ შემთხვევაში, იმის გათვალისწინებით რომ რეგიონებში, განსაკუთრებით კი სამეგრელოში, ცხოვრება ჩამკვდარია, დენი არ აქვთ, ხალხი გაჭირვებისგანაა დაბეჩავებული, ის დღე, მართლაც, განსაკუთრებული გამოუვიდათ.

მალევე ზუგდიდშიც ამოვყავით თავი. აქაც უკვე რკინიგზის მეურნეობაში გათვითცნობიერებულებს ენგურისკენ მიმავალი ერთი მონაკვეთი უნდა შეგვემოწმებინა. მანამდე აქაც ყურადღების ცენტრში "ჩკინი ძღაბი" მოექცა.

ვდგავარ ჩემთვის ბაქანთან. ვუყურებ გაფაციცებულ დაცვას, რომელიც პირველი ლედის სადგურიდან გაყვანითაა გართული, რომ ზურგს უკან მოხუცებული ქალის ხმა მესმის: "სკუა, სი პრავადნიკი რექო? ართი ადგილ ვა გილუნო?" ანუ, შვილო "პრავადნიკი ხარ. ერთი ადგილი ხომ არ გაქვსო?

და ისევ მატარებელი, უკვე თბილისისკენ მომავალი.

ყოველთვის მაინტერესებდა - ღვთისგან მივიწყებული ადგილი ნეტავ, როგორ გამოიყურება-მეთქი. ცნობისმოყვარეობა გზაში დავიკმაყოფილე. მატარებლის ფანჯრიდან პეიზაჟად უკუნეთი სიბნელის გარდა ვერაფერს ვხედავდი. არადა საღამო ჟამს ზუგდიდისკენ მიმავალ გზაზე აშკარად ვხედავდი დასახლებულ სოფლებს, ეზოებში კანტი-კუნტად მოფუსფუსე ადამიანებს. ვინმემ თვითმფრინავით რომ გადაუფრინოს სამეგრელოს, ვერაფრით დააჯერებთ, რომ ქვევით ხალხი ცხოვრობს, რომ სოფლებია და რომ მათაც სჭირდებათ "ილიჩის ნათურა".



სამეგრელო-ზემო სვანეთის პრეზიდენტის რწმუნებული და "ჩკინი ძღაბი"

## TV პროგრამა

30 ოქტომბერი

### რუსთავი - 2

**008.00** კლასიკა **08.30** მულტსერიალი "დათვების ქალაქის ზღაპრები" **09.00, 12.00, 15.00** კურიერი **09.20** "ჯეტიქსი" **11.00** სერიალი "დაკარგული ქალაქის მაძიებლები" **12.20** "გაიღიმეთ ფარული კამერაა" **12.50** მხ. ფილმი "კილიმანჯაროს თოვლიანი მთა" **15.20** სერიალი "წმინდა ინგლისური მკვლე ლობები" **17.00** სერიალი "მარკო პოლო" **18.00, 21.00, 01.00** კურიერი **18.20** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **19.10** მხ. ფილმი "ინკოგნიტო" **22.00** "ფსიქო"- "მაგდალინელი დები". რეჟ. პიტერ მილანი (18). **01.20** მხ. ფილმი "მკვლელი ხოჭოები" (18) (დენ მერიმანი)

### პირველი არხი

**08.00, 12.00, 15.00, 20.00, 00.00** მოამბე **08.15** მხ. ფილმი "ლაქა"(გ) **10.00** იმღერე რამე **10.30** საცირკო სანახაობა **11.00** მხიარული კარუსელი **11.30** საქართველო არის ესე **12.15** მხ. ფილმი "მოუსვენარი ზაფხული" **14.00** სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" **15.15** მხ. ფილმი "მზიური" **17.00** დოკ. ფილმი "კინოს ისტორია" **18.00** ვესტნიკი **18.45** "იმღერე რამე" **19.15** ტელეზღაპარი **19.25** "დრო და ადამიანები" **19.40** "ეთნოგრაფიული ჩანახატი" **20.35** "ფორტუნა" **21.15** დოკ. ფილმი **22.00** საღამოს საუბარი **22.45** სპექტაკლი "მეორედ მოსვლა ანუ ვიზიტი" **00.15** მხ. ფილმი "ფრაგმენტები ქალაქის ცხოვრებიდან" (გ)

### 202

**10.00** ქართული ესტრადის ვარსკვლავები **13.00** რეტროსპექტული ჩვენება - ჩარლი ჩაპლინი **20.00** ქართული ესტრადის ვარსკვლავები **22.00** რეტროსპექტული ჩვენება - ჩარლი ჩაპლინი

### მზე

**09.00** მუსიკა მზეზე **09.30** მულტსერიალი "სქელი ძაღლი მენდოზა" **10.00** საბ. სერიალი "ჩემი მეგობარი უცხოპლანეტელია" **10.30** სერიალი "დაკარგული ქვეყანა" **11.30** შემეცნებითი პროგრამა "ყველაზე, ყველაზე" **12.30** შემეცნებითი-გასართობი პროგრამა "ფოკუსის ისტორია" **13.00** სერიალი "კარაბინერები" **14.00, 17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **14.15** მხ. ფილმი "ჭექა-ქუხილი" (გ) **16.15** მუსიკა მზეზე **16.30** "ფარული კამერა" **17.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **17.50** შემეცნებითი პროგრამა "ყველაზე, ყველაზე" **18.50** მუსიკა მზეზე **19.00** სერიალი "დაკარგული ქვეყანა" **20.30** სერიალი "კარაბინერები" **21.30** კრიმ. დრამა "ტაქსის მძღოლი" **22.30** მხ. ფილმი "მილიონი წელი ჩვენ წელთაღრიცხვამდე" (გ)

### იმედი

**09.00** ანიმაციური ფილმი "რობინ ჰუდის ახალი თავგადასავლი" 1-2ნ. **10.00** მხ. ფილმი "ციური მერცხლები" (გ) 1-ლი ნ. **11.10, 12.40, 02.30** ტვ-მარკეტი **11.30** "იმედითა შენითა" **11.45** "კლიპ-ლოტო" **13.00, 15.45, 17.00, 19.00, 22.00, 23.15** ქრონიკა **13.15** მხ. ფილმი "საუკეთესო მეგობარი" (გ) **15.00** ფეხბურთი. "დინამო" (თბილისი) - "ტორპედო" (ქუთაისი) **16.45, 03.00** იმედის მელოდიები **17.10** დოკ. სერიალი "მშვიდობით მე-20 საუკუნევ" **18.05** "პირველი ნაბიჯი" **19.30** ვაკაჭი-ნიუსი **20.05** მხ. ფილმი "სიესტა" (გ) (ე. ბირკინი) **22.30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. **00.20** "ნადიმი ჯ. კაშიასთან ერთად" **01.35** სერიალი "ნეშ ბრიჯესი"

### აჭარა

**09.00** მუსიკა **09.20** მხ. ფილმი "პინოქიო" **11.10** მხ. ფილმი "მეექვსე ელემენტი" **12.45** "მსოფლიოს საოცრებანი" **12.55** მხ. ფილმი "თავდავიწყებული სიყვარული" **14.30, 17.30,** 20.30. **23.30** საინფორმაციო გამოშვება **14.45** მხ. ფილმი "კრიმინალური საკითხავი" **17.15** "გიტარის სამყაროში" **17.45** კომედია "სასწაულებრივი გარდასახვა" **19.30** დოკ. ფილმი **21.00** თრილერი "მზის ცრემლები" **23.00** "ერთი გვარის ისტორია" **00.00** დრამა "ტკბილ-მწარე სიყვარული"

### ОРТ

**06.00, 10.00, 12.00, 18.00** Новости. **06.10** Динозавры Стивена Спилберга в фильме "Земля до начала времен-II". **06.30** Сериал **"ПРИКЛЮЧЕНИЯ МОЛОДОГО ИНДИАНЫ ДЖОНСА". 08.20** Играй, гармонь любимая! **09.00** Слово пастыря. **09.10** Здоровье. **10.20** "Смак" **10.30** "Любовные истории". Лолита Милявская. **11.10** Спецрасследование. "Королевы красоты". **12.10** "История с географией". "Прирожденные охотники". **13.10** "Савелий Крамаров. Джентльмен удачи". **15.00** Дисней-клуб: "Приключения Мики и Дональда". **15.20** "Николай Караченцов. Человек, который всегда опаздывает". **16.10** Галина Польских в комедии **"БЕЛЫЕ РОСЫ" 17.50** Золотые годы Микки Мауса. Впервые в России. **18.10** Криминальная Россия. "По следу сибирского зверя". **2**-я серия. **18.40** "Кто хочет стать миллионером?" **19.40** "Кривое зеркало". Лучшее. **21.00** Время. **21.20** "Последний герой". Суперигра. **22.30** "Золотой граммофон". **23.30** Николас Кейдж в боевике **"УГНАТЬ ЗА 60 СЕКУНД" 01.40** Катрин Денев в мелодраме **"ВБЛИЗИ ОТ РАЯ" 02.40** Дак Рэмбо в фильме **"ИСТОЧНИК" 04.20** Сериал **"СВИДЕТЕЛЬ ПРОТИВ МАФИИ"**. Закл. серия. **05.00** Владимир Пресняков в программе "Русский экстрим".

### НТВ

**06.10** Боевик **"МОРСКАЯ ПЕХОТА". 08.00, 10.00, 13.00, 16.00, 19.00** Сегодня. **08.15** Мультфильмы "Геракл у Адмета", "Прометей". **08.55** "Без рецепта". Доктор Бранд. **09.25** "Дикий мир" с Тимофеем Баженовым. **10.20** Нина Усатова в программе "Растительная жизнь". **10.55** Кулинарный поединок. **11.55** Квартирный вопрос. **13.20** Особо опасен! **14.05** Чарльз Гродин в комедии **"БЕТХОВЕН-II". 16.20** "Женский взгляд". Раиса Рязанова. **16.55** Своя игра. **17.55** Сериал **"ТАКСИСТКА". 19.40** Профессия - репортер. **20.10** Сериал **"МОСКВА. ЦЕНТРАЛЬНЫЙ ОКРУГ- 2". 21.15** Иван Кокорин в фильме **"ШИК". 23.25** Костя Цзю. Лучшие бои. **Костя Цзю - Заб Джуда. 00.25** Шерилин Фенн в эротическом фильме **"СЛИЯНИЕ ДВУХ ЛУН" 02.35** Футболлистика. **Внимание! В 3.00 перевод часов на 1 назад! 02.20** Сериал **"КЛАН СОПРАНО". 04.10** Шон Пенн в остросюжетном фильме **"СОСТОЯНИЕ ИССТУПЛЕНИЯ"**.

## სკანვორდი



გამოხმაურება

# გაზეთ "24 საათის" რედაქციას

თქვენი გაზეთის 25 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნდა ქ-ნ ნ. კვინიკაძის ე. წ. სვეტი, რომლისთვისაც რატომღაც ქართული სათაური ვერ მოუძებნია...

გემოვნებაზე, ცხადია, არ დავობენ, არც სტილზე, სხვათა შორის, მაგრამ როცა გაზეთში არასწორი ინფორმაცია იბეჭდება, უმალ ჩნდება ბუნებრივი კითხვა - განგებ კეთდება ეს, თუ უნებლიეთ.

უნებლიეთ, კაცნი ვართ და, შეიძლება რამე წამოგვცდეს და იქვე გამოასწორებ კიდეც, მაგრამ როცა რაღაცას წინასწარ დაწერ,ააწყობ და მერე რედაქციას შესთავაზებ გამოსაქვეყნებლად, უკვე უნებლიეთ არაფერი ხდება - აქ ყველაფერი მშვიდად გააზრებული და აწონილ-დაწონილია, ყოველ შემთხვევაში, უნდა იყოს. ამდენად, როგორ შეიძლება თქვენი ავტორის სტატიაში გამოჩენილიყო ფრაზა, რომ თურმე, ნუ იტყვით და, ჩვენს უნივერსიტეტს ყოველწლიურად **ასზე მეტი** რეჟისორი ამთავრებს. რომელი ნორმალური ადამიანი დაგიჯერებთ ამ სისულელეს და რატომ ვინმემ, თუნდაც კორექტორმა, სტილისტმა არ გადაამოწმა ასეთი, მართლაც მისტიკური მონაცემი, რა აზრი და ძალა აქვს იმ წყალს, რომელსაც ამგვარი ინსინუაციებით ვილაცის წისქვილზე ასხამთ.

ახალგაზრდა ავტორს, რომელსაც კალამი უჭრის, უნდა ურჩიოთ რომ ასე ჰაიჰარად წერა არ შეიძლება და საერთოდ, მეტი დაფიქრება საჭირო, რადგან "ჩადენილი შეცდომები ბევრია".

განსაკუთრებით გამაოცა იმ გარემოებამ, თუ როგორ შემიმცირა მოქმედების არეალი, თითქოს და ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში პირველკურსელები მხოლოდ ქუთაისში მიმყავდეს. როგორ გეკადრებათ, მარტო ქუთაისში კი არა, არამედ მთელი საქართველოს პირველკურსელებს ვკრიბავ სექტემბრიდანვე და ჯერ ნატო ვაჩნაძის სახლ-მუზეუმში მივდივართ გურჯაანში, შემდეგ ახალციხე-ვარძიაში, შემდეგ ბათუმი, ზუგდიდი, ქუთაისი (14 მარტი - ვ. ამაშუკელის დაბადების დღე), თბილისი (29 აპრილი აკ. ხორავას დაბადების დღე), წელს კი უკვე საზღვარგარეთაც გავედით - სომხეთში და ახლა ერევნის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები თბილისში იმყოფებიან ე. წ. საპასუხო ვიზიტით. სტატიის ავტორი კი მარტო ქუთაისს მითვლის და რას ჰგავს ეს, რამოდენა შრომა და ენერგია მეყრება წყალში?! ასე რომ ქ-ნ ნ. კვინიკაძეს სხვა დროს მაინც ნუ დაავიწყდება ჩემი ეს მარადიული მარშრუტი და როგორც მფრინავებს უთვლიან ჰაერში გატარებულ (ანუ ფრენის) დროს საათების მიხედვით, ისე მეც ჩამითვალოს ჩემს სტუდენტებთან გატარებული ეს საათები და მერე ვნახოთ, ვინ შემედრება ამ მხრივ - ჩკალოვი თუ პოკრიშკინი.

ცხადია, ეს იუმორითაა ნათქვამი, მაგრამ თავისთავად ის იდეა, რომ მთელი საქართველოს პირველკურსელები გავაცნო და დავაახლოვო ერთმანეთთან, რატომ არის აკვიატებული აზრი? - ვერაფრით გამიგია და ეგებ თქვენ მაინც ამიხსნათ. ერთი ჩემი კოლეგის არ იყოს, ჩვენი პროფესია ქვეტექსტის ამოცნობაა, მაგრამ თქვენი ავტორის ქვეტექსტს ვერ ჩავწვდი და, ამდენად, მართლაც, გულწრფელია ჩემი თხოვნა, რომელსაც, იმედია, გაითვალისწინებთ.

იუმორი კარგია, მაგრამ უფრო საჭირო ლოგიკაა, რომელიც ვერაფრით დავინახე, როცა თქვენმა ავტორმა თბილისობის ყოველწლიური აღნიშვნა ჩემ მიერ, ასევე ყოველწლიურად პირველკურსელებთან ერთად ქუთაისში ჩასვლას და ვ. ამაშუკელის საფლავის მონახულებას შეადარა, ერთი კალმის მოსმით შეურაცხყო თბილისობის მშვენიერი ტრადიცია და ვ. ამაშუკელის საფლავის მონახულება - დიდი ილია ავტორის ასეთ ცდუნებას კალმის დაბრიყვებას ეძახოდა. მერე თავადაც მიხვდა ამას (ხდება ხოლმე ასე, ხომ გაგიგონიათ ცნობილი ფრაზა - "რას გათქმევინებს წყეული რითმა") და მხოლოდ ის თქვა, **რატომღაც** მაგონებსო. დამეთანხმებით, რომ "რატომღაც" მეტად უსუსური არგუმენტია. მერე აღიარა, ვ. ამაშუკელთან არანაირი პრეტენზია არ გამაჩნიაო და არც, თქვენ წარმოიდგინეთ, გ. დოლიძესთანო (კიდევ კაი!), მაგრამ ის სისტემა მაოგნებს, რომელიც **"საძირკველშერყეულ"** (ხაზი ჩემია - გ. დ.) უნივერსიტეტს 15 სარეჟისორო ჯგუფის აყვანის უფლებას აძლევსო.

ავტორს არა, მაგრამ რედაქციას კი ავუხსნი, რომ წელს მხოლოდ ორი სარეჟისორო ჯგუფის აყვანის უფლება მოგვეცა და ეს სავსებით ნორმალურია, რაც შეეხება 15 ჯგუფს, ეს მხოლოდ თქვენი ავტორის გამოგონილია და ასეთი ფანტაზიები ვერაფერი პატივია თქვენი მშვენიერი გაზეთისათვის, თუმცა მას შემდეგ, რაც მშობლიურ უნივერსიტეტს, რომელიც სულ ორიოდე წლის წინ დაამთავრა, "საძირკველშერყეული" უწოდა, ყველაფერი გასაგებია. ბრავო! ბრავო, ჩვენო კურსდამთავრებულო! დამბაჩა უკვე დატენილია და აბა, შენ იცი ახლა ლალა!

*გ. დოლიძე*

შევიძენ საოფისე ფართს ქალაქის ცენტრალურ უბნებში ან დიღმის ტრასის გასწვრივ.
ტელ: 893 102 109 ნიკა

## აჭარული ცეკვა "მის მსოფლიოსათვის"

"მის საქართველო 2004"-ის ტიტულის მფლობელი სალომე ჩიკვილაძე კონკურსისთვის "მის მსოფლიო" ემზადება და აჭარულ ცეკვას თეატრ "ნაბადში" სწავლობს. ფოლკლორული თეატრის "ნაბადის" პიარ-მენეჯერის ია ვეკუას თქმით, ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფი ნინო ტურაბელიძეა, რომელიც სალომე ჩიკვილაძეს უშუალოდ ამეცადინებს.

სალომე ჩიკვილაძე აღნიშნულ ცეკვას ჩინეთში, "მის მსოფლიოს" ფარგლებში "ტალანტების კონკურსზე" წარმოადგენს.

გასულ წელს "მის საქართველო 2003"-ის ტიტულის მფლობელმა ირინა ონაშვილმა "მის მსოფლიოს" კონკურსზე რევაზ ლაღიძის სიმღერა "თბილისო" შეასრულა და "მის ტალანტის" ტიტულის მფლობელი გახდა.

"მის მსოფლიო 2004" დეკემბრის დასაწყისში ჩინეთში გაიმართება.

## როკი ბოტანიკურ ბაღში

ბოტანიკურ ბაღში ხვალ კავკასიის მე-9 საერთაშორისო როკ-ფესტივალის "მშვიდობის 2 დღე" და კლუბ "გვირაბის" პრეზენტაცია გაიმართება.

გუშინ სასტუმრო "სიმპათიაში" გამართულ პრესკონფერენციაზე ფესტივალის ორგანიზატორის, კავკასიის თანამედროვე ხელოვნების ცენტრის ხელმძღვანელის ლადო ბურდულის განცხადებით, ორდღიანი ფესტივალი ქართველ და უცხოელ როკ-შემსრულებლებს უმასპინძლებს. ღონისძიების ფარგლებში წარმოდგენილი იქნება რუსი, გერმანელი და ჩეჩენი შემსრულებლების შემოქმედება. ქართველი შემსრულებლებიდან კი მსმენელს რეპერტუარს ჯგუფები "ქართული ვერსია", "ბესტ ჰისტორი", "ზუმბა", "მარგაჯობა" და სხვები წარუდგენენ.

ფესტივალში დისკ-ჟოკეებიც მიიღებენ მონაწილეობას.

2004 წლის 14 იანვარს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი "საჯარო სამართლის იურიდიული პირის განვითარების და რეფორმების ფონდის " შექმნის შესახებ.

ფონდის მიზნები, მმართველობითი სტრუქტურა, ფუნქციონირება და ხარჯები არის საჯარო ინფორმაცია, რომელიც ვრცელდება წლიური ანგარიშების სახით და ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციით.

გთხოვთ იხილოთ ჩვენი ვებ-გვერდი:
www.drf.org.ge







თქვენი რეკლამა
ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24




## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.